# ლელო

№030
(12 407)

7 თებერვალი ხუთშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბოლო იმედის მატჩი?



## საქართველო ლატვიას ვერ გადაახტა

2

# ლეინის შეცვლილი 22

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 9 თებერვალს წლევანდელი სეზონის მთავარ შეხვედრას, ერთა თასზე მთავარ კონკურენტ რუმინეთის ნაკრებთან გამართავს. მეტოქე თბილისში მნიშვნელოვნად სახეშეცვლილი შემადგენლობით ჩამოვა. ჩვენთვის იმ 31 კაცის ვინაობაა ცნობილი, ვინც თბილისში სალაშქროდ ემზადება, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ავსტრალიელმა **ტიმ ლეინმა** კი უკვე დაასახელა ჩვენი გუნდის 22-კაციანი შემადგენლობა.

### საქართველო რუმინეთთან

(15-9) **ოთარ ბარკალაია, გიორგი შკინინი, დავით კაჭარავა, ირაკლი გიორგაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, ლაშა მალაღურაძე, ირაკლი აბუსერიძე;** (1-8) **გოდერძი შველიძე, ირაკლი ნატრიაშვილი, დავით ზირაქაშვილი, მამუკა გორგოძე, კახა უჩავა, შალვა სუთიაშვილი, გიორგი ჩხაიძე, დიმიტრი ბასილაია;** (16-22) **დავით დადუნაშვილი, დავით ქუბრიაშვილი, რატი ურუშაძე, ზვიად მაისურაძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, რეზო გიგაური.**



www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# უიღბლო დასაწყისი

**საქართველო-ლიტვა**

**1:3**

**6 თებერვალი. თბილისი. ეროვნული. 6 000 მაყურებელი**

0:1 კარლსონსი (5), 0:2 სტეპანოვსი (15), 0:3 ასტაფიევსი (32). 1:3 კალაძე (50)

საქართველო: რევიშვილი – სალუქვაძე, ასათიანი, კალაძე, ელიავა – კანკავა, ხიდეშელი (83. ბ. გოცირიძე), გოგუა (74. გრიგალაშვილი) – ყენია, მჭედლიძე (41. კობახიძე), სირაძე

*სათადარიგოები:* რ. კვასხვაძე, შაშიაშვილი, ა. კვახაძე

ლატვია: ვანინსი (46. კოლინკო) – სტეპანოვსი, ასტაფიევსი, გორკსსი, კლავა (90. ზირნისი) – ივანოვსი, ვიშნაკოვსი (46. ჟიგაევსი), სოლონცინსი (90. კაჩანოვსი), კაუნა (46. რუბინსი) – ვერპაკოვსკისი (83. პერეპლეტკინსი), კარლსონსი (77. რიმკუსი)

გაფრთხილება: ყენია (19), ვიშნაკოვსი (20), გორკსსი (71)

არბიტრი: ს. შმოლიკი (ბელარუსი)

**5.** 0:1 - სოლონიცინსმა ქართველთა საჯარიმოში ჩააწოდა, კარლსონსმა მეურვეებს დაასწრო და თავურით ანგარიში გახსნა.

**7.** გოგუამ საჯარიმოს მისადგომებიდან არაზუსტად დაარტყა.

**15.** 0:2 - საგოლე პასი ისევ სოლინიცინსმა გააკეთა, ამჯერად მისი გადაცემით სტეპანოვსმა გაიტანა ახლო მანძილიდან.

**26.** ხიდეშელის შორეული დარტყმა კოლინკომ მოიგერია, დამატებაზე ქართველთაგან ვერავინ იღარგა.

**32.** 0:3 - ასტაფიევსმა დაახლოებით 30-35 მეტრიდან ძლიერად და ტექნიკურად დაარტყა, ბურთი რევიშვილს თავზე გადაევლო.

**44.** ყენიამ სტუმართა კარს ზემოდან გადააცილა.

**45.** სალუქვაძეს კოლინკომ აუღო.

**46.** 1:3 - ელიავამ ჯარიმა ჩააწოდა, კალაძემ თავით პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა.

**64.** სირაძემ "მაკრატელა" არაზუსტად დაარტყა.

**87.** სირაძე ასტაფიევსთან ორთაბრძოლაში დაეცა და არბიტრმა საეჭვო პენალტი დანიშნა. იმავე სირაძის მიერ შესრულებული თერთმეტმეტრიანისას ბურთმა მოედნის ფარგლები დატოვა.



ახალი შესარჩევი ციკლისთვის მზადება ისევე დაიწყო, როგორც წინა შესარჩევი დასრულდა – შინ ბალტიელებთან დავმარცხდით. სტუმრებმა ულაპარაკოდ დაგვჯაბნეს და ქართველ გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობის მბჟუტავი იმედიც ჩაქრა. სჯობს, მომავალი ციკლისთვის რეალური მიზანი დავისახოთ და ნორმალურ შედეგად, ვთქვათ, ექვსგუნდა ჯგუფში ბოლოსწინა ან მეოთხე ადგილი დავისახოთ (მით უფრო, რომ წინა საკვალიფიკაციოში ნაჩვენები ანალოგიური შედეგი, თანაც შვიდგუნდიან ჯგუფში, მავანს და მავანს დიდ ტრაგედიად არ მიუჩნევია).

დროა, ერთხელ და სამუდამოდ გამოვიდეთ მავნე და უსაფუძვლო ამბიციების ტყვეობიდან და მწარე სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ – ქართული ფეხბურთი ღრმა კრიზისშია და წარმოუდგენელია, ჩვენი ეროვნული ნაკრები სხვანაირი იყოს. წარმოუდგენელია, საქმე, რომელსაც მინიმუმ ათწლეული სჭირდება, ორ წელიწადში გაკეთდეს, მით უფრო, რომ საკითხავია, სწორად კეთდება თუ არა ეს საქმე.

**კლაუს ტოპმიოლერმა** პირწმინდად წააგო სამწვრთნელო დუელი კოლეგა **ალექსანდრ სტარკოვსთან.** ლატვიელებმა სწორი და დისციპლინირებული ფეხბურთი ითამაშეს, ტექნიკურ, მაგრამ ტაქტიკურად არცთუ განსწავლულ ქართველებს ყველა სივრცე გადაუკეტეს და დამსახურებული გამარჯვება იზეიმეს.

არაა ტოპმიოლერი ცუდი მწვრთნელი, ვიცით, რომ ლევერკუზენის "ბაიერთან" ერთად კინაღამ ჩემპიონთა ლიგა და ბუნდესლიგა მოიგო, მაგრამ ხდება ხანდახან, რომ ამა თუ იმ თანამდებობაზე კლაუსზე დიდი სპეციალისტებიც ვერაფერს აღწევენ.

კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების დაახლოებით ისეთივე ხელმოცარული თავკაცია, როგორც ყველა მისი წინამორბედი. ეს კი საქართველოს ნაკრების ბრალიცაა და თვით ტოპმიოლერისაც. საქართველოს ნაკრებისა იმიტომ, რომ მისი ფეხზე დაყენება ურთულესი და ვინძლო, სრულად წარმოუდგენელი ამბავი იყოს, ტოპმიოლერისა კი თუნდაც იმიტომ, რომ ამ გუნდში მუშაობას დათანხმდა და ორი წლის შემდეგ არ ჰგავს აქ ორი წლის ჩამოსულს...

ბუნებრივია, გერმანელისთვის აქაურ სიტუაციაში ადაპტაციისთვის გარკვეული დრო უნდა მიეცათ და მისცეს კიდეც. დანარჩენი ტოპმიოლერზე იყო დამოკიდებული. უკვე ორი წელიწადია, იგი ჩვენს ეროვნულ გუნდს წვრთნის და საუბედუროდ, ძალიან ცოტა არგუმენტი არსებობს იმის საწინააღმდეგოდ, რომ ეს ორი წელიწადი წყალში არაა გადაყრილი.

ტოპმიოლერი საქართველოში არ ცხოვრობს (არც სთხოვენ), შესაბამისად, არ ესწრება ჩვენი ჩემპიონატის მატჩებს. თავიდან საქართველოს პირველობაში მოასპარეზეები არ სჭირდებოდა, მერე რატომღაც აზრი შეიცვალა. კანტიკუნტად მოგებული თამაშების შემდეგ გვეუბნება, რომ ძლიერი გუნდი თითქმის ჩამოყალიბებულია, წარუმატებელი მატჩების შემდეგ კი გვპირდება, რომ პროგრესს მალე დავინახავთ, მაგრამ ეს დრო არა და არ დადგა.

დრო გადის, ჰერ კლაუსს კი ერთხელაც არ უთქვამს, რომ რაღაც კარგად ვერ არის, რომ სწორი გზით შეიძლება ვერ მივდიოდეთ. მისი მუშაობის სტილი კი არ იცვლება, ისევ ნაკლები დრო საქართველოში, ურთიერთსაპირისპირო განცხადებები, კონკრეტულ შეკითხვებზე არაკონკრეტული პასუხები, არასწორი სელექცია, არაფრისმომცემი შეცვლები...

საქართველოს ნაკრებს, მიზეზთა გამო, ვფიქრობთ, უცხოელი უნდა წვრთნიდეს, თუმცა უკვე საკმარისზე მეტი დროა გასული ამის სათქმელად – ტოპმიოლერი ქართული ფეხბურთის თავკაცთა შეცდომაა!

ბუნებრივია, ტოპმიოლერის ქართული კარიერის შეფასება უფრო ვრცლად შეიძლება, რასაც ჩვენი გაზეთი მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ. გუშინ კი სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ქართულ ფეხბურთს და მის სახეს, ეროვნულ ნაკრებს საქმე მეტისმეტად შავად აქვს.



სანამ ტოპმიოლერი და მისი თერთმეტეული გონს მოვიდოდნენ, ტაბლოზე უკვე 0:3 ენთო. ასეთ ფორას კი ლატვიაზე დაბალი დონის გუნდებიც ხშირად ინარჩუნებენ. პირველი ორი გოლი ქართული დაცვის უხეშ შეცდომებს მოჰყვა, მესამე კი მეკარის სინდისზეა. **ნუკრი რევიშვილის** კრიტიკას არ შევუდგებით, ზოგადად მეკარის პრობლემა საქართველოს ნაკრებს ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ ამის აღმოსაფხვრელად არასდროს არაფერი გაკეთებულა. ჰერ კლაუსმა თავის დროზე ნატურალიზებული კარის დარაჯი არ ისურვა და აქცენტს დროდადრო სხვადასხვა კიპერებზე აკეთებდა, თუმცა ვერც ერთმა გაუმართლა. სამწუხაროდ, ეს ქართული ფეხბურთის მხოლოდ ერთ-ერთი პრობლემაა...

მეორე ტაიმის დასაწყისმა თამაშის გადარჩენის იმედი გააჩინა, მაგრამ მალე გამოჩნდა, რომ სტუმრებს სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ. ერთადერთი, რაც ლატვიელებმა დაგვითმეს, ბურთის ფლობის მაჩვენებელი იყო, მაგრამ ამით ბევრს ვერაფერს მივაღწიეთ.

ფაქტობრივად, ოპტიმალურად დაკომპლექტებულ დაცვის ხაზს წუნი მრავლად ჰქონდა იმის მიუხედავად, რომ ცალკეულ ეპიზოდებში ჩვენი უკანახაზელები, განსაკუთრებით **კალაძე** და **ასათიანი,** შეტევაში სასარგებლოები იყვნენ. ტოპმიოლერმა ასათიანის წინ წაწევა ვერც მეორე ტაიმში გარისკა, არადა დასაკარგი არაფერი იყო. მეტოქის საჯარიმომდე ჩვენი ფეხბურთელები იოლად მიდიოდნენ, მაგრამ მომენტების შექმნას ვერ ახერხებდნენ. ლიდერის ტვირთი ვერ ზიდა **ლევან ყენიამ,** რომელსაც გუშინ თითქოს სითამამე აკლდა; ვერც ფორვარდები იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე...

საკადრო დანაკლისიც გვქონდა, მაგრამ კარგა ხანია, ოპტიმალური შემადგენლობით არ გვითამაშია და ეს გამამართლებელი საბუთი არაა. ვეჭვობთ, საქართველო-ლატვიის შედეგს ჰერ კლაუსისთვის პატარა მნიშვნელობა ჰქონდეს და თუნდაც ამიტომ შეეძლო რამდენიმე ჯანმრთელი ფეხბურთელის ხმობა.

ცხადია, გუშინდელი თამაშის მოგება ტოპმიოლერს ქართველებზე ნაკლებად არ ენადა, მისი კონტრაქტი ჯერ არ გაგრძელებულა... თუმცა ალბათ, მაინც გაგრძელდება...

**ლევან ჯანეზაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

პრესკონფერენცია

# ნასიამოვნები სტარკოვსი და ტოპმიოლერის ტესტ-ფაზა

როგორც წესი და რიგია, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე პირველი სტუმართა მწვრთნელი გამოცხადდა. **ალექსანდრ სტარკოვსმა** სფფ-ს მისი გუნდის საქართველოში მოწვევისთვის მადლობა გადაუხადა, ვიცოდი, რომ საფეხბურთო ქვეყანაში მოვდიოდი და ასეთ სტადიონზე ყოფნით დიდი სიამოვნება მივიღეო.

ლატვიის ნაკრების გამარჯვების მთავარ ფაქტორად სტარკოვსს სწორად შერჩეული ტაქტიკა, ქართველთა მჭიდროდ მეურვეობა მიაჩნია. მან ქართველი ჟურნალისტის შეკითხვას არ უპასუხა. ამიტომაც ვერ გავიგეთ, რამდენს შოულობს ლატვიის ნაკრების მთავარმწვრთნელობით.

სტარკოვსმა ბოლოს ისიც დასძინა, რომ მისი გუნდის კარში დანიშნული პენალტი მსაჯის საჩუქარი იყო ქართველთათვის მოძღვნილი და გულთბილად დაგვემშვიდობა.

**ტოპმიოლერმა** კი, როგორც სჩვევია, თავდაპირველად შეხვედრის მოკლე ანალიზი გააკეთა, შემდეგ კი შეკითხვებსაც უპასუხა.

*"ლატვიის დამარცხება გვსურდა, მაგრამ სამწუხაროდ, წავაგეთ და ხალხს იმედი გავუცრუეთ. ვიცოდით, რომ ლატვია თამაშს კონტრშეტევებზე ააგებდა, მაგრამ ჩვენი გეგმა ვერ განვახორციელეთ. პირველი ტაიმი კატასტროფა იყო, მეტოქეს იმხელა ფორა მივეცით, რომ თამაშის გადარჩენა ურთულესი იყო.*

*მეორე ტაიმი უკეთ ჩავატარეთ, მაგრამ მეტოქის დაცვის გარღვევა მაინც გაგვიჭირდა. ზოგმა ფეხბურთელმა ჩემს დავალებას თავი კარგად ვერ გაართვა. ამ მარცხის მიზეზებს დაწვრილებით გავაანალიზებთ და შესაბამის დასკვნებსაც გამოვიტანთ. ტესტ-მატჩების ფაზაში ვართ და მომავლისკენ ვიყურებით, ახალგაზრდებს კიდევ მივცემთ თავის გამოჩენის შანსს.*

*ამ მარცხზე ბუნებრივია, პასუხისმგებელი ვარ, მაგრამ ახალი ფეხბურთელების გამოცდის პროცესი მიმდინარეობს და ასეთი შედეგებიც შეიძლება მივიღოთ. რასაც ახლა ვამბობ, თავის მართლება არ გეგონოთ – ასათიანმა, გოგუამ და მჭედლიძემ ტრავმებით ითამაშეს. ზურაბ ხიზანიშვილი დისციპლინარული პრობლემების გამო არ გამოვიძახე, ამ თემაზე უფრო კონკრეტულად საუბრისგან თავს შევიკავებ".*

ლევან ჯანეზაშვილი





კომენტარები

**კახა კალაძე:**

- მოედანი ნახევრად გაყინული იყო. მოედნის საფარიდან გამომდინარე, ძნელია თამაშის ხარისხზე ისაუბრო. თამაშს რაც შეეხება, პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. ორი გოლი სტანდარტულიდან გავუშვით. ერთი ბურთი კი გავიტანეთ, მაგრამ სხვა საგოლე მომენტები, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ და დავმარცხდით.

**- როგორ ფიქრობ, რა იყო მარცხის მიზეზი?**

- ძალიან ბევრი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით ვეთამაშეთ ლატვიას. ამით თავს არ ვიმართლებთ, უბრალოდ, მიზეზები მკითხეთ და ვასახელებ....დღეს არაერთი ახალი ფეხბურთელი გვყავდა, რომლებიც მწვრთელებმა გამოსცადეს.

**- მათზე რისი თქმა შეგიძლია?**

- ნიჭიერები არიან, მაგრამ კიდევ ძალიან ბევრი აქვთ სასწავლი. ფეხბურთი მარტო მატაობა არაა, ის გუნდური თამაშია, სწორად უნდა ითამაშო.

**- სწორედ გუნდურობა აკლდა დღეს ჩვენს ნაკრებს...**

- კი, ასეა. ეგ მომენტი სამწუხაროდ ხშირად იჩენს ხოლმე თავს და ეს პრობლემა ჩვენთვის არცთუ უმნიშვნელოა.

**- რამდენიმე ეპიზოდში საკუთარ თავზე აილე თამაში, წინ წახვედი და ამას ხიფათიც მოჰყვა...**

- სიმართლე გითხრათ, წესით, ეს ცენტრალური მცველის საქმე არაა. დიდ გუნდში, სადაც სწორ ფეხბურთს თამაშობენ, ასეთ რამეს არც გაპატიებენ. მაგრამ იმიტომ გავაკეთე, რომ მინდოდა გუნდი ამეყოლიებინა. ახალგაზრდები გავამხნევე ამ ჟესტით. სამწუხაროა, რომ დავმარცხდით და კიდევ ერთხელ ვერ გავამართლეთ გულშემატკივართა იმედები. თუმცა, ეს არ იყო ჩვენი ნაკრების თამაში და რეალური სახე. ჩვენი გუნდი მთელი შემადგენლობით ბევრად უკეთეს თამაშს აჩვენებს, გვიჩვენებია კიდეც და კიდევ არაერთხელ გავახარებთ ქომაგებს.

**სანდრო კობახიძე:**

- სამწუხაროდ, დასანანი მარცხი განვიცადეთ. პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. მართალი გითხრათ, ეს ჩემთვის და ალბათ, არაერთი ქართველი ქომაგისთვის შოკი იყო. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვარ, რომ ვერ შევძელით ქომაგის გახარება. ყველანაირად ვეცდებით, მსგავსი აღარ განმეორდეს.

**მალხაზ ასათიანი:**

- რა მეთქმის... ერთს ვიტყოდი, ბოდიში მინდა მოვუხადო გულშემატკივარს. ისინი გვქომაგობდნენ, მაგრამ იმედები ვერ გავუმართლეთ. 1:3 წავაგეთ და სხვა რა უნდა ვთქვა.

**ჯაბა კანკავა:**

- სამწუხაროდ, ლატვიელთა სწრაფმა გოლებმა გადაწყვიტა თამაშის ბედი. მატჩამდე გვითხრა კიდეც კლაუს ტოპმიოლერმა ლატვიელთა სტანდარტულებისას ყურადღებით იყავითო, მაგრამ მაინც გაგვიტანეს. ალბათ, ბოლომდე არ ვიყავით ყურადღებით და იმიტომ...

**- შესვენებისას რა გითხრათ მწვრთნელმა?**

- დაშვებული შეცდომები უნდა გამოვასწოროთ და გოლებიც გავიტანოთო.

დავით ცაგაძე

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

მეტოქეები

# უარესი არავინ იყო

გუშინ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლში ჩვენი ჯგუფის მეტოქეებმაც გამართეს ამხანაგური მატჩები. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს კვიპროსმა უკრაინა შინ კინაღამ დაამარცხა. მარკოვის ბულგარეთმა ჩრდილო ირლანდიაში მასპინძელთა ავტოგოლის წყალობით მოიგო. ირლანდიელები ბრაზილიასთან შინ ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ. იტალიამ კი ციურიხში პორტუგალია დაამარცხა. საერთო ჯამში გუშინდელ მატჩებში საქართველოზე უარესად, გამომდინარე მეტოქის სიძლიერიდან, არავის უთამაშია.

**კვიპროსი–უკრაინა 1:1**

1:0 ეფსტატიოსი (20-პენ), 1:1 მილევსკი (71)

**კვიპროსი:** გიორგალიდი, საციასი (67. ხრისტაკისი), ხარალამბუსი, ოკარიდესი (46. ლამბრუ), პარასკევასი, ხრისტოსმუსი (46. გარპოცისი), ხარალამბიდესი, მარკიდისი (60. გეორგიოსი), მარიოსი, იასუმისი (60. გეორგეადისი), ეფსტატიოსი (80. ალეკუსი).

**უკრაინა:** შოვკოვსკი, კუჩერი, ტიმოშჩუკი, რუსოლი, როტანი (46. მილევსკი), გუსევი (60. გაი), ვორობეი (46. გლადკი), შევჩუკი (75. ფედორივი), დოპილკა (75. ეზერსკი), მიხალიკი (89. მანძიუკი), ნაზარენკო.

**ირლანდია–ბრაზილია 0:1**

0:1 რობინიო (67)

**ირლანდია:** გივენი, დანი, კელი, ო'ში, კარსლი, დაფი, კილბეინი, მაკგიდი, მილერი (46. პოტერი), დოილი (72. ჰანტი), კინი.

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, ალექსი, ანდერსონ ლუიზაო, ჟილბერტო სილვა, ჟულიო ბაპტიშტა, ჟოსუე (83. ლუკაში), დიეგო (78. ანდერსონი), რიჩარლისონი, რობინიო, ლუიშ ფაბიანო (84. რაფაელ სობისი), ლეონარდო და სილვა.

**მაყურებელი:** 38 000

**იტალია–პორტუგალია 3:1**

1:0 ტონი (45), 2:0 პირლო (51), 2:1 კუარეშმა (77), 3:1 კვალიარელა (80)

**იტალია:** ამელია, ბარძალი (53. გამბერინი), კანავარო, ოდო (81. კასეტი), ძამბროტა (29. გროსო), ამბროზინი, დე როსი (53. პეროტა), პირლო, დი ნატალე, პალადინო (79. კვალიარელა), ტონი (71. ბორიელო).

**პორტუგალია:** რიკარდო, ბრუნო ალვეში, მარკო კანეირა, რიკარდო კარვალიო, ბოსინგვა (69. ჟორჟე რიბეირო), დეკუ (46. ნანი), პეტიტი (46. ფერნანდო მეირა), მანიშე, მაკუკულა (57. უგო ალმეიდა), კუარეშმა, კრისტიანო რონალდო.

**მაყურებელი:** 30 500

**ჩრ. ირლანდია–ბულგარეთი 0:1**

0:1 მ. პეტროვი (38)

**ჩრ. ირლანდია:** ტეილორი (83. მანუსი), ევანსი (46. კრეიგანი), ა. ჰიუზი, მაკოლეი, მაკარტნი (46. ბერდი), ბრანტი, კლინგენი, გილესპი (78. ტომპსონი), ჯონსონი (46. ს. დევისი), ჰილი, ლაფერტი (60. პატერსონი).

**ბულგარეთი:** გ. პეტკოვი (46. ივანკოვი), ანგელოვი, მილანოვი, ტომაშიჩი, ტუნჩევი (66. კარასლავოვი), ვენკოვი (73. ზანევი), გეორგიევი, იანჩევი (46. დიმიტროვი), ბერბატოვი (82. დომოვჩიისკი), ლაზაროვი (66. პოპოვი), მ. პეტროვი.

**მაყურებელი:** 13 000



მესხებმა ქუთაისში გაიხარეს

სამზადისი. ამხანაგური მატჩი

# მესხეთმა მოგებით დაიწყო

**ტორპედო–მესხეთი 0:2**

**0:1 სამადაშვილი (15. მუშკუდიანის პასით), 0:2 მუშკუდიანი (30).**

მესხეთი: **სომხიშვილი, ლეკიშვილი, ლ. მერებაშვილი, კობესაშვილი, ნადირაშვილი, გვირჯიშვილი, კოშკაძე, კ. ხანიშვილი, თაყაძე, მუშკუდიანი, სამადაშვილი.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **ძამუნაშვილი, ინასარიძე, გ. სუდაძე, აკოფიანი, თელიაშვილი.**

"მესხეთი" ჩემპიონატის მეორე წრისთვის უკვე კარგა ხანია ემზადება. ფიზიკურად მომძლავრების შემდეგ **კობა თედიაშვილის** შეგირდებმა საწვრთნელ პროცესში ბურთიც ჩართეს და ამხანაგური მატჩიც გამართეს. ახალციხელები ქუთაისს ეწვივნენ და "ტორპედოს" გაეჯიბრნენ. "მესხეთმა" პირველ ტაიმშივე მოითავა საქმე. რიონისპირელთა ძლევაში დიდი წვლილი შეიტანა **ზურაბ მუშკუდიანმა**, რომელიც ზამთრის პაუზისას დაუბრუნდა ახალციხელთა გუნდს.

სხვა ახალწვეულებზეც ვთქვათ, "მესხეთს" **ალექსანდრე კოშკაძე, კობა ხანიშვილი, ლევან მერებაშვილი** და **გურამ სამადაშვილიც** დაემატნენ. ამ ფეხბურთელებმა უკვე გააფორმეს კლუბთან კონტრაქტი.

სეზონის გაახლებამდე გუნდი კიდევ არაერთ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. ახალციხელები მალე სავარაუდოდ ცხინვალის "სპარტაკს" გაეჯიბრებიან.

**დავით ცაბაძე**



პორტუგალიელებს მესამე კვალიარელამ გაუტანა

# მოუსმინეთ დილის მაჯისცემას

„დილა" მეორე წრის წინა შეკრებას განაგრძობს. გორელებმა ამჯერზე მშობლიურ ქალაქში დაგეგმილი მოსამზადებელი ეტაპი მოილიეს. 5 თებერვალს შიდა ქართლელები ზღვისპირეთში გაემგზავრნენ, სადაც ათ დღეს დაჰყოფენ და ზამთრის შესვენებას საბოლოოდ უკვე იქ დაასრულებენ. გორში დაბრუნებულებს კი ოროდ დღეში საქართველოს თასის მეოთხედფინალში „ბორჯომთან" ელით პირველი მატჩი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველი წრის შემდეგ ბორჯომელთა მდგომარეობა ფინანსური თვალსაზრისით გარკვეულწილად გაუარესდა, გუნდის შემადგენლობაც შესუსტებულია და რომ „დილას" პირიქით ორივე ზემოთ აღნიშნულ ასპექტში უწინდელზე ცოტა უკეთ აქვს საქმე, შანსები **ვანო ხორგუაშვილის** გუნდის თასის ნახევარფინალში ხილვისა, ადრინდელთან შედარებით გაზრდილია.

სამაგიეროდ, სათასო და ჩემპიონატის მეორე წრის წინა სამზადისში გორელთა ვარჯიშებზე, როგორც მოსალოდნელი გახლდათ თანდათან იკლო იმ ფეხბურთელთა რაოდენობამ, გუნდის ვარჯიშზე ბოლოსწინა სტუმრობისას რომ ვნახეთ. „დილის" სამწვრთნელო შტაბმა ნაწილი გასასინჯი ფეხბურთელებისა დაითხოვა. იმავდროულად ვარჯიშებზე ჯერაც ჰყავთ ისინი, ვისი დატოვებაც ამ ეტაპზე ბოლომდე არაა გადაწყვეტილი და პარალელურად არ შეჩერებულა მუშაობა არც ახალი ფეხბურთელების გადმოსაბირებლად, თუმცა ახალი გუნდის ძირითადი ბირთვი ცხადია უკვე არსებობს.

მწვრთნელები გორში ძირითადად შეგირდთა ფიზიკური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად იღწვოდნენ, ზღვისპირა კურორტზე უკვე ბურთით მუშაობას დაეთმობა მეტი ყურადღება.

სხვათაშორის უნდა აღვნიშნოთ, რომ „დილის" მიმართ ადგილობრივი ხელისუფლების ტრადიციული დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რასაც ბოლო წლებში მიჩვეული ვიყავით, არ გაგვიკვირდებოდა, თუ გადამწყვეტ მომენტში, ანუ ამ შემთხვევაში მეორე წრის დაწყების წინ გუნდს რიგ მიზეზთა გამო ისევ გაურკვევლობაში ჩააგდებდნენ. მით უფრო, რომ მოხდა საკადრო ცვლილება - შიდა ქართლის გუბერნატორი (ვლადიმერ გეგელაშვილი), რომლის დანიშვნის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ „დილის" ძლიერ გუნდად ჩამოსაყალიბებელ გზაზე რეალური ნაბიჯები გადადგა, ამ დღეებში შეიცვალა. თუმცა ვარაუდობენ, რომ ვითარება ამ მხრივ არ შეიცვლება. მართალია „დილა" გრანდიოზულ ფინანსურ შესაძლებლობებს არ ფლობს, მაგრამ ადრე ნანახის შემდეგ ეს უკვე სიახლეა გორელთათვის.

ნამდვილად დიდ ოფლისღვრაში არიან „დილის" მწვრთნელ-ფეხბურთელები. სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე გუნდს ერთობ რთულადგადასაჭრელი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი უმაღლეს ლიგაში დარჩენის სახით და რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი იქნება, თუ ეს სტიმული რაღაც მიზეზით ჩანელდება. დღესდღეობით ვანო ხორგუაშვილს იმედი აქვს, რომ ყველაფერი გორელთათვის სასიკეთოდ დასრულდება, რაც დიდწილად რეგიონის ხელისუფალთა ყურადღებაზე იქნება დამოკიდებული და რაც უფრო გულისყურით განაგრძობენ ისინი გუნდის მაჯისცემის სმენას, მით უფრო სტაბილური პულსი ექნება „დილას"!

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**

ლეგიონერები

# ანჟიში ქართველთა სიმრავლეა

## ნავალოვსკიმ და ჯიქიამ კონტრაქტები გააფორმეს



რეზო ჯიქია

"ანჟის" მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ**, ეტყობა, ქართული გუნდის ჩამოყალიბება გადაწყვიტა. პირველი მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ მან რამდენიმე გასასინჯი მოთამაშე გაუშვა, ასეთივე სტატუსით ჩასული მცველი **გიორგი ნავალოვსკი** (რუსთავის "ოლიმპი") და თავდამსხმელები, **რეზო ჯიქია** (რუსთავის "ოლიმპი") და **რეზო ბარაბაძე** (იენის "კარლ ცაისი") კი თავის განკარგულებაში დატოვა და როგორც შევიტყვეთ, არც ნანობს.

დაღესტნელთა გუნდმა გუშინ მეორე შეკრება ისევ თურქეთში დაიწყო. თეთრაძის ხელმძღვანელობით ერთდროულად შვიდი ქართველი ემზადება - მცველები **ვალერი აბრამიძე**, გიორგი ნავალოვსკი, ნახევარმცველები **გოჩა ხოჯავა, ზურაბ არზიანი**, თავდამსხმელები **მიხეილ აშვეთია**, რეზო ჯიქია და რეზო ბარაბაძე.

"ანჟის" გენერალურ დირექტორად **მამუკა ჟუღელი** უკვე ოფიციალურად დაინიშნა. ინფორმაცია თავად დაგვიდასტურა..

"ანჟი" თურქეთში 19 თებერვლამდე გაჩერდება და ექვს საკონტროლო შეხვედრას გამართავს. მამუკა ჟუღელს ქართველების თაობაზე დავეკითხეთ და მანაც საინტერესო სიახლეები გაგვიმხილა.

"გიორგი ნავალოვსკის და რეზო ჯიქიას დარჩენა გადაწყვეტილია. მათ სამწლიანო კონტრაქტები უკვე გააფორმეს, მანამდე კი აბრამიძემ და აშვეთიამ ერთწლიანები.

ნავალოვსკი თეთრაძეს ძალიან მოეწონა. პირველი შეხვედრა მარცხენა მცველად დააყენა და გიორგიმ ისე ითამაშა, დამთავრდა თუ არა შეხვედრა, კონტრაქტი შესთავაზეს. მეორე მატჩი უკვე საყრდენად მოსინჯა და ისევ მაღალ დონეზე ჩაატარა.

იმავეს ვიტყვი რეზო ჯიქიაზეც, სამ თამაშში ორი ბურთი გაიტანა, მათგან ერთი ცენტრიდან და საერთოდაც, ვფიქრობ, რეზო "ანჟისთვის" სერიოზული შენაძენია.

რაც შეეხება რეზო ბარაბაძეს, მისი საკითხი გასარკვევია. ცალკე თემაა გოჩა ხოჯავა. გოჩა ძალიან მაგარ ფორმაშია. ჯერ კიდევ შარშან გუნდის ლიდერი გახდა. თავად მახაჩყალელები ამბობენ, რომ სტადიონზე ხალხი მის სანახავად დადის. უბრალო ფაქტს გეტყვით და თავად განსაჯეთ, გუნდისთვის რა ძალას წარმოადგენს: შარშანდელი სეზონი "ანჟიმ" ძალიან კარგად რომ დაიწყო, ხოჯავას დამსახურებაა. ის იყო გუნდის ლიდერი, ყველა შეტევების სული და გული და სანამ თამაშობდა, გუნდი მეოთხე ადგილზე იმყოფებოდა. შემდეგ ორთვენახევარი ვიზა ვერ მიიღო, "ანჟის" ვერ ეხმარებოდა და გუნდი მეთოთხმეტე ადგილზე დაეშვა. მერე ვიზა მიიღო და "ანჟი" ისევ ათამაშდა, ზედიზედ შვიდი თამაში არ წააგეო და ყველამ აღიარა, რომ გოჩა შეუცვლელი ფეხბურთელია. ხალხს აგიჟებს ისე თამაშობს, შვიდი კაცი ერთდროულად მოუტყუებია და ხომ გითხარით, ხალხს მაგის ნახვა უხარია.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, სეზონი ისე ჩაატარა, ჩემპიონატი დამთავრდა თუ არა, რამენსკოეს "სატურნში" და ერთ-ერთ პორტუგალიურ კლუბში მიიწვიეს, მაგრამ დაღესტნელებმა არ გაუშვეს. საქმე ისაა, რომ წლეულს პრემიერლიგაში გადასვლა გვსურს და ლიდერის წასვლა ძალიან დაგვაზარალებდა. პორტუგალიური კლუბის მენეჯერი მზად იყო მილიონი დოლარი გადაეხადა და მაინც უარით გაისტუმრეს. ხოჯავა ჯერ მხოლოდ 22 წლისაა და მას წინ აქვს უკეთესი წინადადებები."

მართალია, რუსეთის პირველ ლიგაში ლეგიონერებზე ლიმიტია დაწესებული, მაგრამ რაც უნდა გასაოცარი იყოს, შეზღუდვა შვიდი ქართველიდან მხოლოდ სამს თუ შეეხება. აბრამიძე, ჯიქია, არზიანი და აშვეთია რუსეთის მოქალაქეები არიან. საქართველოს პასპორტით მხოლოდ ნავალოვსკი, ხოჯავა და ბარაბაძე 'არიან.

დაღესტანში ქართველების სიმრავლე არ ალიაზინებთ, რაც არანაკლებ მნშვნელოვანი ფაქტორია.

"ალიზიანებთ კი არა, კლუბის პრეზიდენტმა სულტამ მაგომედოვმა მითხრა, რაც მეტი ქართველი მეყოლება, მით უფრო გამეხარდებაო. სულ იმას იმეორებს, რომ მეზობლები, მეგობარი ერები ვართ და ჩვენს შორის განსაკუთრებული ურთიერთობები უნდა არსებობდესო." - გვითხრა ჟუღელმა.

**მერაბ მამულაშვილი**



კახა ალადაშვილი

# ხარკოვი ალადაშვილს იტოვებს

## კვირკველიას სამწლიანს სთავაზობენ

უკრაინაში ორი ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერი უნდა განხორციელდეს. "ხარკოვი" 24 წლის ქართველ მცველ **კახა ალადაშვილთან** ხელშეკრულებას ამზადებს. კახა ახალ გუნდში დეკემბრიდან ვარჯიშობს და მთავარი მწვრთნელის, **ვლადიმირ ბესონოვის** მოწონება დაიმსახურა. ის "ხარკოვში" მხოლოდ იჯარით ითამაშებს, რადგან კიევის "დინამო" დიდ თანხას ითხოვს, ხარკოველებს კი ამხელა შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

**დავით კვირკველიაზე** დასაკვირვებლად თბილისში დონეცკის "მეტალურგის" წარმომადგენელი უნდა ჩამოფრენილიყო. ის საქართველო-ლატვიის გუშინდელ მატჩზე დასწრებას გეგმავდა, მაგრამ დათომ ტრავმის გამო ვერ ითამაშა.

ამის მიუხედავად, მისი საკითხი ფაქტობრივად გარკვეულია - დონეცკელებს სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება განუზრახავთ. ფეხნატკენი კვირკველია კი, შესაძლოა, მცირე ხნით სამკურნალოდ გერმანიაში გაემგზავროს.

**მერაბ მამულაშვილი**

# მუჯირს კომენტარი აუკრძალეს

## ყველაფერი მხოლოდ ლოკომოტივისთვის

**დავით მუჯირმა** ორი შეხვედრა ჩაატარა მოსკოვის "ლოკომოტივში" და გულშემატკივრები უკვე მოიმადლიერა.

გაზეთი "ტვოი დენი" წერს: "მოსკოვის "ლოკომოტივის" ახალწვეული დავით მუჯირი კერნტენის "აუსტრიასთან" შეხვედრის ერთ-ერთი გმირი გახდა. სწორედ 30 წლის ქართველი ფლეიმეიქერის გადაცემით გაიტანა კორჩაგინმა ერთადერთი ბურთი მეორე ტაიმის დასაწყისში".

"ლოკომოტივის" პრესატაშე **სერგეი მეშჩერიაკოვი** აცხადებს: "დათო მეორე ტაიმში გამოვიდა მოედანზე და ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მთელი თამაში, უმთავრესად, მასზე იყო აწყობილი. გოლის გატანამდე ბურთი ჩაჭრა, საჯარიმოში შეიჭრა და ზუსტი გადაცემით კორჩაგინს გაატანინა."

დათო მუჯირი ამჟამად თბილისშია. დავუკავშირდით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ინტერვიუს მოცემა არ შეუძლია. მიზეზი "ლოკომოტივის" მოთხოვნა ყოფილა - სანამ ინტერვიუს მოსკოველთა ოფიციალურ ვებგვერდს არ მისცემს, მანამდე სხვებთან ლაპარაკი კატეგორიულად აუკრძალეს და სხვა რა დარჩენია.

5 თებერვალს კლუბები ტრანსფერის ლეგიტიმურობასთან ერთად, შეთანხმდნენ იმაზეც, რომ გარიგებას საჯაროდ აღარ განიხილავენ და ყოველგვარი კომენტარი აიკრძალა.

თავად დათო კი ნაკრებში არ ჩამოვიდა იმის გამო, რომ "ლოკომოტივში" გადასვლის გამო, მორალურად და ფიზიკურადაც გადაღლილია და ნაკრების ხელმძღვანელებს ემადლიერება, ასეთ მდგომარეობაში რომ გაუგეს და ლატვიასთან მატჩისთვის შეკრებაზე აღარ გამოიძახეს.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

შალკე

# გროსმიულერმა ლოვენკრანდსი სცემა

## ...რის შემდეგაც დანიელმა შტუტგარტთან ველარ ითამაშა. ამბობენ, ურუგვაელს ამით უნდოდა, რომ ძირითად შემადგენლობაში მის თანამემამულე სანჩესს ეთამაშაო. გამარჯვებული კი კობიაშვილია!



ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლოს გროსმიულერისა (მარცხნივ) და პეტერ ლოვენკრანდსის (მარჯვნივ) ჩხუბით კობიაშვილმა იხეირა

გასულ კვირას, გერმანიის ჩემპიონატის მე-18 ტურში, **პეტერ ლოვენკრანდსმა** „შალკეს" შემადგენლობაში (შტუტგარტთან) არ იასპარეზა. ამის მიზეზად ტრავმა დასახელდა, რაც მართლაც შეესაბამება სიმართლეს – დანიელი მარცხენა გარემარბი იმდენად შეუძლოდ იყო, რომ თამაში ვერ მოახერხა. მის ნაცვლად კი, გელზენკირხენული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ჩვენებური **ლევან კობიაშვილი** ვიხილეთ. საერთოდ, კობი ან საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს ხოლმე, ანაც მარცხენა მცველად დგას. შემთხვევები, როცა ლევანმა მარცხენა გარემარბად, ფაქტობრივად მარცხენა თავდამსხმელად ითამაშა, თითზე ჩამოსათვლელია. შესაბამისად, ცოტათი გასაკვირი იყო ის ფაქტი, რომ „შალკეს" მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** ამ პოზიციაზე სწორედ ქართველი ათამაშა, რადგან ლოვენკრანდსის გარდა მას მარცხენა ფორვარდის პოზიციაზე ურუგვაელი ახალწვეული **ვისენტე სანჩესიც** ჰყავს. სხვა საქმეა ის, რომ კობიმ მასზე დაკისრებულ ამოცანას თავი იდეალურად გაართვა და მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა ახალი მოშუშებული აქვს, მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

როგორც გაირკვა, ამ ისტორიას წინ სულ სხვა ისტორია უძღოდა, რომლის შესახებაც ახლა მოგითხრობთ. შაბათს, მატჩის წინ გამართულ უკანასკნელ ვარჯიშზე ლოვენკრანდსი სცემეს. ვინ სცემა? თანაგუნდელმა **კარლოს გროსმიულერმა!** ჩხუბის ამსახველი ფოტოები არ არსებობს, მაგრამ შალკელები ჰყვებიან, რომ ურუგვაელმა დანიელი ჟარგონულ ენაზე რომ ვთქვათ, ფეხ-გვეშ გაიფინა, რის გამოც „შტუტგარტთან" ლოვენკრანდსის თამაში 100 პროცენტით გამოირიცხა.

*„დიახ, ეს სიმართლეა, ძალიან მძიმედ დავშავდი, მაგრამ გუნდში შექმნილი სიტუაციის გამო ამ შემთხვევაზე სხვა კომენტარს არ გავაკეთებ. ფაქტი ის გახლავთ, რომ გაოგნებული და ძალიან გაბრაზებული ვარ!"* – განუცხადა ლოვენკრანდსმა დანიელ ჟურნალისტებს.

რაც ყველაზე საინტერესოა, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა გროსმიულერი გვიმტკიცებს, რომ ჩხუბში მართლაც ძალიან მაგარია. ჩვენი გაზეთის მკითხველს კარგად ეხსომება ის ფაქტი, როცა გროსმიულერი ფრანკფურტის "აინტრახტთან" მატჩის დროს სათადარიგოთა სკამიდან წამოხტა, მოედანზე შეიჭრა და მეტოქე გუნდის ფეხბურთელ **მიხაელ თურკს** ჩხუბი დაუწყო. მაშინ გროსმიულერი გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, „შალკემ" კი მას სოლიდური ფულადი ჯარიმა დააკისრა.

პიკანტურია ის, რასაც დანიური პრესა წერს – გროსმიულერს ლოვენკრანდსის ცემით იმის მიღწევა სურდა, რომ კვირას, „შტუტგარტთან" დანიელის პოზიციაზე გროსმიულერის თანამემამულეს და მის მეგობარ **ვისენტე სანჩესს** ეთამაშაო. ცხადია, თუკი ამ ამბავმა დანიურ პრესამდე მიაღწია, სლომკა პირველ რიგში შეიტყობდა. ჰოდა, „შალკეს" თავკაცმა აბსოლუტურად ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო: ძირითად შემადგენლობაში არც სანჩესი ათამაშა და ლოვენკრანდსის ადგილზე სულაც კობიაშვილი გაამწესა, რომელმაც მარცხენა გარემარბად 90 წუთი ითამაშა. სანჩესი კი, სლომკამ მატჩის მიწურულსღა შეუშვა, ისიც არა კობის, არამედ სხვა ფეხბურთელის ნაცვლად.

გუშინ ლოვენკრანდსი ამბობდა, გროსმიულერმა შეცდომა აღიარა და ბოდიში მომიხადაო, მაგრამ ჩვენს გერმანელ კოლეგებს მისი სიტყვების სიმართლეში ეჭვი ეპარებათ. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ დანიელმა ფეხბურთელმა ეს განცხადება იმ მიზნით გააკეთა, რომ ამ ამბავმა აყალ-მაყალი არ გამოიწვიოს. გუშინვე, ლოვენკრანდსს ვარჯიში უნდა განეახლებინა...

**გოტფრიდ ლენცი**



ესეკილ გარაი ბარსელონას დარჩა

ბარსელონა

# ბეგირისტაინმა მიატოვიჩს ბრძოლა მოუგო

## გარაი ბარსელონელებს დარჩათ, რა შეცდომა დაუშვა სამეფო კლუბის გენერალურმა დირექტორმა?

**გუშინ** "დიარიო მარკას" სანტანდერის რეგიონული ბიუროს კორესპონდენტმა ალვარო ვასკესმა "რასინგის" ოფისიდან გამოსული ჩიკი ბეგირისტაინი დაინახა. მან უმალ მადრიდში დარეკა და რედაქციას აცნობა იმის შესახებ, რაც საკუთარი თვალით იხილა. გაზეთის თანამშრომლებს ეჭვი გაუჩნდათ, "ბარსელონის" გენერალური დირექტორი კანტაბრიაში მადრიდის "რეალისთვის" ფეხის გამოსაკრავად ხომ არ იყო ჩასული. მათ ეჭვი ასი პროცენტით გამართლდა. გუშინ გაცხადდა, რომ ბეგირისტაინმა "რასინგიდან" ესეკილ მარსელო გარაი გადაიბირა. კატალონიურმა გრანდმა არგენტინელ ცენტრალურ მცველს ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ითქვა, რომ "ბარსას" სამხრეთამერიკელის შეძენა 21 მილიონი ევრო დაუჯდა. თუმცა, ჟოან ლაპორტა ამ თანხას ნაწილნაწილ გადაიხდის. პირველადი შენატანი 4. 750 მილიონი ევროა. ზუსტად ამდენივეს "რასინგი" ივნისში მიიღებს. დარჩენილ თანხას კი "ბარსელონას" მესვეურები 2009 წლის სექტემბრამდე გაისტუმრებენ.

ალბათ გაინტერესებთ, "რეალისთვის" ფეხის გამოკვრა რაში მდგომარეობდა. საქმე ისაა, რომ გარაის შეძენის სურვილი ყველაზე ადრე სწორედ სამეფო კლუბმა გამოთქვა. **პრედრაგ მიატოვიჩი** სანტანდაერელებთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, თუმცა, დედაქალაქური გრანდის გენერალური დირექტორი ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ კოლეგები პარალელურად კატალონიელებთანაც ურთიერთობდნენ. მიატოვიჩი მომხდარი ფაქტით აღშფოთებული დარჩა: "*გაუგონარი უპასუხისმგებლობაა. ვერ წარმოვიდგენდი, თანამედროვე ფეხბურთში ასეთი მუხთლობა თუ მოხდებოდა. ჩვენ "რასინგს" კონკრეტული წინადადებით მივმართეთ და მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ სოლიდურ თანხასაც ვიხდიდით. არავის უთქვამს, პარალელურად "ბარსელონასაც" ველაპარაკებითო. ეს რომ გვცოდნოდა, რა თქმა უნდა, სხვაგვარად ვიმუშავებდით. უბრალოდ, საზოგადოდ მიღებული თამაშის წესები არ უნდა დაარღვიო. ეს უნამუსობაა და სხვა არაფერი. მე საქმეს პატიოსნად მივუდექი და მართლაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ მიღალატებდნენ.*"

მიატოვიჩის სენტიმენტალურ განცხადებას "რასინგის" დირექტორატის თანამშრომელმა, **სესარ მონტოიამ** უპასუხა: "*სენიორ პრედრაგი საზოგადოებას არასწორ ინფორმაციას აწვდის. დიახ, მისთვის უშუალოდ "ბარსელონა" არ გვიხსენებია, მაგრამ ნამდვილად ვუთხარით, რომ გარაის შეძენის სურვილი სხვა კლუბებსაც გააჩნდათ. მაგალითად, "იუვენტუსს". კატალონიელებმა გვთხოვეს, მათი დაინტერესების ფაქტი არ გაგვეხმაურებინა. ვფიქრობ, ამით არაფერი იცვლება. მიატოვიჩმა იცოდა, რომ გარაის სხვა დიდი კლუბებიც ინვევდნენ, თუმცა ამას არ იმჩნევდა და გვეუბნებოდა, "იუვენტუსისა" და სხვა კლუბების დაინტერესებაზე იმიტომ გველაპარაკებით, რომ მეტი ფული გადაგიხადოთო. "რეალის" გენერალურ დირექტორს მოუწევს აღიაროს, რომ მოლაპარაკებებისას სერიოზული შეცდომა დაუშვა. ვიმეორებ, ჩვენ მადრიდელებისთვის "ბარსელონას" სახელის გარდა, არაფერი დაგვიფარავს. რაც შეეხება, სამეფო კლუბის მიერ შემოთავაზებულ სოლიდურ თანხას, პირდაპირ ვიტყვი, "ბარსელონამ" უფრო მეტი ფული გადაგვიხადა. იქნებ ვინმემ მითხრას, უპირატესობა მათთვის რატომ არ უნდა მიგვენიჭებინა? "რეალი" "რასინგის" არც ძმაა და არც პარტნიორი. მოკლედ, უბრალო კომერციული გარიგება გახლდათ. გიამარჯვა იმან, ვინც სწორად იმუშავა და მეტი გადაიხადა.*"

ალბათ, დაგაინტერესებთ და იტყვით, განა ვინ არის ეს გარაი იმისთანა, რომ ესპანური ფეხბურთის გიგანტები ერთმანეთს გადაემტერნენ. სპეციალისტები მას საუკეთესოდ ახასიათებენ და აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში პლანეტის ხუთ საუკეთესო მცველთა ჩამონათვალში მოხვდება. სხვათაშორის, არგენტინელის შესახებ **ბერნდ შუსტერსაც** არაერთხელ უსაუბრია. გერმანელი სპეციალისტი ყოველთვის აღფრთოვანებას გამოხატავდა.

როგორც ხედავთ, სანტანდერელებმა მადრიდელ კოლეგებს ინფორმაცია მხოლოდ ნაწილობრივ გაუმხილეს. მიატოვიჩისთვის "ბარსელონას" სახელი მართლაც არავის უხსენებია. საინტერესოა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ესეკილ გარაიც დუმდა. მან მხოლოდ გუშინ გამართა საგანგებო პრესკონფერენცია და ჟურნალისტებს გულახდილად გაესაუბრა: "*ბედნიერი ვარ, რომ მომავალი სეზონიდან პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის ღირსებას დავიცავ. ეს ჩემთვის უდიდესი პატივია. მოლაპარაკებების პროცესს რაც შეეხება, მთხოვეს, ჩუმად ვყოფილიყავი. ამიტომ ვმუშაობდი და ხმას არ ვიღებდი. ჩემი მენეჯერი ერთდროულად "რეალისა" და "ბარსას" მესვეურებს ესაუბრებოდა. მან დამარწმუნა, კატალონიელები გაცილებით უკეთეს პირობებს გთავაზობენ და მზად არიან კონტრაქტი ახლავე გაგიფორმონო. სიმართლე გითხრათ, "კამპ ნოუ" მაჯადოებს და გადავწყვიტე, ბევრი აღარ მეფიქრა. ვერ ვხვდები, მადრიდელები რატომ ღელავენ. ისინი არავის მოუტყუებია, უბრალოდ, ბრძოლა "ბარსამ" მოიგო.*"

გარაი კატალონიელთა განკარგულებაში მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე გადავა. "ბარსას" პრესსამსახურის ცნობით, წლიურ გასამრჯელოდ ის 4.8 მილიონ ევროს მიიღებს.

მომავალი სეზონისთვის მზადება კარგი და მნიშვნელოვანია, მაგრამ მიმდინარე პრობლემებსაც მოგვარება სჭირდება. მოგეხსენებათ, ფრენკ რაიკაარდის გუნდმა პრიმერა დივიზიონში მრავალი ქულა დაკარგა. მართალია, წინა ტურში 9-ქულიანი ჰანდიკაპი 6-მდე შეამცირეს, მაგრამ სპეციალისტები "ბარსას" უსახურ თამაშზე სრულიად სამართლიანად აპელირებენ. თუნდაც "ოსასუნასთან" მოგებული პაექრობა ავიღოთ. კატალონიელები გაუგებარ ფეხბურთს თამაშობდნენ და გულშემატკივრებს მოთმინებას აკარგვინებდნენ. მიმომხილველთა აბსოლუტური უმრავლესობა მთავარ დამნაშავედ რაიკაარდს აცხადებს. ამის გამო ხმები დაირხა, ჰოლანდიელ სპეციალისტს მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე კონტრაქტს გაუწყვეტენ და შინ გაუშვებენო. მითქმა-მოთქმამ ძალიან დიდი მასშტაბი შეიძინა, რის გამოც ლაპორტა იძულებული გახდა, საგანგებო პრესკონფერენცია მოეწვია. პრეზიდენტმა ბევრისთვის აბსოლუტურად მოულოდნელი რამ თქვა: "*ფრენკს კონტრაქტის ვადა 2009 წლის ივნისში ეწურება. მის გაწყვეტას არ ვაპირებთ. ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიუხედავად, მისი მუშაობით ძალიან კმაყოფილები ვართ. სხვა მწვრთნელის მოწვევა აზრადაც არ მომსვლია. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია მოგახსენოთ, რომ რაიკაარდი მომავალ სეზონშიც "კამპ ნოუზე" იმუშავებს. პრესაში უამრავი ჭორი თუ ვარაუდი წავიკითხე. მოურინიოს ფაქტობრივად "ბარსელონას' ახალ მწვთნელად ასახელებდნენ. ძალიან მაინტერესებს, საიდან გავრცელდა ეს ჭორი. სენიორ ჟოზე თვალითაც არ მინახავს და თანამშრომლობაზე როგორ დაველაპარაკებოდი. რა თქმა უნდა, ის უდიდესი სპეციალისტია, მაგრამ "ბარსელონას" ხელმძღვანელობა რაიკაარდითაც ძალიან კმაყოფილია. ამ ადამიანმა პრიმერა დივიზიონში არაერთხელ გაგვამარჯვებინა. გარდა ამისა, ჩემპიონთა თასი მოგვიტანა. შეუძლებელია ამხელა წარმატებებს უვარგისმა მწვრთნელმა მიაღწიოს. ჩავარდნა ნებისმიერ გუნდს ახასიათებს. მე პროფესიონალი ვარ და სხეულით ვგრძნობ, რომ ფრენკი არ უნდა გავუშვათ. ჩემი აზრით, ეს უდიდესი შეცდომა იქნება.*"

პრეზიდენტის პრესკონფერენციით აღფრთოვანებულმა რაიკაარდმა "რადიო კატალუნიის" მიპატიჟება მიიღო და საეთერო დრო მადლობის გადასახდელად გამოიყენა: "*დიდი ბედნიერებაა, როცა ასეთ რთულ ვითარებაში პრეზიდენტი აბსოლუტურ ნდობას გიცხადებს. დიახ, "ბარსელონასთან' კონტრაქტი მაქვს გაფორმებული, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მე ერთი რამ ვიცი, ლაპორტამ ჩემი მისამართით გასაოცარი სულგრძელობა გამოხატა. მადლიერი ადამიანი ვარ და ამას არასოდეს დავივიწყებ. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩვენმა საყვარელმა "ბარსელონამ" ძველი დიდება დაიბრუნოს. ჩვენ შეგვწევს ამის უნარი.*"

ამასობაში ავანსცენაზე **ოლეგერ პრესასი** გამოვიდა. "ბარსას" მცველმა საზოგადოებას გაუმხილა, რომ საკუთარი კარიერით ძალიან უკმაყოფილოა: "*სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ყელში ამომივიდა. ვფიქრობ, გუნდისთვის ჩემნაირი ფეხბურთელის შენახვა არასახარბიელო საქმეა. მოედანზე თითქმის არ მიშვებენ, მაგრამ კონტრაქტით გათვალისწინებულ ხელფასს ბოლო ცენტამდე მიხდიან. დარწმუნებული ვარ, გუნდის ხელმძღვანელებს ეს სასტიკად არ მოსწონთ. მეც ვდარდობ, რომ მთელ დროს სათადარიგოთა სკამზე ვატარებ. პროფესიონალი ვარ და უთამაშებლობით ვიტანჯები. ვგონებ, დადგა დრო, როცა ყველამ გულზე ხელი უნდა დავიდოთ და ვთქვათ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. "ბარსელონა" ჩემი სახლია. პრაქტიკულად აქ გავიზარდე, მაგრამ როგორც კეთილსინდისიერი ადამიანი, თავს მოვალედ ვთვლი, განვაცხადო, თუ არ მათამაშებენ, ჯობს სხვაგან წავიდე. არ ვიცი, შესაძლოა, იმავე წამს მოვკვდე, როცა მეტყვიან, "ბარსელონელი" აღარ ხარო, მაგრამ მეორე მხრივ თამაშის წყურვილი მკლავს. იმედია, საქმე წასვლამდე არ მივა და ფრენკ რაიკაარდი შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს მომცემს. პრინციპში, ჩემი უნარების შესახებ ამ კაცს ამომწურავი ინფორმაცია აქვს, წლების განმავლობაში მენდობოდა და ძირითადში მაყენებდა. ღმერთმა ქნას, მომავალშიც მოწყალე თვალით გადმომხედოს და ბარსას დატოვება აღარ მომიხდეს.*"

ძნელი წარმოსადგენია, რაიკაარდმა კურსი შეცვალოს და შესანიშნავად მოთამაშე **ჯანლუკა ძამბროტას** ნავლად ოლეგერს დაეყრდნოს. ნუთუ კატალონიელ მცველს წასვლის გარდა სხვა გზა აღარ გააჩნია?

**ილია ნიკოლაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დავიდ ტრეზეგესთან

# ამიხსენით, მეტი რაღა უნდა დავამტკიცო?

## როგორ შეცვალა ტრეზეგემ თამაშის მანერა...



დავიდ ტრეზეგესთვის იდეალური პარტნიორი ალესანდრო დელ პიეროა

**დავიდ ტრეზეგე** სერია A-ს ბომბარდირთა ჯგუფს პირველივე ტურიდან ლიდერობს. იტალიაში მეგოლეობა ჰაერიდან რომ არ მოდის, ეს ყველამ იცის, ვინც კალჩოში მეტ-ნაკლებად ჩახედულია. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი "იუვენტუსის" ფორვარდს მაინც არ სწყალობს. ტრეზეგე მწვრთნელის საქციელს ახსნას ვერ უძებნის. "გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში ის ამ და სხვა საკითხებზე საუბრობს...

**- ტრეზეგე, რატომ რჩები მუდმივად ნაკრებს მიღმა?**

- რა გითხრათ... მოვიგე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები, ვთამაშობ პლანეტის ერთ-ერთ უძლიერეს და პრესტიჟულ კლუბში, ალარაფერს ვამბობ თავად სერია A-ზე. ამიხსენით, მეტი რაღა უნდა დავამტკიცო? ძალიან მინდა, რომ ნაკრებს გამოვადგე, მაგრამ სწორად გამიგეთ, არ მინდა, ვიყო მეხუთე ფორვარდზე, როგორც ეს ბოლო მუნდიალზე მოხდა. ამას გარდა, აქ მოტივაციის საკითხიცაა. ათი წლის წინ, მზად ვიყავი, ნაკრების გულისთვის ყველაფერი დამეთმო. მაგრამ ახლა უკვე 30 წლის ვარ, ბევრი გავაკეთე და კიდევ ვაკეთებ. მიმაჩნია, რომ საფრანგეთის ნაკრებს, როცა კი მიძახებდნენ, ყველაფერი მივეცი. თუმცა დღეს ვეღარ ვპოულობ მოტივაციას, რომ ეროვნულ გუნდში თამაში გავაგრძელო. მწვრთნელმა სხვა ფეხბურთელებზე გააკეთა აქცენტი. ამიტომაც არ მგონია, რომ ევრო 2008-ის განაცხადში მოვხვდები. ზღაპარია! დღეს ჩემი ერთადერთი სახლი "იუვენტუსია".

**- როგორ ფიქრობ, მიაღწევ ჩემპიონატის ბოლოს 30-გოლიან ნიშნულს?**

- ვთვლი, რომ ეს შესაძლებელია. ორი წლის წინ ლუკა ტონიმ 31 გოლი გაიტანა. ის უნიკალური ფორვარდია. ცხადია, ამ ნიშნულზე გასვლა ურთულესი ამოცანა იქნება. მე თუ მკითხავთ, გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება, თუკი დელ პიერო და იაკუინტაც გაიტანენ გოლებს. ასეთ შემთხვევაში, ეს უფრო წაადგებოდა "იუვენტუსს", ვიდრე მარტო ჩემი ბომბარდირობა. თანაც, დღეს ალექსი ბრწყინვალე ფორმაშია. ის იდეალური პარტნიორია, ხშირად იწყებს შეტევებს მოედნის სიღრმიდან, ცდილობს, დირიჟორის ფუნქციებიც შეასრულოს და შეტევებიც დააგვირგვინოს. სხვათა შორის, ის ფსიქოლოგიური კუთხითაც ჩინებულად გამოიყურება... და ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

**- და საკუთარ კონდიციებს რას უწუნებ? ამასწინათ, "ლივორნოსთან" დუბლიც შეასრულე...**

- ნამდვილად ასეა, კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ მთლიანობაში გუნდიც კარგად გამოიყურება. ჩემი გოლები ხომ დიდწილად პარტნიორების დამსახურებაცაა. მე მგონი, ყველა ხვდებით, რომ ამ სეზონს "იუვენტუსისთვის" განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სეზონის სტარტზე ერთგვარი გაურკვევლობა იყო, არ ვიცოდით, როგორი იქნებოდა დასაწყისი და გაგრძელება სერია B-ს შემდეგ. ახლა კი უკვე ვიცით, რაც შეგვიძლია და რისთვის უნდა ვიბრძოლოთ. მატჩიდან მატჩამდე გვემატება დამაჯერებლობა, საკუთარი ძალების რწმენა, რწმენა იმისი, რომ დასახულ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ. მართალი გითხრათ, ამაში მე პირადად ეჭვი არც მეპარება.

**- ისე ჩანს, თითქოს სადღესასწაულო პაუზამ "იუვენტუსს" ტემპი დააკარგვინა. იანვარში ბევრი დაუგეგმავი ქულა გაანიავეთ...**

- გეთანხმებით, მაგრამ ნელან "ლივორნოსთან" მატჩი ახსენეთ და მეც გაგახსენებთ, რომ იმ შეხვედრაში ნამდვილი "იუვე" იყო მოედანზე. თითქოს დავიჭირეთ ის მულამი, რითიც ლამის მთელი პირველი წრის განმავლობაში ვთამაშობდით. არ ვტრაბახობ, მაგრამ ამაში ჩემმა დუბლმაც ითამაშა უდიდესი როლი. ახლა "უდინეზე" და "რომა" გველოდება, ორი ურთულესი მატჩი. და საერთოდაც, ჩვენი პერსპექტივის თვალსაზრისით თებერვალი გადამწყვეტი იქნება.

**- სისოკოს შეძენა ნახევარდაცვას გააძლიერებს?**

- იმედი მაქვს. მას ჯერ ახლოს არ ვიცნობ, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა მაქვს. რანიერი დარწმუნებულია, რომ სწორედ ეს ფეხბურთელი სჭირდებოდა და არა მგონია, ცდებოდეს. ვიცი, როგორ დაჟინებით ითხოვდა ჩვენი მწვრთნელი სისოკოს ჩამოყვანას. ახალგაზრდა ფეხბურთელია, მაგრამ უკვე მოასწრო ისეთ კლუბებში თამაში, როგორებიცაა "ვალენსია" და "ლივერპული". ახლა ის "იუვეშია" და მჯერა, აუცილებლად გამოგვადგება.

**- ზაფხულში შენ ერთ-ერთი პირველი იყავი, ვინც თქვა, რომ "იუვენტუსი" სკუდეტოსთვის მზად იყო. როგორ ფიქრობ, რამდენად რეალურია ახლა ჩემპიონატის მოგება?**

- სერია A-ს დაწყების წინ ყველა გუნდი თანაბარ პირობებში იყო. ვცდილობდი, თანაგუნდელებში მოტივაცია გამეღვიძებინა. მაგრამ "ინტერმა" და "რომამ" ისეთი ტემპი შემოგვთავაზეს, თუ ასე გაგრძელდა, ჩამორჩენის ლიკვიდირება უაღრესად ძნელი იქნება. ჩვენი მთავარი კონკურენტები "მილანი", "ფიორენტინა" და "უდინეზე" იქნებიან, რადგან ამ ეტაპზე პირველხარისხოვანი ამოცანა ოთხეულში და, შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაა. ამავე დროს, რეალისტები უნდა ვიყოთ. საქმე ისაა, რომ უკვე რამდენიმე წელია, "ინტერი" და "რომა" თითქმის ერთი შემადგენლობით თამაშობენ. ეს უდიდესი პლუსია. "იუვენტუსს" კი ჯერ ისევ პროგრესზე მოუწევს ფიქრი.

**- პროგრესი რაში?**

- როგორმე უნდა დავწყნარდეთ, რადგან მეჩვენება, რომ მატჩის დროს ხშირად უმიზეზოდ ვჩქარობთ. უკეთ უნდა ვაკონტროლოთ თამაში, მეტხანს უნდა ვფლობდეთ ბურთს, უნდა ვისწავლოთ სწრაფ ტემპში შეტევა... მოკლედ, ჩვენს ძლიერ მხარეებზე კიდევ უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ, ეს ძლიერი მხარეები კი ნამდვილად ბევრი გვაქვს.

**- რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ "იუვენტუსი", უმეტესწილად, ქულებს ბოლო წუთებზე გატანილი გოლების წყალობით აგროვებს? ეს გუნდის ხასიათის გამომხატველი ხომ არ არის?**

- წარმოიდგინეთ, ჩვენ ერთი წელი გავატარეთ სერია B-ში და ვთვლი, რომ აბსოლუტურად დაუმსახურებლად. ახლა, როცა ელიტაში დავბრუნდით, ყველას სწრაფად უნდა რეაბილიტაცია და წარმატების მიღწევა. მაგრამ სერია B-ში ერთი პლუსიც იყო: ამ ერთმა წელმა არნახულად გააძლიერა გუნდის საბრძოლო სულისკვეთება. ამიტომაცაა, რომ გოლი წყურვილს ბოლო წუთამდე, შეიძლება ითქვას, ბოლო წამებამდეც ვინარჩუნებთ. ჩვენ არ გავბოროტებულვართ, ჩვენ გავძლიერდით და ეს ფაქტია, რომელსაც ყველა აღიარებს.

**- კონკრეტულად რაში გაძლიერდა, მაგალითად, ტრეზეგე?**

- კონცენტრირებული ვარ იმაზე, რომ გუნდს მაქსიმალური სარგებელი მოვუტანო. ადრე, "იუვენტუსში" ბევრი ვარსკვლავი იყო და თამაშიც უფრო მიგვდიოდა, უფრო ადვილად ვაღწევდით შედეგს. სეზონის დასაწყისში, როცა მზადებას ვიწყებდით, რანიერიმ ვეტერანებს გვთხოვა, ახალგაზრდებისთვის ყურადღება მიგვექცია, რათა ადაპტაცია გასჭირვებოდათ. პირადად ჩემთვის, ეს პასუხისმგებლობა დამატებით სტიმულად იქცა. ამას გარდა, ცოტათი თამაშის მანერაც შევცვალე: თუკი ადრე მხოლოდ წინა ხაზზე ვიყავი და გოლებზე ვფიქრობდი, ახლა ვცდილობ, პარტნიორებსაც დავეხმარო.

**- სერია A-ს ბომბარდირის წოდებისთვის ბრძოლაში შენი მთავარი კონკურენტები მუტუ და იბრაჰიმოვიჩი არიან...**

- სხვათა შორის, ძალიან მიხარია ასეთ ძლიერ კონკურენტებთან ბრძოლა. თანაც, ისინი ხომ ჩემი ყოფილი თანაგუნდელები არიან. მათთან ერთად ბრწყინვალე სეზონი ჩავატარეთ. არ შემეშინდება იმის თქმის, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო "იუვე" ბოლო 20 წლის განმავლობაში... მერე თითოეულმა ჩვენგანმა თავისი გზა მონახა. და კარგია, რომ ისინი დღევანდელობით კმაყოფილნი არიან. ზლატანი სერია A-ს უძლიერეს გუნდში თამაშობს, რაც მას ამოცანას საგრძნობლად უადვილებს, მუტუ კი "ფიორენტინაშია", რომელიც აქცენტს შეტევასა და დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდობაზე აკეთებს. ამიტომაც ძნელია პროგნოზის გაკეთება მომავალ ბომბარდირთან დაკავშირებით. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დაელოდეთ და ნახავთ...

**- რამდენად მტკივნეული იყო "იუვენტუსისთვის" იტალიის თასიდან გავარდნა?**

- არ მინდა ვთქვა, რომ ამ მარცხმა გამოუსწორებელი დარტყმა მოგვაყენა, მაგრამ ძალიან სამწუხარო და დასანანი იყო წაგება იმ ფონზე, როცა პირველი მატჩის შემდეგ, ფაქტობრივად, საქმის ნახევარი გაკეთებული გვქონდა. საპასუხო მატჩშიც მიგვყავდა ანგარიში, მაგრამ... მაგრამ "ინტერი" "ინტერია"... გულშემატკივრები შეტევებისკენ მოგვიწოდებდნენ, თითქმის ყოველ წუთში გვახსენებდნენ, რომ ჩვენს წინაშე პრინციპული მეტოქე იყო და წაგება არ შეიძლებოდა... ამიტომაც, ეს მარცხი ორმაგად საწყენი იყო...

ინტერვიუ ბერნდ შნაიდერთან

# ჩემპიონთა ლიგა მომენატრა

## 2002 წელი რომ ახსენდება, შნაიდერს ტანში ჟრუანტელი უვლის ხოლმე...



ბერნდ შნაიდერი კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს

ბერნდ შნაიდერი მოედანს მიღმა ყურადღების ცენტრში იშვიათად ექცევა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ „ლევერკუზენისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი თავისებური, თავდმდაბალი და მშვიდი ადამიანია, რომელიც არასდროს გახვეულა სკანდალში და არასდროს გამოწვევია ეიფორია არასაფეხბურთო თვალსაზრისით. შნაიდერი გერმანიის ნაკრებში ერთ-ერთი ყველაზე გაწონასწორებული და მუშა ფეხბურთელი გახლავთ, რომელიც ყოველთვის ჩუმად აკეთებს თავის საქმეს. ცოტა ხნის წინათ მან უმძიმესი ტრავმა მოირჩინა და აღსანიშნავია, რომ ეს გახლდათ პირველი სერიოზული დაშავება მის კარიერაში. ბერნდს გამოცემა „სპოქსის" ჟურნალისტი გაესაუბრა.

**- ჰერ შნაიდერ, საერთოდ, ტრავმები იშვიათად გაწუხებთ ხოლმე. თქვენი კარიერის განმავლობაში დაშავებული იშვიათად იყავით. ახლა კი თქვენც მოგიხდათ ლაზარეთში ყოფნა. რა არის იმის მიზეზი, რომ ბერნდ შნაიდერი ტრავმებს იშვიათად იღებს, უბრალოდ სხვებზე ხშირად გიმართლებთ?**

- საერთოდ, ვარჯიშზე უფრო მნიშვნელოვანი ყოველთვის ვარჯიშის ან თამაშის შემდეგ რეგენერაციაა. ბუნდესლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელს ფიტნესის მხრივ გარკვეულ დონეზე მუდმივად უწევს ყოფნა. ამიტომაც, ჩემს ფიზიკურ მომზადებას და იმას, რომ იშვიათად ვარ ტრავმირებული, შემთხვევითობას ვერ დავაბრალებ. ცხადია, ამაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვით „ლევერკუზენისა" და გერმანიის ნაკრების ექიმებსაც. მაგრამ სამწუხაროდ ამ სეზონში ისე მოხდა, რომ ლაზარეთში მეც დიდი ხნით მოვხვდი.

**- მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სეზონში „ლევერკუზენი" საკმაოდ კარგ შეტევებს აღწევს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბაიერს" წარმატებული სეზონი აქვს, მაგრამ ქომაგებს მიხაელ სკიბე ბოლომდე მაინც არ მოსწონთ. ბევრი მათგანი მწვრთნელის გათავისუფლებასაც კი ითხოვს. არის თუ არა ეს ის თემა, რომლის შესახებაც სკიბეს ესაუბრებით ხოლმე?**

- არა, ასე არ არის და სხვათა შორის, მე სულაც არ ვფიქრობ, რომ სკიბეს წყალი შეუდგა ან სკიბე უნდა წავიდეს. თვითონ ამბობთ, მიუხედავად იმისა, რომ გუნდს წარმატებული სეზონი აქვსო – თუკი წარმატებული სეზონი აქვს, მაშინ რაზეა საუბარი? ვფიქრობ, სკიბე კრიტიკას არ იმსახურებს. მისმა მუშაობამ შედეგი უკვე გამოიღო და ეს მომავალში კიდევ უფრო გამოჩნდება. არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ როცა სკიბე გუნდში მოვიდა, „ლევერკუზენში" ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო.

**- და თქვენ მიგაჩნიათ, რომ სკიბემ უკვე ბევრ რამეს მიაღწია?**

- ვფიქრობ, ყველას უნდა შეემჩნია ის, რომ „ლევერკუზენი" გარდაიქმნა და ფაქტობრივად ახალი გუნდი ჩამოყალიბდა. სკიბემ თავისი საქმიანობა იმით დაიწყო, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს მისცა თავის გამოჩენის შანსი. მართალია, ამ ქმედებამ შედეგი მაშინათვე არ მოიტანა, მაგრამ საბოლოოდ ჩვენ ის მივიღეთ, რომ დღესდღეობით გონსალო გასტრო და სიმონ როლფესი გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები არიან. იმის თქმა მსურს, რომ გუნდის გარდაქმნას და ახლის ჩამოყალიბებას დიდი დრო მიაქვს და ეს ყოველთვის მტკივნეული პროცესია. ცხადია, იყო რამდენიმე ძალიან არასასურველი მარცხიც, მაგრამ ჩვენმა მწვრთნელმა თავის გზას არ გადაუხვია, ბოლომდე გაიტანა და შედეგს დღეს ვიმკით – „ბაიერი" კვლავ მაღალი ადგილებისთვის იბრძვის. სკიბეს ახალგაზრდა ფეხბურთელებმა იმედები გაუმართლეს. წელან კასტრო და როლფესი ვახსენე, რენე ადლერი კი გამომრჩა, რომელიც ასევე უდიდესი ტალანტია.

**- 2002 წელს „ლევერკუზენს" შესანიშნავი გუნდი ჰყავდა და მას მერე „ბაიერი" ასეთი ძლევამოსილი აღარ ყოფილა. შეგიძლიათ, იმდროინდელ და დღევანდელ გუნდებს შორის პარალელები გაავლოთ? რა აკლია დღევანდელ „ბაიერს" ისეთი, რამაც 2002 წლის „ბაიერი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა?**

- იქნებ არც ისე ბევრი გვაკლია? ცხადია, ფეხბურთელების დიდ ნაწილს გამოცდილება აკლია – მაშინ უამრავი გამოცდილი მოთამაშე გვყავდა. ეს ამ სეზონშიც კარგად გამოჩნდა, რადგან ყველა მნიშვნელოვანი მატჩი ან წავაგეთ, ანაც ფრედ ვითამაშეთ, სამაგიეროდ აუტსაიდერებს და საშუალოზე დაბალი დონის გუნდებს შავ დღეს ვაყრით ხოლმე. ერთი სიტყვით, „ლევერკუზენი" უფრო გამობრძმედილი და ჭკვიანი უნდა გახდეს. 2001-02 წლის სეზონის მინურული რომ მახსენდება, ტანში ჟრუანტელი მივლის ხოლმე...

**- ხომ არ ისურვებდით იმას, რომ „ბაიერმა" უფრო აგრესიული მიზნები დაისახოს?**

- არა, რადგან ეს ჯერჯერობით შეუძლებელია. ჩვენი პრიორიტეტი ევროსაგზურის მოპოვებაა და სეზონის ბოლომდე ასე იქნება. მინიმუმ უეფას თასზე აუცილებლად უნდა ვითამაშოთ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება. მოკლედ, ამ ეტაპზე ყველაფერი კარგადაა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სატურნირო ცხრილში მოქმედი ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი ჩვენს უკან არიან. ჩვენ უბრალოდ გვინდა, რომ პროგრესი განვაგრძოთ და სეზონის ბოლომდე ისეთი ლაღი ფეხბურთი ვითამაშოთ, როგორსაც აქამდე ვთამაშობდით. თუ ასე გაგრძელდა, არ გამოვრიცხავ, რომ უფრო მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოლოთ – მაგალითად, ჩემპიონთა ლიგაში თამაში მომენატრა.

**- ამბობენ, შნაიდერს უნდა, რომ კარიერა თავის მშობლიურ კლუბში, იენის კარლ ცაისში დაამთავროსო...**

- ცხადია, ამაზეც ვფიქრობ, მაგრამ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას ჯერ არ ვაპირებ. საერთოდ, მე ყოველთვის აწმყოთი ვცხოვრობ და გრძელვადიან გეგმებს არასდროს ვისახავ. დღეს უბრალოდ ვერ გეტყვით, რა იქნება 1 ან 2 წლის შემდეგ – მიზეზი მარტივია: არ ვიცი და იმიტომ. ჩემმა ტრავმამ, რომელიც ზამთარში გადავიტანე, კიდევ ერთხელ დამიმტკიცა, რომ გრძელვადიანი გეგმები სისულელეა. არასდროს იცი, რა მოხდება და იმიტომ. ერთი სიტყვით, დღესდღეობით მხოლოდ „ლევერკუზენზე" და საკუთარ ჯანმრთელობაზე ვზრუნავ.

**- ჰერ შნაიდერ, თქვენ გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და წამყვანი ფიგურა ხართ. ბოლო 6-7 წლის განმავლობაში ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთერთი გამორჩეული გერმანელი მოთამაშე ხართ. რატომ ერთხელ მაინც არ გაისმა სპეკულაციები იმის შესახებ, რომ „მანჩესტერში", „მილანში" ან „ჩელსიში" მიდიხართ – განა ასეთი გუნდები დაგიწუნებდნენ?**

- რა თქმა უნდა, არ დამიწუნებდნენ და მეტსაც გეტყვით, რომელიმე ევროპულ გრანდში გადასვლის რამდენიმე ვარიანტი მართლაც მქონდა. არ დაგიმალავთ, ყოველთვის მინდოდა, რომ „რეალში", „მილანში" და სხვა ასეთი კალიბრის გუნდებში მეთამაშა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს არ მოხდა. ახლა კი 34 წლის ვარ და ამაზე ფიქრი დაგვიანებულიცაა და არარეალურიც

**- მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში იტალიასთან შესანიშნავი შანსი გქონდათ, რომელიც ვერ გამოიყენეთ. ის მომენტი ალბათ ხშირად გახსენდებათ...**

- ვერ ვიტყვი, რომ იდეალური შანსი მქონდა, მეკარესთან პირისპირ არ გავსულვარ, მაგრამ გოლის გატანა შეიძლებოდა და დღესაც ვბრაზობ, როცა მახსენდება, რომ ბურთს ხეირიანად ვერ დავარტყი. უშუალოდ მატჩის შემდეგ იმ მომენტის ათასნაირი გაგრძელება მოვიფიქრე და დღესაც ვფიქრობ, რომ გოლის გატანა შემეძლო.

**- დღეს ახალგაზრდა ფეხბურთელებს საუკეთესო მანქანები ჰყავთ, უახლესი მობილური ტელეფონებით სარგებლობენ და ძალიან ძვირადღირებულ ტანსაცმელს უკვეთავენ. თქვენ კი ყოველთვის მოკრძალებული იყავით. რას ფიქრობთ, როცა ახალგაზრდებს უყურებთ?**

- შეხედეთ „ლევერკუზენის" ბაზის ავტოსადგომს – ძვირადღირებული მანქანების სიმრავლე ნამდვილად არ შეინიშნება. „ბაიერის" ფეხბურთელები ასეთები არ არიან - ჩვენთან ყოველთვის იგრძნობა, რომ ეს არის საფეხბურთო გუნდი და არა ჰოლივუდი. ჩვენთან ახალგაზრდა ფეხბურთელებიც ძალიან თავმდაბლები არიან და მიუხედავად წარმატებებისა, რეალისტებად რჩებიან.

**- თქვენი კარიერის განმავლობაში 13 მწვრთნელთან იმუშავეთ...**

- (იცინის) უკვე ცამეტია?

**- რომელ მათგანს გამოარჩევდით?**

- ყველა მწვრთნელი განსხვავებული იყო და ყველას თავისი ხელწერა ჰქონდა. დიახ, მე მაქვს იმ მწვრთნელების საკუთარი რეიტინგი, რომლებთანაც მიმუშავია, მაგრამ მოდით, დაკონკრეტებას ნუ მომთხოვთ.

**- იმედია, ფეხბურთელების რეიტინგს მაინც გაგვანდობთ – რომელია საუკეთესო იმ მოთამაშეებიდან, ვისთან ერთადაც გუნდში თამაშობდით ან ვის წინააღმდეგაც გითამაშიათ?**

- ასეთი რამდენიმეა. მათ შორის, ვის მხარდამხარაც მითამაშია, მიხაელ ბალაკი, ოლივერ ნოივილი და კარსტენ რამელოვი პირველ რიგში არიან. ამ ფეხბურთელებს ყოველთვის ბრმად ვუგებდი და დღესაც ასეა. რაც შეეხება მოწინააღმდეგეს – ძალიან კარგად მახსოვს რობერტო კარლოსთან დუელები. ის ყველაზე არსასურველი მოწინააღმდეგე იყო. როცა რობერტო კარლოსის წინააღმდეგ ვთამაშობდი, მთელს ფლანგზე ენაგადმოგდებული დავრბოდი ხოლმე.

**- როგორ გგონიათ, ვინ უნდა იყოს თქვენი შემცვლელი მარჯვენა ფლანგზე გერმანიის ნაკრებში?**

- ამ კითხვაზე მე ვერ გიპასუხებთ, რადგა აბსოლუტურად სხვადასხვა სტილის მარჯვენა ნახევარმცველები გვყავს. თითოეულ მათგანს თავიანთი პლუსები და მინუსები აქვთ.

**- თქვენნაირი სტილი კი არცერთ მათგანს არა აქვს?**

- ასე გამოდის.

გოტფრიდ ლენცი

## ჟილბერტო არსენალიდან მიდის

**ჟილბერტო სილვას** სამსახურის შეცვლა სურს. სეზონის დასრულებისთანავე ის სტრანსფერზე დაყენებას მოითხოვს. 31 წლის ნახევარმცველი "არსენალის" თადარიგში იმყოფება. მიმდინარე სეზონში მან ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ხუთჯერ ითამაშა. გასულ სეზონში ჟილბერტო "მეთოფეების" ვიცე-კაპიტანი იყო. ტიერი ანრის წასვლის შემდეგ, ის კაპიტნის სამკლაურზე აცხადებდა პრეტენზიას. სინამდვილეში, ის სკამზე აღმოჩნდა. არსენ ვენგერი მის ადგილზე სესკ ფაბრეგასსა და მატიო ფლამინის ათამაშებს. ჟილბერტოთი დაინტერესებული კლუბების ვინაობა უცნობია.

## ატლეტიკო ზაფხულისთვის ემზადება

მადრიდის "ატლეტიკომ" ზაფხულის ტრანსფერებისათვის თადარიგის დაჭერა გადაწყვიტა. კლუბმა მიზნად დაისახა დაცვის გაძლიერება. ამიტომ "ფიორენტინის" ჩეხ მცველ **ტომაშ უიფალუშის** დაადგა თვალი. "როხიბლანკოს" სკაუტების ყურადღება მექსიკის ნაკრების მცველებმა, **რაფაელ მარკესმა** და **კარლოს სალსიდომაც** მიიპყრეს (მადრიდელებს მექსიკელთა ყოფილი თავკაცი ხავიერ აგირე წვრთნის). მარკესი ბარსელონელია, სალსიდო კი "ეინდჰოვენის" ღირსებას იცავს. ატლეტიკოს სიამოვნებით გაუფორმებდა კონტრაქტს "აიაქსის" უნივერსალ **ჯონი ჰეიტინგასაც**, მაგრამ ამსტერდამელები ფეხბურთელის გაყიდვას არ ჩქარობენ. სასურველი ფეხბურთელების სიაშია "ალმერიის" ბრაზილიელი მეკარე, 22 წლის **დიეგო ალვეშიც**. მის სანაცვლოდ "ატლეტიკო" 5 მილიონ ევროს ამზადებს.

## ესპანიოლიდან ინტერში

"ინტერი" "ესპანიოლის" მარჯვენა მცველ **პაბლო საბალეტათი** დაინტერესდა. მილანელები მას ბრაზილიელი **მაიკონის** შემცვლელად მოიაზრებენ. მაიკონი "ინტერში" რჩება. რობერტო მანჩინის მისთვის პოზიციის შეცვლა სურს. ის ბრაზილიელს ნახევარმცველის ფლანგზე უპირებს აწევას. 23 წლის საბალეტა არგენტინის ნაკრების კანდიდატია. "ნერაძური" მზადაა, ბარსელონელებს 6 მილიონი ევრო მიუთვალოს. "ინტერმა" "ესპანიოლისა" და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების მეკარეს, **კიკო კასილიასსაც** დაადგა თვალი. ეს ფეხბურთელი 21 წლისაა.

## ფრიდელი: რეკორდი და ახალი კონტრაქტი

ამერიკის ნაკრების ყოფილმა მეკარემ **ბრედ ფრიდელმა** "ბლექბერნთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. 36 წლის გოლკიპერი "ივუდ პარკზე" 2010 წლის ივნისამდე დარჩება. ხელშეკრულების ამოწურვისას ფრიდელს "ბლექბერნში" ზუსტად 10 სეზონი ექნება გატარებული. ის როვერსში 2000 წელს, "ლივერპულიდან" გადავიდა და განვლილ შვიდწელიწადნახევარში ზუსტად 300 მატჩი ჩაატარა. მან საიუბილეო, მე-300 შეხვედრა გასულ უქმეებზე, "ევერტონთან" ჩაატარა. ფრიდელი "ბლექბერნის" რეკორდსმენია. პრემიერლიგაში "ვარდების" მაისურით ამდენი მატჩი არავის გაუმართავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ სლავენ ბილიჩთან

# ნაკრები პირადულია

## ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გროშებზე მუშაობს, მაგრამ ფედერაციასთან კონტრაქტის გაგრძელებას არ გამორიცხავს...



სლავენ ბილიჩი

ცოტა ხნის წინ, ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სლავენ ბილიჩი ვიზიტით ლონდონში იმყოფებოდა, სადაც ინგლისურ კლუბებში მოთამაშე ხორვატ ფეხბურთელებს შეხვდა. ახალგაზრდა სპეციალისტმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც გამოაცხადა, რომ ჯერ არ აპირებს ნაკრების დატოვებას. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ფედერაცია მას სასაცილო ხელფასს უხდის. ბილიჩის წლიური ჯამაგირი დაახლოებით 90 ათასი დოლარია, წელიწადში - 100-ჯერ ნაკლები, ვიდრე მისი იტალიელი კოლეგის, ფაბიო კაპელოსი, რომელსაც გუშინ, ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში ჰქონდა დებიუტი; და სამჯერ ნაკლები იმ თანხაზე, რომელსაც "ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერი... ერთ კვირაში იღებს. მაგრამ ბილიჩი ხორვატიას არ ღალატობს, მიუხედავად იმისა, რომ "უემბლიზე" ისტორიული გამარჯვების შემდეგ, პრემიერლიგის რამდენიმე კლუბისგან სარფიანი წინადადება მიიღო.

**- თქვენ უკმაყოფილო ხართ ნაკრებში მუშაობის ფინანსური პირობებით. თავის დროზე, რატომ ასეთ კონტრაქტს?**

- ჩემთვის კონტრაქტისთვის ხელის მოწერა არავის დაუძალებია, არავის მიუდია ჩემს თავზე რევოლვერის ლულა. მართლაც დაბალი ხელფასი მაქვს და მზად ვარ ხმამაღლა განვაცხადო, რომ ეს ხორვატიის დიდი სირცხვილია. მაგრამ ზუსტად ასეთ თანხას იღებდა ის მწვრთნელიც, რომელიც აქ ჩემამდე მოღვაწეობდა. პრაქტიკულად უფასოდ ვმუშაობ, მაგრამ ფულის გარდა, სხვა ფასეულობებიც არსებობს.

**- მაგალითად?**

- მაგალითად, სიამაყის გრძნობა. მთავარ მიღწევად იმას მივიჩნევ, რომ ახლა შემიძლია ნებისმიერ გუნდს ვუხელმძღვანელო, რა დონის სტრესულიც არ უნდა სამუშაო. ერთ მშვენიერ დღეს, მადრიდის "რეალში" ან "მანჩესტერ იუნაიტედში" რომ დამნიშნონ, დარწმუნებული ვარ, იქ ზეწოლა ნაკლები იქნება, ვიდრე ეს ხორვატიაშია. ჩემთვის ნაკრების გაწვრთნა ყველაფერია. ეს პირადულიცაა. მას გარკვეული შეხება აქვს დედაჩემთან, ჩემს შვილებთან, რადგან ჩემი სამშობლოს ნაკრებს ვხელმძღვანელობ.

**- ფაბიო კაპელოს არ გაუჭირდება ინგლისის ნაკრების გაწვრთნა?**

- კაპელო? თუ იმ ზეწოლის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც ჩემზე და მასზე ხორციელდება, შედარებაც არ შეიძლება. რა თქმა უნდა, თქვენ გგონიათ, რომ ამ ქვეყანაზე არაფერია იმაზე რთული, ვიდრე ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობა. მაგრამ, ფაბიოს კონტრაქტი აქვს და ის არ იცნობს ინგლისელებს. მისი ოჯახი არ ცხოვრობს ინგლისში. ასე რომ, თუ მას ბრიტანული გაზეთები ლაფში ამოსვრიან, მისთვის ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი უნდა იყოს. მოკლედ, კაპელოს კონტრაქტი აქვს და თავის საქმეს აკეთებს. დარწმუნებული იყავით, კარგადაც აკეთებს. ინგლისმა საუკეთესო მწვრთნელის აყვანა გადაწყვიტა და ამიტომაც შეჩერდა არჩევანი იტალიელზე.

კაპელო უდიდესი მწვრთნელია. ხორვატიაში, როცა თქვენს მაგიდასთან ჯდება ადამიანი და 20 წუთის შემდეგ იწყებს იმის მოყოლას, თუ რა ტაქტიკა უნდა აირჩიო მომავალი თამაშისთვის, ჩვენ ვამბობთ: "შენ რა, კაპელო ხომ არ გგონია თავი?" ყურადღება მიაქციეთ, არა ჟოზე მოურინიო, სერ ალექს ფერგიუსონი ან მარჩელო ლიპი, არამედ სწორედ კაპელო! ის საუკეთესოდ ითვლება მწვრთნელებს შორის. მაგრამ არსებობს ისეთი რალაცეები, რასაც ისიც ვერ გააკეთებს.

**- და მაინც, რატომ თვლით, რომ თქვენი სამუშაო ხორვატიაში ასეთი რთულია?**

- ხორვატიის ნაკრების მწვრთნელს სულ სხვა ცხოვრება აქვს. თუ ჩვენ წავაგებთ, მე უცებ და მოულოდნელად გადავიქცევი ცუდ ადამიანად. ყველა დაიწყებს ჩემი ჰალსტუხის ყულფის კრიტიკას და ჩემს იმაში დადანაშაულებას. რომ ცუდად ვუკრავ გიტარაზე. რა თქმა უნდა, ზეწოლა კაპელოზეც არის. მაგრამ მე ამას სულ სხვა წნეხს დავარქმევდი, რომელიც ბიზნესთან არის დაკავშირებული. ჩემთან დაკავშირებით კი, ზეწოლა პირადულია და არანაირი კავშირი არ აქვს ბიზნესთან.

**- რა შეგიძლიათ თქვათ კაპელოს წინამორბედზე - სტივ მაკლარენზე?**

- მე ის ძალიან მეცოდება. ინგლისელისთვის მსოფლიოში ყველაზე დიდი სამუშაო - ნაკრების მწვრთნელობაა. მაკლარენმა გარისკა, მწვერვალზე ავიდა, მაგრამ არ გაუმართლა. ძალიან არ გაუმართლა. მას ყველა შეხვედრაში ჰქონდა პრობლემები, განსაკუთრებით წამყვანი ფეხბურთელების ტრავმების გამო. "უემბლიზე" გამართული მატჩის ტაქტიკაზე ფიქრისას, რა თქმა უნდა, ყურადღება მივაქციე ინგლისელთა სქემას - ერთი კაცი წინ და სამი შუაში. ჩემს ფეხბურთელებს ასეთი ამოცანა მივეცი - ბურთი რაც შეიძლება იშვიათად უნდა მისვლოდა ბერის, რადგან ის ყველაზე სიღრმიდან მოქმედებდა. თავდამსხმელებს ვუთხარი: დაე, ლესკოტმა და კემპბელმა დაიჭირონ ბურთი, მაგრამ ბერის და რიჩარდსს თამაშის საშუალება არ მისცეთ. საქმე ისაა, რომ კემპბელი და ლესკოტი - მცველები არიან და არა გამთამაშებლები. დაცვის ცენტრში ფერდინანდს და ტერის რომ ეთამაშათ, სხვა სქემას ავირჩევდი.

**- ვინ არის დამნაშავე ინგლისელთა დამარცხებაში?**

- მე ვნახე ინგლისის ნაკრები ევრო 2004-ზე. ეს გუნდი ბრწყინვალედ თამაშობდა. დაამარცხა საფრანგეთი, იოლად მოუგო შვეიცარიას, გაანადგურა ხორვატია, ხოლო მეოთხედფინალში პორტუგალიას უგებდა, მაგრამ ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში უეინ რუნი დაკარგა და გუნდს ჩავარდნა დაეწყო. იქედან მოყოლებული, ინგლისელები ველარ გამოდიან კრიზისიდან. მე ეს არ მესმის. ისეთი მოთამაშეებით, როგორიც ინგლისს ჰყავს, მხოლოდ უნდა შეუტიო და შეუტიო. ყოველთვის. "უემბლიზე", მეორე ტაიმში "გადაგვიარეს"და ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. მაგრამ, როგორც კი მეორე გოლი გაიტანეს, ისევე მოხდა, როგორც პორტუგალიასთან. ზეწოლა შეასუსტეს. სხვათა შორის, ამაში ჩემი არანაირი წვლილი არ არის, არ დამჭირვებია ბიჭების გამხნევება. ინგლისელებმა თავად მოგვცეს საკუთარი თამაშის ჩვენების საშუალება. რატომღაც მგონია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენს მიმართ უპატივცემულობას ჰქონდა ადგილი.

ნებისმიერ შემთხვევაში მინდა ხაზი გავუსვა: ჩვენ ინგლისს მოვუგეთ არა იმიტომ, რომ მეტოქე პატივს არ გვცემდა. ჩვენ მოვიგეთ იმიტომ, რომ უკეთ ვთამაშობდით. ეს სიტუაცია რალაცით ჰგავს გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატს, როცა ინგლისელებმა თქვეს - იმიტომ დავმარცხდით, რომ მოთამაშეებს კონცენტრაციაში ხელს ცოლები უშლიდნენო. მიზეზი სტადიონზე უნდა ეძებო და არა მის გარეთ.

**- ზაფხულზე გიმთავრდებათ კონტრაქტი, რომელსაც თქვენ ასე ლანძღავთ. რა იქნება მომავალში?**

- ჩემს ცხოვრებაში ფული არასოდეს ყოფილა მთავარი მოტივი. ფული რომ მდომებოდა, პირველივე სარფიან წინადადებას დავთანხმდებოდი, რომელიც "ფულჰემის" მფლობელმა, მოჰამედ ალ ფაიედმა შემომთავაზა. თუ წავალ, არა ფულის, არამედ კარიერის გამო. ევროპის ჩემპიონატის ბოლომდე ვიმუშავებ, შემდეგ გამოჩნდება. არ არის მართალი, როცა ამბობენ, რომ ახალ კონტრაქტზე უარი ვთქვი. ფედერაციასთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს და მის გაფუჭებას არ ვაპირებ.

**გიორგი თვალია**

## ოლისე ნიგერიაში, ფოგთსი სამხრეთ აფრიკაში?

ნიგერიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად, შეიძლება, **სანდი ოლისე** დაინიშნოს. "იუვენტუსისა" და "დორტმუნდის" ყოფილმა მცველმა კარიერა ორი წლის წინ, ბელგიურ "გენკში" დაამთავრა. ის 33 წლისაა და სამწვრთნელო გამოცდილება არ გააჩნია, მაგრამ ნიგერიის ფეხბურთის ფედერაცია მზადაა, თავის გამოჩენის შანსი მისცეს. "არწივების" გერმანელი თავკაცი **ბერტი ფოგთსი** ჯერ ისევ თანამდებობაზე რჩება. მაგრამ მას დათხოვნა ემუქრება. ფოგთსის ნიგერია აფრიკის ერთა თასს მეოთხედფინალში გამოეთხოვა. ჰერ ბერტის სამხრეთი აფრიკის ნაკრებში დანიშვნას უწინასწარმეტყველებენ. სამხრეთაფრიკელებს ავტორიტეტული მწვრთნელი ჰყავთ - 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **კარლოს ალბერტო პარეირა**, მაგრამ მისმა გუნდმა ერთა თასზე ჯგუფიდანაც კი ვერ გააღწია. მიმომხილველთა მტკიცებით, თუ ფოგთსი თანახმა იქნება, მას დაუყოვნებლივ შესთავაზებენ კონტრაქტს. მოსალოდნელი დანიშვნებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები რა გაკეთებულა.

## სამპდორიას კაპიტანი დაუშავდა

მომავალ უქმეებზე "სამპდორია" "ნაპოლის" შეხვდება. გენუელებს წამყვანი ნახევარმცველი და კაპიტანი, **სერჯო ვოლპი** ვერ დაეხმარება. ის ბოლო ტურში, ლაციოსთან მატჩისას დაშავდა. ვოლპი მე-16 წუთზე შეცვალეს. შეხვედრა რომაელთა გამარჯვებით დასრულდა, 2:1. "სამპდორიის" პრესსამსახურის ცნობით, ფეხბურთელს ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული და სამკვირიანი დასვენება სჭირდება. "სამპის" თავკაც ვალტერ მაძარის კიდევ ერთი ნახევარმცველი, **პაოლო სამარკო** აკლია. 21 ტურის შემდეგ მაძარის შეგირდებს 28 ქულა აქვთ და მერვე ადგილზე იმყოფებიან. ისინი იტალიის ჩემპიონატის ერთპირვნულ ლიდერ "ინტერს" 25 ქულით ჩამორჩებიან.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ბარსელონა: ორი ვარსკვლავი ჩელსიდან

## თუ მოურინიოც კატალონიაში წავიდა...

ესპანური სააგენტოები ისევ **ფრენკ ლემპარდის** ბარსელონაში ტრანსფერზე ალაპარაკდნენ. გასულ ზაფხულს ეს საკითხი ევროპული სპორტული მედიის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო. "ჩელსის" ნახევარმცველს კატალონიელები გერლფრენდი ჰყავს. მას არა ერთხელ უთქვამს, რომ ბარსელონა მისი საყვარელი ქალაქია და რომ კატალონიურ გრანდს გულშემატკივრობს. აგვისტოს ტრანსფერებისას გარიგება არ შედგა. ფეხბურთელმა სამსახური შესაძლოა, მომავალ ზაფხულს შეიცვალოსო. ეს ინფორმაცია "დიარიო სპორტმა" გაავრცელა და იქვე დასძინა, ლემპარდმა "კამპ ნოუს", შესაძლოა, რონალდინიოს ნაცვლად მიაშუროსო. ბრაზილიელ ვარსკვლავს ლონდონში ეპატიჟებიან. სპეკულაციებს თუ დავუჯერებთ, კლუბები, ფაქტობრივად, შეთანხმდნენ.

რამდენიმე დღის წინ ბარსელონაში იმყოფებოდა "ჩელსის" ბოსი **რომან აბრამოვიჩი**. მიმომხილველებმა მაშინვე ივარაუდეს, ის ალბათ კატალონიელ კოლეგებს შეხვდა და **რონალდინიოს** საკითხი განიხილაო. შესაძლოა, შეხვედრაზე ლემპარდის საკითხიც წამოჭრილიყო. "დიარიო სპორტი" იუწყება, აბრამოვიჩის გარდა, გასულ კვირას ბარსელონას ლემპარდიც ეწვია. მას სახლის ყიდვა სურდა, ეს კი ირიბად მოსალოდნელ ტრანსფერზე მიანიშნებსო. უნდა გავიხსენოთ, რომ ლემპარდის ბარსელონურ სახლზე შარშან ზაფხულშიც ინტენსიურად წერდნენ, მაგრამ მაშინ ფეხბურთელს არც უძრავი ქონება შეუძენია და არც ადგილსამყოფელი შეუცვლია. ფრენკს "ჩელსისთან" ახალი კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. ის მოლაპარაკებების გამართვას მხოლოდ სეზონის ბოლოს აპირებს. ზაფხულში მის კონტრაქტში ორი წელი იქნება დარჩენილი. სურვილის შემთხვევაში, ფეხბურთელს ამ ორი წლის გამოსყიდვა შეეძლება. მას თავისუფალი აგენტის სტატუსის მოპოვება ორი წლის ხელფასის ოდენობის თანხა დაუჯდება. ეს დაახლოებით 10 მილიონ გირვანქას შეადგენს.

"ჩელსიდან" ესპანეთში გადასვლას კიდევ ერთი ვარსკვლავი აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ესპანური გაზეთები სწორედ ასეთ ინფორმაციას გვაწვდიან. **დიდიე დროგბაზე** მოგახსენებთ. სპეკულაციების თანახმად, კოტდივუარელი ვარსკვლავი კარიერას მადრიდის "რეალში" გააგრძელებს. დროგბას აგენტი სამეფო კლუბს თვითონ დაუკავშირდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში "რეალი" რამდენჯერმე შეეცადა ლონდონელ ბომბარდირთან დაკავშირებას, მაგრამ უშედეგოდ. "ჩელსიმ" გარიგება არ მოინდომა. ბოლოს, მადრიდელთა თავიდან მოსაწორებლად, ფეხბურთელი 40 მილიონ გირვანქად შეაფასა. **ჟოზე მოურინიოს** წასვლის შემდეგ დროგბამ "ჩელსიდან" აბარგება მოისურვა. ლემპარდის დარად, სეზონის ბოლოს, მის კონტრაქტშიც ორი წელი იქნება დარჩენილი და ხელშეკრულების გამოსყიდვა მასაც ზემოთ ნახსენები წესით შეეძლება.

ამ ორ ინფორმაციას ინტრიგას მატებს ცნობა "ბარსელონაში" **ჟოზე მოურინიოს** მოსალოდნელი დანიშვნის თაობაზე. თუ მოურინიო ნამდვილად დაინიშნება, ლემპარდისა და დროგბას ტრანსფერები სავსებით რეალური გახდება. ეს ფეხბურთელები "ჩელსიში" ჟოზეს უმთავრესი მოკავშირეები იყვნენ. ისღა დაგვრჩენია, მოთმინებით დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.



ფრენკ ლემპარდი და დიდიე დროგბა

პრემიერლიგა. მაყურებელი

# გულშემატკივართა ბუმი ინგლისის სტადიონებზე

## ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი 1951 წლის შემდეგ



მანჩესტერ იუნაიტედის ფანები მატჩის დაწყებას ელოდებიან

პოპულარულმა გამოცემამ "ინდეპენდენტმა" პრემიერლიგაში მაყურებელთა დასწრების შესახებ საინტერესო სტატისტიკა გამოაქვეყნა. მიმდინარე სეზონში გულშემატკივართა აქტიურობამ სარეკორდო ნიშნულს მიაღწია. 1951 წლის შემდეგ პირველად, ინგლისში ერთ მატჩზე საშუალოდ 36 ათასი მაყურებელი მივიდა. დღევანდელი მდგომარეობით, საშუალო დასწრება ზუსტად 36 020 მაყურებელს შეადგენს.

გასული საუკუნის მიწურულს ინგლისის სტადიონებზე გულშემატკივართა რიცხვი განუხრელად იზრდებოდა. პიკი 2002-03 წლების სეზონში იყო - ერთ მატჩზე საშუალოდ 35 400 მაყურებელი. 2003 წლის შემდეგ ამ რიცხვმა კლება იწყო - უმნიშვნელოდ, მაგრამ მომდევნო სამი წლის განმავლობაში ის სულ ქვემოთ ჩამოდიოდა. გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს საყოველთაო კრიზისის დასაწყისი იყო. მიმომხილველებმა კრიზისი ბილეთების რეკორდულ გაძვირებას დაუკავშირეს. მაგრამ ამ სეზონმა ყველა პესიმისტურ მოსაზრებას გამოაცალა საფუძველი.

მაყურებლის რაოდენობის ზრდა პრემიერლიგის 13 კლუბის სტადიონზე შეინიშნება. ხუთი კლუბის (მანჩესტერ იუნაიტედი, არსენალი, ჩელსი, ლივერპული და ვესტ ჰემი) საშინაო არენაზე გულშემატკივართა რიცხვი არ გაზრდილა და მხოლოდ სამ კლუბს (ბოლტონს, რედინგსა და მიდლსბროს) მოაკლდა მხარდაჭერა.

დასწრების ზრდით რეკორდსმენია "სანდერლენდი" - გასულ სეზონთან შედარებით +51 პროცენტი. მეორე ადგილზეა "დერბი ქაუნთი", +35 პროცენტი და მესამეზე "ბირმინგემი", +25 პროცენტი. ამ კლუბების ქომაგთა გააქტიურება მოსალოდნელი იყო. გასულ ზაფხულს ისინი პრემიერლიგაში გადავიდნენ. ბოლო ერთ წელიწადში დასწრების კლების რეკორდი "ბოლტონმა" დაამყარა, -13 პროცენტი. მიმომხილველები ამას სემ ელერდაისის აზარგებას უკავშირებენ.

მეტი თვალსაჩინოებისათვის, თვალი შევავლოთ პრემიერლიგის ყველა კლუბის საშინაო მატჩებზე დასწრების საშუალო მაჩვენებელს. სტატისტიკა 25 ტურის შედეგებს ეყრდნობა:

| კლუბი | სტადიონი | ტევ. | დასწ. | ცვლ. (%) |
|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | ემირიტსი | 60 432 | 60053 | = |
| 2. მანჩესტერ იუნ. | ოლდ ტრეფორდი | 76 312 | 75 612 | = |
| 3. ჩელსი | სტემფორდ ბრიჯი | 42 055 | 41 660 | = |
| 4. ევერტონი | გუდისონ პარკი | 40 170 | 37 063 | = |
| 5. ლივერპული | ენფილდი | 45 362 | 43 554 | = |
| 6. ასტონ ვილა | ვილა პარკი | 42 593 | 39 901 | +12 |
| 7. მანჩესტერ ს. | სიტი ოფ მანჩესტ. | 47 726 | 42 209 | +9 |
| 8. ბლეკბერნი | ივუდ პარკი | 31 367 | 23 172 | +8 |
| 9. პორტსმუთი | ფრეტონ პარკი | 20 224 | 19 894 | +1 |
| 10. ვესტ ჰემი | აპტონ პარკი | 35 146 | 34 582 | = |
| 11. ტოტენჰემი | უაით ჰართ ლეინი | 36 240 | 35 878 | +1 |
| 12. ნიუკასლი | სენტ ჯეიმს პარკი | 52 387 | 50 985 | +2 |
| 13. მიდლსბრო | რივერსაიდი | 35 010 | 27 023 | -4 |
| 14. ბოლტონი | რიბოკი | 27 879 | 20 062 | -13 |
| 15. ვიგანი | JJB | 25 138 | 20 062 | -13 |
| 16. სანდერლენდი | ლაითი | 49 000 | 42 695 | +51 |
| 17. რედინგი | მადეისკი | 24 161 | 23 465 | -2 |
| 18. ბირმინგემი | სენტ ენდრიუსი | 30 009 | 26 153 | +25 |
| 19. ფულჰემი | ქრევენ კოტიჯი | 24 600 | 22 952 | +7 |
| 20. დერბი | პრაიდ პარკი | 33 597 | 32 136 | +35 |

ასეთი წარმატება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა - პირველ რიგში, სეზონური აბონემენტების დიდი რაოდენობით გაყიდვამ. დღეს რიგით ინგლისელს გართობის გაცილებით მეტი ვარიანტი აქვს, ვიდრე ზემოთხსენებულ 1951 წელს. ინდეპენდენტის მიმომხილველმა სემ უოლისმა მახვილგონივრულად შენიშნა - 57 წლის წინ ინგლისელს თავისუფალი დროის მოკვლა სამნაირად შეეძლო: ფეხბურთზე წასვლით, სიგარეტის გაბოლებით, ან ფეხბურთზე წასვლით და სიგარეტის გაბოლებითო. დღეს გასართობს რა გამოლევს. ამის მიუხედავად, ხალხი ფეხბურთის ერთგული რჩება.

გასულ ზაფხულს ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა რიჩარდ კებორნმა პრემიერლიგის კლუბებს ბილეთების გაიაფება სთხოვა. მან პოზიცია ასე დაასაბუთა: ახალი სატელევიზიო კონტრაქტები ზარალს ერთი-ორად აანაზღაურებსო. ზოგიერთმა კლუბმა მინისტრის თხოვნა ყურად იღო და ფასდაკლებების მოქნილი სისტემა დანერგა. ფასდაკლებები ძირითადად მოზარდ გულშემატკივრებზეა გათვლილი. ასე მაგალითად, სკოლის მოსწავლეს "ნიუკასლის" ნახევარწლიანი აბონემენტის შეძენა სულ რაღაც 25 გირვანქად შეუძლია, ხოლოდ 15 წლამდე მოზარდი "ბლექბერნის" საშინაო შეხვედრას 7 გირვანქად დაესწრება.

ინგლისელებმა ბოლო 25 წლის განმავლობაში მთლიანად შეცვალეს მატჩებზე გამეფებული ატმოსფერო. გასული საუკუნის 80-იანი წლებში ინგლისის სტადიონებზე წასვლა სიცოცხლისათვის სახიფათო იყო. ტრიბუნებზე ხულიგნები იყვნენ გაბატონებულნი. ბრიტანეთის მთავრობამ რკინის ლედის, მარგარეტ ტეტჩერის ხელმძღვანელობით, წესრიგი დაამყარა. ინგლისში სტადიონებზე მამაკაცები ოჯახის წევრებთან ერთად დაიარებიან. ესეც დამატებითი ფაქტორი დასწრების მაჩვენებლის გასაზრდელად.

პრემიერლიგის კლუბები, რომელთაც ახალი სატელევიზიო კონტრაქტით დამატებითი შემოსავალი გაუჩნდათ, ახალი სტადიონების მშენებლობაზე, ან ძველის ტევადობის გაზრდაზე ფიქრობენ. "ლივერპულმა" ახალი არენის პროექტის უკვე წარმოადგინა. მისამართის შეცვლა ჩაფიქრებული აქვთ ლონდონურ კლუბებს, "ვესტ ჰემსა" და "ტოტენჰემს". მიმომხილველები მიმდინარე მოვლენებს გულშემატკივართა ნამდვილ ბუმს უწოდებენ.



უგო სანჩესი

ინტერვიუ უგო სანჩესთან

# შუსტერის ხელში რეალს არაფერი ემუქრება

## ლეგენდარული ბომბარდირი დარწმუნებულია, რომ ბერნაბეუ კიდევ ოთხი წელი იხილავს ვან ნისტელროის გოლებს...

**ლეგენდარული მექსიკელი ფორვარდი უგო სანჩესი ესპანეთში მეუღლის ოჯახს სტუმრობდა. მისი თქმით, ის პირენეებზე კარგი ფეხბურთის სანახავადაც იყო ჩასული. ბუნებრივია, მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ყურადღება მადრიდის "რეალისკენ" იყო მიმართული. "სამეფო კლუბის" ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი აღფრთოვანებას ვერ მალავს ბერნდ შუსტერის გაწვრთნილი გუნდით და აცხადებს, რომ გერმანელი სპეციალისტის ხელში, "რეალს" დიდი გამარჯვებები ელის.**

**- რას აკეთებს მადრიდში ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც შეეძლო "რეალისთვის" სეზონში 38 გოლი გაეტანა?**

- ჩემი მეუღლე ესპანელია და მადრიდში მისი ოჯახი ცხოვრობს. გარდა ამისა, აქ ბევრი მეგობარი მყავს, რომელთა ნახვა ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ბოლო და ბოლოს, როგორც მექსიკის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, მაინტერესებს კარგი ფეხბურთის ნახვა, ამ ლიგაში კი, კარგი ფეხბურთი უხვად არის.

**- რას იტყვით თქვენი მეგობრისა და პარტნიორის, ბერნდ შუსტერის "რეალზე"?**

- ბერნარდოს ლიდერის თვისებები აქვს და ამიტომაც მასში ეჭვი არასოდეს შემპარვია. გერმანელმა გამოცდილება სუსტ გუნდებში, მაგალითად "ხეტაფეში" მუშაობისას შეიძინა. იქ შუსტერმა დაამტკიცა, რომ ამბიციური მწვრთნელია. გარდა ამისა, მან უკვე მიაღწია წარმატებას...

**- რა წარმატებას?**

- მადრიდის "რეალს" სახელი დაუბრუნა. ზუსტად ერთი წლის წინ, ჩვენ დაბნეულ "რეალს" ვხედავდით, იმ მოთამაშეებით, რომლებსაც არ ესმოდათ, თუ რა ბევრს ნიშნავს ამ კლუბის მაისურის ტარება. ჩემი აზრით, დღევანდელმა ხელმძღვანელობამ დამაჯერებლობა დაუბრუნა "რეალს", რომელიც ასე აკლდა გუნდს ბოლო წლებში. შუსტერმა დაიჭირა ეს ხასიათი და ის მოთამაშეებს გადასდო. და დღეს, ჩვენ ამის შედეგს ვხედავთ...

**- "რეალს" ზიანი "გალაქტიკოსების" ეპოქამ მიაყენა?**

- არა. სინამდვილეში, მე მომწონს კიდეც ეს ტერმინი, ის კლუბის სიდიადეს უსვამს ხაზს. პრობლემა ამ ვარსკვლავებში არ მდგომარეობდა, არამედ იმაში, რომ "რეალი" ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა იმ პრობლემებს, რომელიც ძალიან შორს იყო ფეხბურთთან. როგორც მწვრთნელი, ვთვლი, რომ დიდ კლუბში ფეხბურთი ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს. თუ სპორტი დამოკიდებულია იმიჯის ან ფინანსების საკითხებზე, შენ ნაგებული დარჩები. შესაძლოა, ეს ღირდეს ამად, თუ შედეგები გაქვს, მაგრამ ჩვენ მრავალი წელი ველოდით, სანამ რაიმე ტიტული მოვიგეთ. სიტუაცია აუტანელი იყო...

**- AS-მა გამოაქვეყნა გამოკვლევა, რომელშიც ამტკიცებს, რომ 1988 წელს, ლეო ბეენჰაკერის "რეალი" - Quinta del Buitre საუკეთესო იყო ისტორიაში...**

- აგრეთვე Quinta de los Machos, ნუ დაგავიწყდებათ ეს... ის ძალიან მეგობრული და თავმოყვარე გუნდი იყო, ისეთი ფეხბურთელებით, რომლებიც მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდნენ - გორდილიო, ბუიო, გალიეგო... შედარებები არ მიყვარს, მაგრამ ამაყი ვარ, როცა დღეს ვამბობ, რომ შუსტერის "რეალი" ძალიან შეკრული გუნდია. ისტორიულად, "რეალი" ყოველთვის შეტევაზე იყო დაგეშილი. მაგრამ დღეს, გუნდი შეტევაში ეფექტურობას წარმატებით უხამებს დაცვაში დამაჯერებელ თამაშს. შუსტერმა ასწავლა ფეხბურთელებს, რომ გუნდი უნდა ახერხებდეს საკუთარი კარის უსაფრთხოების შენარჩუნებას, რათა დამაჯერებლად წარმართოს თამაში. დღევანდელ "რეალს" უფრო მეტად აფასებენ, ვინაიდან ძნელია მისთვის გოლის გატანა.

**- ვან ნისტელროი - ეს არის 2008 წლის უგო სანჩესი?**

- ის, რომ ჰოლანდიელმა აქ წარმატებას მიაღწია, ჩემთვის სიურპრიზი არ ყოფილა, რადგან იმ დღეს, როცა მადრიდიდან რონალდო მიდიოდა, ყველას ვუთხარი, რომ მისი საუკეთესო ალტერნატივა ვან ნისტელროი იქნებოდა. ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ რუუდი "რეალში" ოთხი-ხუთი წლით ადრე არ მოვიდა. ამ შემთხვევაში, მართლაც გაუტოლდებოდა ჩემს მაჩვენებლებს. ის 31 წლისაა, მაგრამ ბრწყინვალეა, როგორც არასდროს. მისი ეფექტურობა ამართლებს ჰოლანდიელთან კონტრაქტის გაგრძელებას.

**- ბერნაბეუ" მის გოლებს მინიმუმ 2010 წლამდე იხილავს...**

- "რეალს" შეუძლია კიდევ სამიოთხი წელი მშვიდად იყოს. რუუდზე აქცენტის გაკეთება - აბსოლუტურად უსაფრთხოა, რადგან მისი მახასიათებლების მქონე ფეხბურთელები, მსოფლიოში ცოტანი არიან.

**- გამოდის, ე.წ. ტარანის ტიპის თავდამსხმელები გაქრობის გზაზე არიან?**

- იმ აზრით, რასაც მე ამ სიტყვაში ვდებ, სავსებით შესაძლებელია... ნუ გავიწყდებათ, რომ მე ფაქტობრივად ბურთის ერთი შეხებით, ერთი კონტაქტით გავიმეორე სარას რეკორდი და 38 გოლი გავიტანე. უფრო ბურთის ჩამჭრელი ვიყავი, ვიდრე თავდამსხმელი. დღეს, რუუდის გარდა, ვხედავ მხოლოდ დიდიე დროგბას და... (30 წამით ჩაფიქრდა და... დანებდა). დიახ, მხოლოდ დროგბას. მეტი არავინ მახსენდება.

**- და რა რჩება?**

- ტარანის ტიპის თანამედროვე თავდამსხმელის ფიგურაა, როცა ფორვარდი მოედნის სიღრმიდან მიიწევს წინ, უხსნის სივრცეებს პარტნიორებს და შლის კავშირებს მეტოქის სათამაშო რგოლებს შორის. ასეთი მოთამაშის საუკეთესო მაგალითია ტიერი ანრი.

**- მაგრამ, რუუდი იმ მოთამაშეთა შორის არ შედის, რომლებსაც საჯარიმოში ბურთის მიღების შემდეგ, შეტევის განვითარების მრავალი ვარიანტი შეუძლიათ შემოგვთავაზონ. ის უბრალოდ კარისკენ ბრუნდება და ურტყამს.**

- ვან ნისტელროი არ გახლავთ ვან ბასტენის ჰოლანდიური სკოლის წარმომადგენელი. ვან ბასტენის ტიპის ფორვარდები ყოველთვის ცდილობდნენ მცველის მოტყუებას, დარტყმამდე დაცვის რიგებში არეულობის შეტანას. რუუდს სისხლში აქვს გამჯდარი თავდამსხმელისთვის მეტად საჭირო თვისება - მაშინვე დაარტყას, როგორც კი ბურთს მიიღებს. მისი წარმატების საიდუმლო - პოზიციის სწორად შერჩევაშია. რუუდმა ზუსტად იცის, როდის უნდა დაიკავოს თავისი ადგილი და მას აქვს უნიკალური ნიჭი: მისი ყველა გადაწყვეტილება მართებულია.

**- წელს "რეალს" რაული დაუბრუნდა...**

- ის არსად არ წასულა. რაული უბრალოდ აიძულეს მეტოქის საჯარიმოდან მოშორებით ეთამაშა. ამით, ის მთავარი თვისების გარეშე დატოვეს - მისთვის დამახასიათებელი ეშმაკობით საჯარიმოდან შეტევა. რაული უნიჭიერესი ფეხბურთელი და ნამდვილი თავდამსხმელია.

**- ისევ ოცნებობთ ესპანეთში მწვრთნელობაზე?**

- ამაზე ყოველთვის ვფიქრობ და ეს არასოდეს დამიმალავს. რა თქმა უნდა, ესპანეთში მუშაობა მინდა, მაგრამ ამჟამად, ჩემი მთავარი მიზანია 2010 წლის მუნდიალზე მექსიკის ნაკრებთან ერთად წარმატების მიღწევა. აქ, შუსტერის ხელში, "რეალს" არაფერი ემუქრება. ამ მხრივ მშვიდად ვარ. მერე კი, ვნახოთ...

**გიორგი თვალია**

რაგბი. 9 თებერვალი, საქართველო-რუმინეთი

# ლეინის შეცვლილი 22

პირველი გვერდიდან

ბორჯღალოსანთა კაპიტანი **ირაკლი აბუსერიძე** რუმინელების წინააღმდეგ მატჩში საიუბილეო, 50-ე კეპს მოიპოვებს.

მიუხედავად იმისა, რომ "მუხის ფოთლებთან" შეხვედრაში გაცილებით მეტი მსოფლიოთასმოვლილი მორაგბე ითამაშებს, ბორჯღალოსანთა შემადგენლობას მაინც შეიძლება ექსპერიმენტული ვუწოდოთ.

პირველ ხაზში **შველიძე** და **ზირაქაშვილი** ფრანგულ კლუბ "კლერმონშიც" გვერდიგვერდ იბრძვიან. კვაჭ **ირაკლი ნატრიაშვილს** კი ამ ორი ბურჯი გვერდით პირველად მოუწევს თამაში.

პირველად ითამაშებენ ერთად, მეორე ხაზში **მამუკა გორგოძე** და **კახა უჩავაც**. ეს უკანასკნელი რუმინელებს და მათი თამაშის სტილდს ძალიან კარგად იცნობს, რადგან უკვე მეორე წელია, ამ ქვეყნის ჩემპიონატში, კონსტანცის "ფარულში" ირჯება. მეორე ხაზში კიდევ ერთი სიახლის მომსწრე შევიქნებით - ამ პოზიციაზე სათადარიგოთა შორის აქამდე ფლანკერად მოთამაშე და ნაკრების საუკეთესო მხტომელი, **რატი ურუშაძე** იქნება. რატიმ ამ პოზეციაზე რამდენიმე შეხვედრა საფრანგეთის ჩემპიონატის ფედერალურ დივიზიონში, "ლონსის" შემადგენლობაში გამართა.

ექსპერიმენტულია მესამე ხაზიც - **სუთიაშვილ-ჩხაიძე-ბასილაიას** ტრიო რუმინელებთან პირველად დადგება ერთად. ერთად არასდროს უთამაშიათ 9 და 10 ნომრებს, **ირაკლი აბუსერიძესა** და **ლაშა მალაღურაძეს**.

უკანა ხაზში, **ირაკლი ჩხიკვაძის** გარდა ყველა ძველი სახეა. თუმცა თუ მათ ასაკშაც გადავხედავთ, შევნიშნავთ რომ ბორჯღალოსანთა მომავალი მათ ხელშია.

ამ შემადგენლობაიდან ტიმ ლეინს თავიდან ბოლომდე საქმეში ზირაქაშვილი, გორგოძე, გიორგაძე, შკინინი, ბარკალაია და მალაღურაძე არ უნახავს. "მუხის ფოთლებთან" დაპირისპირება ბევრისთვის ერთგვარი ტესტი იქნება. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისინი, ვინც პორტუგალიასთან ითამაშა და რუმინეთთან შემფგენლობაში ვერ მოხვდა, ჩამოწერილია. საქართველოში რაგბის ახალი ნაკრები კეთდება და გუნდში მოხვედრის შანსი იმათაც აქვთ, ვინც ამჯერად ნაკრებში გამოძახებულიც კი არაა.

რუმინელები ჩვენგან განსხვავებით შემადგენლობას ჯიუტად არ აცხადებენ. თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ მუხის ფოთლებს შეკრებაზე "პერპინიანის" ბურჯი **მარიუს ტინკუ** დაემატათ. დანარჩენ 31 მორაგბეს შორის, რომლებიც საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ ემზადებიან, ჩვენი გუნდის წინააღმდეგ სხვადსხვა დროს მხოლოდ ათს უთამაშია.

ესენია: **იონ პაულიცა, ბოგდან ზებეგა, კოსტიცა მერსოიუ, კოზმინ რატიუ, ვალენტინ კალაფეტიანუ, დანუც დუმბრავა, იონუც დიმოფტე, ჩაბა გალი, კატალინ დასკალუ, კატალინ ფერკუ და ფლორინ ვლაიკუ.**

მატჩის არბიტრი იქნება უელსელი **ნეილ ბალარდი**, რომლისთვისაც ეს შეხვედრა საერთაშორისო არენაზე დებიუტი იქნება.

**ბესიკ ჯანგავაძე**



# გუშინ, დღეს, ხვალ...

## პრეზიდენტის მონოლოგი

**საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ახალმა ხალმძღვანელობამ ახლახან პირველი შედეგი მოიმკა - ეროვნულმა ნაკრებმა'"ჩელენჯ ტროფი" მოიგო. ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ თევზაძე იმედოვნებს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და მთავარი წარმატებები წინ არის.**

- როგორც იცით, შარშან რიგგარეშე ყრილობაზე ამირჩიეს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტად ერთწლიანი ვადით. წლეულს, ოლიმპიადის დამთავრებიდან 3 თვის ვადაში, მორიგ ყრილობაზე ახალი პრეზიდენტი ოთხლიანი ვადით აირჩევა. ჩვენ გვაქვს შემუშავებული ხელბურთის განვიტარების საკმაოდ კარგი, გამართული კონცეფცია. არა აქვს მნიშვნელობა, შემოდგომით მე დავრჩები პრეზიდენტად თუ სხვა მოვა, ქართული ხელბურთისთვის ამ კონცეფციით განვითარებაა ყველაზე მომგებიანი. დეტალურად აგიხსნით, თუ რაში მდგომარეობს იგი.

**ხელბურთის ფედერაციის სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.** რიგგარეშე საარჩევნო ყრილობაზე მივიღეთ ცვლილებები წესდებაში, სადაც მთავარი საკითხი იყო კლუბურ სისტემაზე გადასვლა. შესაბამისად, ეს აისახა ჩვენს წესდებაშიც. კერძოდ, განახლებული წესდების თანახმად, ხელბურთის ფედერაციის წევრები არიან არა ფიზიკური, არამედ იურიდიული პირები - ხელბურთის კლუბები, სკოლები, ფონდები და ა.შ.

28 დეკემბერს გამართული პრეზიდიუმის სხდომის გადაწყვეტილებით, ის ფიზიკური პირები, რომლებიც ფედერაციაში ახლა გაწევრიანდნენ ან გაწევრიანდებიან იურიდიულ ორგანიზაციებად, ერთჯერადი გადასახადის სახით, გადაიხდიან 50 ლარს. რაც შეეხება იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ადრევე იყვნენ დარეგისტრირებული იურიდიულ პირებად, ისინი ჩვეულებრივ, შემოიტანენ წლიურ საწევრო თანხას 120 ლარის ოდენობით. ხელბურთის ფედერაციის დაქვემდებარებაში მყოფ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც არ ექნებათ გადახდილი საწევრო, საარჩევნო ყრილობებზე ხმის მიცემის უფლება არ ექნებათ.

ეს იყო ძირითად ცვლილება წესდებაში, მაგრამ იყო სხვა წვრილმანი ცვლილებებიც. მთლიანობაში, განახლებული წესდება სავსებით სრულყოფილია.

**სახელბურთო ინფრასტრუქტურის აღრიცხვა, სპორტული ბაზების რეაბილიტაცია.** ეს ის მუხლია, რომელსაც მხოლოდ ხელბურთის ფედერაცია ვერ განახორციელებს და ამიტომ სახელმწიფოც ამოგვიდგა გვერდში. ქუთაისში, ოზურგეთში, სენაკში, ზუგდიდსა და დუშეთში, შარშან გაიხსნა ხუთი ახალი სპორტული კომპლექსი, რომლებშიც თანამედროვე სტანდარტების ხელბურთის მოედნებიცაა.

ამ პროექტს სახელმწიფო წლეულსაც გააგრძელებს და კიდევ აშენდება ახალი კომპლექსები. თუმცა, რეგიონების გარდა, აუცილებელია თბილისში არსებული ბაზების რეაბილიტაციაც ან ახლის მშენებლობა. განახლებული სპორტის სასახლე კი კარგია, მაგრამ ის უფრო ოფიციალური შეჯიბრებებისთვისაა განკუთვნილი, ხოლო როდესაც ვლაპარაკობთ კლუბური სისტემის განვითარებაზე, აუცილებელია ბაზები.

სადღეისოდ, დედაქალაქში არსებობს ორად ორი სტანდარტული ბაზა - "ქარიშხალა" და ასკ, რომლებიც რესტავრაციას საჭიროებს. ისინი ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა და დაგეგმილია მათი რეაბილიტაცია. აქვე აღსანიშნავია სტუ-ს ხელბურთის კომპლექსიც, რომელიც ხშირად გვემსახურება და ახლახან, '"ჩელენჯ ტროფისათვის" მოსამზადებელ ეტაპზეც, ნაკრების განკარგულებაში იყო. სტუ-ს რექტორატის მიმართ, ამ მხრივ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

მთლიანობაში, რასაც ჰქვია ჩვენს საკუთრებაში მყოფი ხელბურთის დარბაზი, ასეთი სამწუხაროდ, ჯერ არ გვაქვს.

**ბავშვთა ხელბურთი.** შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვენი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებაა. ყველა მთავარი პროექტი, რომელიც გასულ წლებში განვახორციელეთ ევროპის, ნორვეგიის, თურქეთისა და ავსტრიის ხელბურთის ფედერაციებთან ერთად, სწორედ ჩვენი ბავშვთა ხელბურთის განვითარებისკენ იყო მიმართული. აღნიშნული პროექტები გრძელდება, რომლებიც მოიცავს ახალგაზრდა მწვრთნელთა და საშუალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლების სემინარებს ბავშვთა და მინი-ხელბურთის თემებზე.

ასევე პრიორიტეტულია 1992-93 წლებში დაბადებულ ხელბურთელთა საქართველოს ჩემპიონატი, რომლის ჩატარებაში ამიერიდან სპორტის დეპარტამენტიც დაგვეხმარება. ამ ასაკში ერთბაბაშად 8 ქალაქის გუნდი ასპარეზობს- თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ყვარელი, გორი, სამტრედია, ფოთი და ბათუმი. წლეულსვე, მათ დაემატება თელავის და ზუგდიდის გუნდებიც. ამას გარდა, ვაპირებთ გოგონათა ჩემპიონატის აღდგენასაც.

**ნაკრები გუნდები.** ახლახან, ეროვნულმა ნაკრებმა მოიგო "ჩელენჯ ტროფი". ეს იყო პირველი ტიტული დამოუკიდებელი ქართული ხელბურთის ისტორიაში და ამით ალბათ ყველაფერია ნათქვამი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ნაკრებს გვერდით დაუდგნენ. მადლობა მოთამაშეებს, მწვრთნელებს - მამუკა მჟავანაძითა და ლევან გელაშვილით დაწყებული და იმედო ფხაკაძე - გარი თურქიას დუეტით დამთავრებული. აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ძალიან დაგვეხმარა სპორტის დეპარტამენტი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ნაკრებს მაქსიმალურად კარგი პირობები ჰქონოდა.

თუმცა, ეს უკვე წარსულია და ახლა მომავალ წარმატებებზე უნდა ვიფიქროთ. ეროვნულ ნაკრებს შემოდგომით ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლი ელის, რომლის წილისყრაც



20 აპრილს შედგება. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ ციკლშიც წარმატებას მივაღწიოთ. მთლიანობაში, ჩვენი ცოტა შორეული, მაგრამ მთავარი მიზანია მსოფლიო ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე თამაში. თუმცა, იქამდე რაღა თქმა უნდა, შუალედურ მიზანზეა გასაკეთებელი აქცენტი, ანუ ჯერ ევროპის ჩემპიონატზე უნდა გავიდეთ, იქ წარმატებას მივაღწიოთ და მერე უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე ვიფიქროთ.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ნაკრების ხვალინდელი დღე, ანუ 20 და 18-წლამდელთა ნაკრები გუნდები. ეროვნულის მსგავსად ისინიც აუცილებლად ითამაშებენ ყველა ოფიციალურ შეჯიბრებაზე. ნაკრების მაისურის მორგება ნებისმიერი სპორტსმენის ოცნებაა და მათ ამის საშუალება არ უნდა მოვუსპოთ.

**ეროვნული ჩემპიონატი.** ეს საკითხი ჩვენთვის საკმაოდ მტკივნეულია, რადგან ამჟამად ეროვნულ ჩემპიონატში ოთხად ოთხი კლუბი ასპარეზობს. ძალიან გულსატკენია ისიც, რომ ახლახან დაიშალა ისტორიული კლუბი, ქართული ხელბურთის ფლაგმანი "ქარიშხალა". ჩვენი დიდი სურვილია, რომ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ეს ბრენდი ალვადგინოთ. ეს უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებული "ქარიშხალას" ხელმძღვანელობაზე. ჩვენი მხრივ, რაც შეგვეძლება ამ გუნდის აღდგენა-აღორძინებას ყველანაირად წავაშველებთ ხელს.

აქვე, მოვუწოდებ ყველას, რომ გულთან ახლოს მიიტანონ ჩვენი კლუბების გასაჭირი და რითაც შეეძლებათ, მათ მხარში ამოუდგნენ ფინანსურად, მატერიალურად თუ მორალურად. მონოდება ეხება ყველას, ვისაც უყვარს ხელბურთი - ვეტერან ხელბურთელებს, გულშემატკივრებსა თუ ბიზნესმებებს.

როდესაც ვამბობთ, რომ მივდივართ ევროპისაკენ, სპორტშიც უნდა გადმოვიღოთ ევროპული მოდელი. კონკრეტულად, ნებისმიერ გამართულ ევროპულ ქვეყანაში, სპორტული კლუბები და სკოლები არის სპორტის ამა თუ იმ სახეობის პირამიდის ფუძე. შედეგი კი ორმაგად მომგებიანია, ანუ იქნება წმინდა სპორტული წარმატებებიც და აღვზრდით ჯანსაღ თაობასაც.

**მწვრთნელების, მსაჯებისა და სპორტული მენეჯერების მომზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება.** შესაძლოა, ისე მოიხდეს, რომ ბიზნესმენმა მოინდომოს რომელიმე სახელბურთო კლუბის ან სკოლის დაფინანსება, მაგრამ არ მოეწონოს მისი მენეჯმენტი, ერთმანეთს არ დაემთხვეს სპონსორისა და კლუბის ხელმძღვანელობის პოზიცია და სპონსორმა უარი თქვას ინვესტიციის ჩადებაზე. სამწუხაროდ, ამ მხრივ, ამჟამინდელი მდგომარეობა მართლაც არასახარბიელოა. უმეტეს შემთხვევაში, ერთი ადამიანია კლუბის მწვრთნელიც, მენეჯერიც, ბუღალტერიც და ექიმიც.

ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია კვალიფიკაციური სპორტული მენეჯერების მომზადება-დაოსტატება. ეს არის საგანმანათლებლო პროცესი, რომელიც უნდა დაინერგოს სპორტის აკადემიის ბაზაზე და სწავლების პროცესი შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს.

ასევე საკმაოდ პრობლემატური და მნიშვნელოვანია მწვრთნელთა და მსაჯთა მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარების ჩატარება.

**სამედიცინო უზრუნველყოფა და დაზღვევა, სოციალური დახმარების ამოქმედება.** ესეც ისეთი პროექტია, რომელსაც მთავრობის დახმარების გარეშე ვერ განვახორციელებთ. ეროვნულ ნაკრებს ჰყავს ლეგიონერები, რომელთა კლუბებიც მათი ნაკრებში გამოშვებისას, გარანტიებს ითხოვენ, რომ სანაკრებო მატჩებში არ დაშავდებიან. ამდენად, ასამოქმედებელია დაზღვევის პროგრამა.

**თანამშრომლობა მასმედიასთან.** სპორტზე მწერალი გაზეთების მიმართ, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია თქვენი გაზეთი, რომელიც ქართულ ხელბურთს ყველაზე უკეთ აშუქებს.

რაც შეეხება ტელევიზიებს, მათთან სასაყვედურო ბევრი არაფერი გვაქვს, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ცოტა უფრო დიდ დროს დაუთმობენ ხელბურთს. ჩვენთვის საამაყოა, რომ ფეხბურთის შემდეგ, გუნდურ სახეობებში ხელბურთი პირველი იყო, როდესაც ეროვნული ნაკრების გასვლითი მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი გადმოიცა. ეს მოხდა 1999 წელს, როდესაც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში, ჯგუფიდან გავედით და ფლეი ოფში დანიას ვეთამაშეთ. მთლიანობაში, ტელევიზიას ძალიან დიდი როლი ეკისრება ამა თუ იმ სახეობის პროპაგანდაში.

ახლახან ვიყავი ევროპის ფედერაციის კონგრესზე, სადაც განიხილეს 2010 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის სატელევიზიო უფლებებისა და რეკლამების განჯარგვის საკითხი. ეს უფლებები გადავიდა ევროპის ფედერაციის ხელში და აქაც ამოქმედდება ფეხბურთის მოდელი. კერძოდ, ტელეტრანსლაციებიდან და სატელევიზიო რეკლამებიდან შემოსულ თანხებს, ევროპის ფედერაცია გადაუნაწილებს თავის წევრ ქვეყნებს ხელბურთის განვითარებისათვის. მოკლედ, აქაც მოქმედებს პირამიდის პრინციპი, რომლის წვერზე მყოფი ევროპის ფედერაცია შემოსავლებს უნაწილებს ფუძეს, ანუ თავის წევრ ქვეყნებს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ვაპირებთ ჩვენი ვებ გვერდის შექმნასაც.

**ურთიერთობა და ერთობლივი ერთობლივი პროექტების ამოქმედება ევროპისა და საერთაშორისო ფედერაციებსა და დონორ ორგანიზაციებთან.** ამ მხრივ, საკმაოდ ბევრს ვმუშაობთ. როგორც ზემოთ ვთქვი, ევროპის, ნორვეგიის, თურქეთისა და ავსტრიის ფედერაციებთან ვაგრძელებთ ერთობლივ პროექტებს. ასევე ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ფედერაციებთან. თუმცა, ამაზე შეჩერებას არ ვაპირებთ და კიდევ გვინდა რამდენიმე ქვეყანასთან მოლაპარაკება, რათა ჩვენი ხელბურთის განვითარების ერთობლივი პროგრამები განვახორციელოთ.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ევროპისა და საერთაშორისო ფედერაციები დიდ მნიშვნელობას აქცევენ პლაჟის ხელბურთის განვითარებას. ამ მხრივ ჩვენც უნდა ავუწყოთ ფეხი თანამედროვეობას. ნებისმიერ ადამიანს, ვინც პლაჟის ხელბურთის განვითარებაში ჩვენი დახმარების სურვილს გამოთქვამს, მასთან სიამოვნებით ვითანამშრომლებთ.

**თამაზ თევზაძე**
საქართველოს ხელბურთის

# 40 წლის გადასახედიდან



საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, მაგრამ ბედმა ქართული სპორტული სამყაროს დიდი ოჯახის დიასახლისობა არგუნა. ოთხი ათეული წელიწადია თითქმის, რაც მუხლჩაუხრელად ტრიალებს ამ ოჯახში, იცის ყველა ნიუანსი, გამოცდილება ნებისმიერ საქმეში ხომ ყველაზე საიმედო და მოკლე გზაა მიზანთან მისასვლელად.

ერთხელ, სპორტის დეპარტამენტში, კიბეებზე დავით გობეჯიშვილი შემოხვდა, "ქალბატონო ნარგიზა, დეპარტამენტი უშენოდ მე ვერ წარმომიდგენია", - უთხრა დავითმა. დიდი ხანია, ასეა. დათო მაშინ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა და მშვენივრად ესმოდა რას ამბობდა. დღესაც ყველა ასე ფიქრობს და ამბობს. ნარგიზა მესხი და სპორტის სახელმწიფო სტრუქტურა - კომიტეტი ერქმეოდა, სამინისტრო თუ დეპარტამენტი, დიდი ხანია, ერთმანეთში ასოცირდება და სინონიმად იქცა.

ჩვენი რუბრიკის სტუმარი დღეს სწორედ ეს ღვაწლმოსილი ქალბატონი გახლავთ.

**- მოგესალმებით, ქალბატონო ნარგიზა. ჩვენი დიალოგი დროისა და მოვლენების სპექტრში წარიმართება. ალბათ, მოგონებები იჭარბებს, რადგან ერთად გამოგვივლია ათწლეულები ქართული სპორტის სამსახურში. მოგონებებს კი, რაც უნდა იყოს, თავისი ხიბლი გააჩნია ყოველთვის. თქვენი გამოჩენა საქართველოს სპორტკომიტეტში იმ თაობიდან ბევრს და, მათ შორის, მეც მახსოვს. მოდით, მკითხველს, გიორგი სიხარულიძესთან პირველი შეხვედრაზე უამბეთ.**

- ჯერ იმას ვიტყვი, რომ გიორგი სიხარულიძე იყო მართლაც ლეგენდარული თავმჯდომარე, ქართული სპორტის ოქროს ხანის შემოქმედი.

**- გეთანხმებით, მაგრამ ისიც ვთქვათ, კარგი ორგანიზატორი საჭირო დროს აღმოჩნდა ქართული სპორტის სათავეში. მაშინ ხომ სპორტის კომპლექსური განვითარება ძალიან მაღალ დონეზე იყო აყვანილი. გაიხსენეთ პირველი ნაბიჯები.**

- იმ პერიოდში, საბჭოთა სპორტი ეს იყო გრანდიოზული ინდუსტრია, ხოლო საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა. ჩვენი სპორტკომიტეტი კი ის შტაბი იყო, სადაც იგეგმებოდა და წყდებოდა ქართული სპორტის უმნიშვნელოვანესი საკითხები. მხოლოდ წინ უნდა გვევლო და ასეც იყო. მე როგორც რიგით თანამშრომელს წილად მხვდა ბედნიერება საქმეში ჩავრთულიყავი საორგანიზაციო მუშაობის განყოფილებაში. ასეთ დღეს არავინ ივიწყებს. როგორც წესი, გამესაუბრა თავმჯდომარე. გამომკითხა ოჯახური მდგომარეობა, განათლება. "უცხო ენის სპეციალისტი ყოფილა, ხომ არ გაუჭირდება", - უთხრა თავის მოადგილეს ვლადიმერ სამსონაძეს, რომელმაც მასთან წარმადგინა. "თუ საჭიროა, ფიზკულტურის ინსტიტუტსაც დაამთავრებს", - უთხრა მოადგილემ. მაგრამ შევთანხმდით, მით უმეტეს, ფიზკულტურის ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში სამი თვის მუშაობის გამოცდილება უკვე მქონდა.

თავმჯდომარემ გზა დამილოცა, თანადგომა აღმითქვა, თუ ვინმე გაწყენინებს, საქმე ჩემთან ექნებაო, - მითხრა.

**- ამდენი ხნის სტაჟი გაქვთ. ბევრ ხელმძღვანელთან გიმუშავიათ. განსაკუთრებულ მნიშვნელოვანს რას გაიხსენებდით. მოდით, მე შეგახსენებთ, მოუყევით მკითხველს დავით პერტენავას და ნოდარ ახალკაცის ურთიერთობის შესახებ. თქვენგან არაერთხელ გამიგონია, თბილისის "დინამოს" 1981 წლის წარმატებაში დიდია პერტენავას დამსახურებაო, ეს როგორ...**

- ცოტა შორიდან დავიწყებ. პარტიის ცეკაში გადაწყდა ნოდარ ახალკაცის დანიშვნა თბილისის "დინამოს" მთავარ მწვრთნელად. როგორც წესი, სპორტსაზოგადოება "დინამოს" წარდგინებით სპორტკომიტეტს უნდა დაემტკიცებინა ამ თანამდებობაზე. მიმდინარეობს კოლეგია. ახალკაცი, ალბათ, ცეკა-ში შეთანხმებულ მოთხოვნებს ახმიანებდა, როცა თქვა: "ჩემ საქმეში არავინ ჩაერიოს, რაც მინდა იმას გავაკეთებ და შედეგებზე პასუხს ვაგებ". გაცხარდა პერტენავა: "ხომ არ გავიწყდება, რომ ჯერ არ ხარ დამტკიცებული და უკვე ულტიმატუმს გვიყენებ. შეგვიძლია უარი გითხრათ". უარი, რა თქმა უნდა, კოლეგიას არ უთქვამს. მაგრამ იმ დღიდან მუდამ დაძაბული იყო ურთიერთობა მათ შორის. პერტენავა მოდუნების საშუალებას არ აძლევდა ახალკაცს - მოიგებდა მატჩებს თუ წააგებდა, სპეციალისტებთან ერთად გაურჩევდა ხოლმე. ასე მივიდა "დინამო" და ახალკაცი ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალამდე.

**- როგორ ფიქრობთ, გასული საუკუნის 60-იან და 70-იანი წლების დასაწყისში რამ განაპირობა ქართული სპორტის პროგრესი?**

- მოხდა შორეული წარსულიდან მომდინარე ტრადიციების, ქართული გენის, სპეციალისტთა მაღალი კვალიფიკაციის, მემკვიდრეობის, სპორტსმენთა მზადების სისტემის, ორგანიზაციული საქმიანობის კონსოლიდაცია, რაც გათვლილი იყო საბოლოო ჯამში კონკრეტულ შეზდეგებზე.

**- სპორტსმენთა მომზადების სისტემა ახსენეთ, მოდით, დავაკონკრეტოთ.**

- მთავარია ის, რომ მაშინდელი მოთხოვნებით, ფიზიკური აღზრდა გარანტირებული იყო საბავშვო ბაღიდან, სკოლებში, იცით, გაკვეთილების გარდა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა მიმდინარეობდა, უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედ სპორტულ კლუბებზე და საშუალო სპეციალური განათლების სასწავლებლებზე აღარაფერს ვამბობ. ის კი არა, ფაბრიკა-ქარხნებში, სხვა საწარმოებშიც თუნდაც დაგვიანებით თუ გამოჩნდებოდა სპორტული ტალანტი, არც ისინი რჩებოდნენ უყურადღებოდ. მუშაობდა ბავშვთა, ოლიმპიური რეზერვის და უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლები, დიდი წვლილი შეჰქონდა საერთო საქმეში გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატს, სადაც ჩამოჰყავდათ ნიჭიერი მოზარდები რაიონებიდან. მისასალმებელია, რომ ეს სასწავლებელი გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით, დღესაც დგას ქართული სპორტის წინსვლის სამსახურში.

**- ბოლო წლებში, ბევრი რამ გაკეთდა ქართული სპორტის ტრადიციების ასაღორძინებლად. ცნობილი მოვლენების გამო დანგრეული სპორტული მეურნეობის აღსადგენად. თქვენ მეტი იცით, რადგან ყველა დოკუმენტი თქვენთან იყრის თავს. როგორ ფიქრობთ, ბევრი გვიკლია სასურველი შედეგის მიღწევას?**

- საერთაშორისო სტანდარტების სპორტული ბაზებიც და საყოველთაო სარგებლობის სპორტული არენებიც, უკვე საკმაოდ გვაქვს. მთავარია, ახლა მათი ეფექტური ექსპლუატაცია. ახლა საჭიროა, ბაზების გამოყენება მოერგოს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და, განსაკუთრებით ნიჭიერ მოზარდთა აღზრდას. დღეს სხვა მოთხოვნებია. კარგია, რომ ამ კუთხით მუშავდება სპეციალური პროგრამები და ბიუჯეტი სპორტის განვითარებას უფრო აქტიურად და სოლიდური დაფინანსებით შეეხიდება.

**- თუ უხერხულობაში არ ჩაგაგდებთ, როგორ გრძნობთ თავს დეპარტამენტის ახლანდელ ხელმძღვანელებთან. წამოგაშველებთ საზოგადოებრივ აზრს, - ხალხში ეს ახალგაზრდა კადრები, ნდობას და პატივისცემას იმსახურებენ. თვით სპორტული სამყარო გრძნობს, რომ დეპარტამენტის ახლანდელი ხელმძღვანელობა მათ გვერდითაა, ცხოვრობს მათი სიხარულით და პრობლემებით, არანაირი ამბიცია, გარდა ქართული სპორტის წინსვლისა, მათ არ გააჩნიათ.**

- ჩემი სათქმელი თქვენ უკვე თქვით.

**- კეთილი, თქვენი და საზოგადოების აზრი ერთმანეთს თუ ემთხვევა, ამაზე კარგი რა უნდა იყოს. მაინც უნდა გკითხოთ. ბევრ ხელმძღვანელთან გიმუშავიათ. ვისთან უფრო ადვილი იყო ურთიერთობა?**

- გააჩნია კრიტერიუმად რას ავიღებთ. საბჭოთა პერიოდში სისტემა მუშაობდა და ყველა მის ჩარჩოში ვმოქმედებდით. შემდეგ გამუდმებით ახლის ძიებაში ვიყავით. ასეა ახლაც. მუდმივი ძიების გარეშე განახლება წარმოუდგენელია. დღეს მეტი გასაქანი აქვს პირად ინიციატივას. ეს უკვე ბევრს ნიშნავს, შედეგებსაც ვხედავთ. გულწრფელად გეუბნებით, ბედნიერი ვარ, რომ დღესაც ვმუშაობ და ჩემ გამოცდილებას ანგარიშს უწევენ.

**- დეპარტამენტი ბევრ ვეტერან სპორტსმენს ეხმარება მატერიალურად. არაერთხელ შევსწრებივარ თქვენს ოთახში სტიპენდიის დანიშვნის მსურველებს. ყველა მსურველის დაკმაყოფილება ხომ შეუძლებელია...**

- ჩვენი დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ძალიან ახლოს მიაქვს გულთან თითოეული გაჭირვებულის თხოვნა, მაგრამ ჩვენც შეზღუდულები ვართ. მართალია, წლიდან წლამდე იზრდება სოციალური ფონდი, დახმარების მსურველი გაცილებით მეტია. ვმოქმედებთ ობიექტურობის პრინციპით და უნდობლობის არავითარი ეჭვი აღარ რჩება. ადამიანები გრძნობენ, რომ მათზე ჭეშმარიტად ზრუნავს დეპარტამენტი.

**- წოდებების მინიჭებაზე და სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენის პროცედურაზეც უნდა გკითხოთ...**

- ვიცი, მკითხველისთვის მეკითხებით თორემ, როგორც სპეციალური კომისიის წევრმა, პირადად კარგად იცით რა პროცედურასთან გვაქვს საქმე. აქაც ობიექტურები ვართ. ვინც გარკვეული წლები წარმატებით ილვაწა ქართულ სპორტში და ეს მისი მონაგარი ჯდება დებულების მოთხოვნებში, "საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის" წოდებაა ეს თუ სამთავრობო ჯილდოზე წარდგენა, კომისიის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია ეძლევა დეპარტამენტის ხემლძღვანელობას ზემდგომ ინსტანციაში საკითხის განსახილველად. შუამდგომლობით კი ჩვენთან შემოდის ესა თუ ის უწყება, სპორტული ორგანიზაცია ან სპორტული ფედერაცია.

**- რაღა თქმა უნდა, "ლელოს" სტაჟიანი მკითხველი ბრძანდებით. პირდაპირ გვითხარით, რა მოგწონთ და რა არა, დღეს ჩვენს გაზეთში?**

- გაზეთი მხოლოდ სპორტის გულშემატკივარზე არ უნდა იყოს ორიენტირებული. ადრე ასეც იყო და არც ქართულ სპორტულ სამყაროში მიმდინარე მოვლენები რჩებოდა დაუფიქსირებელი. ახლა პრიორიტეტად იკვეთება სპორტის რამდენიმე სახეობა და უცხოური სპორტი.

**- კი მაგრამ გაზეთი იძულებულია, რომ ანგარიში გაუწიოს ბაზარს, თავი ხომ უნდა შეინახოს.**

- ხომ მითხარით სათქმელი პირდაპირ მეთქვა, მეც ვთქვი. დანარჩენი თქვენი საქმეა. საერთოდ, ჩემი შენიშვნა, მხოლოდ თქვენ გამოცემას არ ეხება.

**- მადლობის მეტი რა გვეთქმის, გულწრფელი შეფასებისთვის. ყველა გამოცდილი მუშაკი, შემცვლელის მომზადებაზე ფიქრობს. გყავთ შეგირდები?**

- რა თქმა უნდა.

**- კმაყოფილი ხართ მათი დამოკიდებულებით საქმისადმი?**

- პირდაპირ გეტყვით. ძალიან მონდომებულები არიან, აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა. სხვანაირად დღეს არც შეიძლება. პროფესიონალიზმიც მსხვერპლს მოითხოვს.

**- კიდევ დიდხანს მოღვაწეობას გისურვებთ და, გილოცავთ, დღეს 7 თებერვალს ხომ თქვენი დაბადების დღეა!**

- დიდი მადლობა!

ესაუბრა

**თენგიზ გაჩეჩილაძე**





# მშობლიურ კერას მიუბრუნდნენ

გუშინ, გაუქმებული სპორტის აკადემიის შენობის წინ კვლავ შეიკრიბნენ ან უკვე ყოფილი ამ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და სპორტსმენები. ახალი რეალობიდან გამომდინარე, აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ აკადემიის აღდგენას, მისი ნაგებობების და სპორტული ბაზების დაბრუნებას, სასწავლო პროცესის წარმართვას ნორმალურ პირობებში, სასწავლებლის ტრადიციების, ქართული სპორტის წინსვლაში მისი დამსახურების დაფასებას. მით უფრო, რომ წლეულს, შემოდგომაზე ამ სასწავლებელს დაარსებიდან 70 წელი უსრულდება.

*"ჩვენ მოვითხოვთ შეხვედრას ხელისუფლებასთან, რათა იზეიმოს სამართალმა და სპორტის აკადემია კვლავ ჩადგეს დარგის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადების სამსახურში, როგორც ეს იყო ათეული წლების განმავლობაში"*. - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

სპორტული კინო და ტელევიზია

# ფედერაცია განახლისდა

ამას წინათ, იტალიელი **ფრანკო ასკანი** კიდევ ერთხელ, 4 წლის ვადით, აირჩიეს სპორტული კინოსა და ტელევიზიის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად. გადახალისდა ფედერაციის კომისიები. ყველაზე პრესტიჟულ კომისიაში, რომელსაც ევალება საერთაშორისო ფესტივალების ორგანიზება და ხელმძღვანელობა, აირჩიეს საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი **მანანა არჩვაძე-გამსახურდია**.

გუშინ, გაიმართა ჩვენი ფედერაციის რიგგარეშე სერია, რომელმაც მოისმინა ამავე ფედერაციის პრეზიდენტის, ცნობილი კინორეჟისორის, **ალექსანდრე ჟღენტის** საანგარიშო მოხსენება. *"მე ვიხსნი ჩემს მოვალეობას და ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად ვუწევ რეკომენდაციას ზ. გამსახურდიას ხელისუფლების მემკვიდრე პრემიერ-მინისტრს, "მრგვალი მაგიდის" სპიკერს, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას"*, - თქვა მოხსენების ბოლოს ა. ჟღენტმა.

სესიამ დაამტკიცა ფედერაციის ახალი წევრები. ა. ჟღენტი კი ერთხმად აირჩია ფედერაციის საპატიო პრეზიდენტად. გადაწყდა, რომ ეროვნული ფედერაცია მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან.



მილოცვა

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს დეპარტამენტის ვეტერან თანამშრომელს, ქალბატონ ნარგიზა მესხს, უსურვებს მას ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს მე-16 ჩემპიონატი მე-14 ტური

# თათმანებით თამაში არ შეიძლება?



თსუ-მაკაბი. დავით ბარბაქაძის შეტევა

ამის მიზეზი შეიძლება ისიც ყოფილიყო, რომ "ავიატორებმა" რეზერვი სათანადოდ ვერ გამოიყენეს - **ლევან მოსეშვილმა** მხოლოდ 7 კალათბურთელი დატვირთა (მათგან **კვიმსაძემ** 9 წუთი ითამაშა, ხოლო **იმნაძემ** - 6)...

გადამწყვეტი მეოთხედის წინ "ავია" 62:57-ს იგებდა. **ზურაბ ტომარაძემ** მოედანზე გამოცდილ **დავით ბერძენიშვილს** ახალგაზრდები დაახმარა და მათაც გაამართლეს: "ავიატორი" **გიორგი ნიკოლაძის** სამქულიანებს **ბექა წივწივაძე** პასუხობდა, ხოლო ფარქვეშ დავით ბერძენიშვილი და **დავით გვიმრაძე** აქტიურობდნენ. მათ "ნახევარდაცვიდან" **მიშა ბერიშვილი** და **გიორგი მარკოიშვილიც** მიეხმარა და სირენამდე 35 წამით ადრე სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა - 77:79.

მატჩის დასრულებას 8 წამი აკლდა, როცა "ავიატორმა" **ირაკლი ხოშტარიამ** ორივე საჯარიმო ააცილა, ბურთი გვიმრაძემ მოხსნა და პასის გაკეთება სცადა, მაგრამ ბურთი მეტოქისგან აუტში გადავიდა. ამ დროს "ვითას" მწვრთნელები წამოხტნენ - მოხსნიდან აუტამდე 4 წამი როგორ გავიდაო?! თუმცა, მათთვის დაკარგული დრო არავის აუნაზღაურებია. დარჩენილ 4 წამში "ვითას" გამთამაშებელმა **გიორგი მარხვაშვილმა** ბურთი მეტოქის ფარქვეშ შეიტანა, სტყორცნა და ააცილა. ფარიდან ასხლეტილი ბურთი **გიორგი მარკოიშვილმა** მოხსნა, მაგრამ სროლა ველარ მოასწრო - სირენამ ჩამოჰკრა - 79:77 - "ავიას" სასარგებლოდ.

**ლევან მოსეშვილის** "ავიამ" გუნდური თამაში უჩვენა, ამიტომ მათგან ვინმეს გამორჩევა რთული საქმე იყო, მაგრამ როცა გავიხსენეთ, რომ ცენტრმა **რიჩარდ მათიაშვილმა** დაცვაში მეტისმეტად ნაყოფიერად იშრომა (14 დაცვითი მოხსნა), ტურის საუკეთესოდ სწორედ ის დასახელდა - 13 ქულა, 19 მოხსნა, 3 პასი, 2 დაფარება.

**ვერის პარკი, 6 თებერვალი**

**ენერჯი-დინამო 97:68**

21:22, 21:17, 29:13, 26:16

ენერჯი: ბაბიაშვილი (19ქ, 4პ), სტეფანოვი (16ქ, 11მ, 3პ), ბოისა (2ქ), დიდია (14ქ, 5მ), ლეჟავა (21ქ, 4ჩ, 4პ), ცეკვავა (5ქ, 6მ, 5პ), ლიპარტელიანი (2ქ), გოგობერიშვილი (11ქ), ტუჯანი (3ქ), ჭოჭუა (9ქ), ჩიტაშვილი (5პ), მაჭავარიანი, დვალიშვილი

დინამო: გულისაბედაშვილი (8 ქ), ნანიტაშვილი (5ქ), ჟლენტი (8ქ, 6პ), ლაფანაშვილი (16ქ), სიგუა (5ქ, 5მ, 3პ), წერეთელი (5ქ), მაისურაძე (5ქ, 2დ), ათანელიშვილი (16ქ, 6მ), ფაიქრიძე

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი,

**ავიამშენი-ვითა 79:77**

17:18, 18:13, 27:20, 17:26

ავიამშენი: ხოშტარია (12ქ), ნიკოლაძე (21ქ), კვიმსაძე, ტულუში (19ქ, 5მ, 8პ), იმნაძე, მათიაშვილი (13ქ, 19მ, 3პ, 2დ), მინაშვილი (14ქ, 10მ, 3ჩ)

ვითა: ნ. ნოზაძე (4ქ), ბეჟანიშვილი (2ქ), მ. ბერიშვილი (12ქ, 4პ), მარკოიშვილი (15ქ, 3პ), ბერძენიშვილი (18ქ, 9მ, 2დ), წივწივაძე (10ქ, 6მ), გვიმრაძე (4ქ, 6მ), ძიძიგური (1ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

**თსუ-მაკაბი 99:89**

35:23, 28:23, 20:20, 16:23

თსუ: არნივიძე (6ქ), ფანჩულიძე (21ქ, 3პ, 3ჩ), დ. ბერიშვილი (14ქ, 5პ), ბარბაქაძე (18ქ, 11მ, 3პ), კოხრეიძე (3ქ, 3ჩ), ყველაშვილი (10ქ, 5მ), კეიდია (2ქ), ხეცურიანი (19ქ, 5მ, 7პ, 4ჩ), ტყეშელაშვილი (6ქ)

მაკაბი: ი. ბერიშვილი (8ქ, 6პ), სორდია (11ქ, 4პ), გ. შერმადინი (36ქ, 22მ, 7ჩ, 3დ), პირველაშვილი, ვაშაკიძე (11ქ), კორკოტაძე (9ქ), კოლუაშვილი (4ქ, 4პ), ს. შერმადინი (10ქ), ჯიქია

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 14 | 12 | 2 | 26 |
| 2. თსუ | 14 | 9 | 5 | 23 |
| 3. ავიამშენი | 14 | 7 | 7 | 21 |
| 4. ვითა | 14 | 5 | 9 | 19 |
| 5. დინამო | 14 | 5 | 9 | 19 |
| 6. მაკაბი | 14 | 4 | 10 | 18 |

**დავით ბარბაქაძემ** სირენამდე წამით ადრე ორქულიანი ჩააგდო და მისმა თსუ-მ "ენერჯი" ერთი ქულის სხვაობით დაამარცხა - ასეთი ამბების წერა უფრო მიყვარს, ვიდრე დარბაზში არსებული ყინვის დეტალური აღწერა. მაგრამ, როგორ შეიძლება ასეთ არასასიამოვნო თემას გვერდი აუარო მაშინ, როცა მატჩის მსვლელობის ჩანიშვნისას თითები კალამზე ცივია, კალათბურთელი შეხვედრის კომისართან მიდის და ეკითხება, თითებს ვერ ვგრძნობ და თუ შეიძლება, თათმანებს ჩავიცმევო, ხოლო შეხვედრის ორი მდივანი უკვე გაცივდა...

აქვე ახსნა განმარტებით წერილსაც დავურთავ: დარბაზში იმიტომ ცივა, რომ მას პატრონი არ ჰყავს - გასაყიდ ობიექტთა სიაშია და მყიდველი ჯერ არ გამოუჩნდა. მაშ, რატომ ტარდება საქართველოს ჩემპიონატი "ჰოკეის" დარბაზში? - იკითხავთ.

კალათბურთის ფედერაციაში გვითხრეს, რომ სპორტის სასახლის ხელმძღვანელობასთან წინასწარი შეთანხმებით ერთკვირიანი მესამე წრის მატჩები გათვალისწინებული არ იყო. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ თავიდან ჩემპიონატში 7-8 გუნდის მონაწილეობა იგეგმებოდა და ექვსის ნაცვლად ოთხი, ან ხუთი ტური უნდა გამართულიყო. ამიტომ ერთკვირინი მესამე ტურის ჩატარება არ იგეგმებოდა, მაგრამ საბოლოოდ ჩემპიონატს 6 გუნდი შერჩა და ფედერაციამაც გადაწყვიტა მესამე წრე ვერის ბალის დარბაზში ჩაეტარებინა.

თუმცა, დაგაიმედებთ, რომ ვერის პარკის არენაზე დღეს მეთხუთმეტე ტურილა შედგება და 10 თებერვლიდან, მეოთხე წრის მატჩები სპორტის სასახლეს დაუბრუნდება.

ახლა სპორტულ თემაზე გადავიდეთ. ტურის პირველი მატჩი საინტერესოდ დაიწყო და უინტერესოდ დასრულდა: პირველ ტაიმში **ვიქტორ სანიკიძისა** და **გულივერ ახალკაცის** გარეშე მოთამაშე "დინამომ" რუსთავის "ენერჯის" პირველ ტაიმში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა მეორე ნახევარში რუსთაველებმა დაცვაში თამაში გამოასწორეს და **ზაზა ცაგარეიშვილის** შეგირდებმა ველარაფერი მოუხერხეს.

დინამოს მალლების არყოფნით ისარგებლეს რუსთავის მეფარეებმა: **ზვიად ბაბიაშვილმა** 19 ქულა ჩააგდო, იოვან სტეფანოვმა - 16 ქულას 11 მოხსნა მიამატა, ხოლო **რეზო დიდიამ** 14 ქულა მიითვალა. მატჩის სნაიპერი კი **ბესიკ ლეჟავა** გახდა: მან 5-დან 4 ორქულიანი, 4-დან 3 სამიანი ჩააგდო, 4 საჯარიმოც ნაუმატა და 21 ქულას მოუყარა თავი.

მეორე მატჩი ყველაზე დაძაბული გამოდგა. "ვითამ" ძალების ბოლომდე გამოზოგვა მოახერხა და "ავიამშენს" უკანასკნელ წამებამდე ებრძოლა.

გუშინ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა მაკაბელმა **გიორგი შერმადინმა**. თუ სხვა დროს იგი ინდივიდუალურად ცდილობდა მეტოქის კალათისთვის გასალების მორგებას, გუშინ დავინახეთ, რომ მას გუნდზე თამაშიც კარგად შეძლებია. ამის დასტურად ერთ-ერთი ქომაგის სიტყვებიც გამოდგება: შერმადინი დღეს ძველებურად გამორჩეული არ იყოო... ნაწილობრივ მართალია - გიორგიმ მხოლოდ ორსამჯერ ჩატენა და ბურთიანად ბევრსაც არ ტრიალებდა, მაგრამ სამაგიეროდ ბურთის მიღებისას პასებს არ აგვიანებდა, დაცვაში მუშაობისას კი 20 მოხსნა, 6 ჩაჭრა (მისი პირადი რეკორდია) და 3 დაფარება მიითვალა. "გამორჩეული" არ იყო, მაგრამ "სულ რალაც" 36 ქულა ჩააგდო...

შერმადინზე ამდენს არ ვისაუბრებდით, "მაკაბი"-თსუ-ს დაპირისპირება დაძაბული და თანაბარი რომ არ ყოფილიყო. მართალია, თსუ-მ პირველ ტაიმში მეტოქე თითქოს საბოლოოდ გატეხა - 63:46 მოუგო, მაგრამ მეოთხე პერიოდში მაკაბელებმა **ვაშაკიძისა** და **სორდიას** სამქულიანების შემდეგ სხვაობა 7 ქულამდე შეამცირეს - 82:89 (სირენამდე 4 წუთით ადრე). თუმცა, ეს იყო და ეს - შედარებით გამოცდილმა სტუდენტებმა კაპიტნის შიო ხეცურიანის სამქულიანის შემდეგ მოწინააღმდეგეს მჭიდრო პრესინგი დაუწესეს, ფანჩულიძემ ერთმანეთს ორი სამქულიანი მიაყოლა და - 99:89.

ამ შეხვედრაში საყურადღებო იყო ტყუპების, **ირაკლი და დავით ბერიშვილების** დუელი. ისინი საწყის ორ წრეში "მაკაბის" ღირსებას ერთად იცავდნენ. ორმაგად საინტერესი კი პირველი პერიოდის უკანასკველი წამი გახლდათ: მოედნის ცენტრში მდგომ დავით ბერიშვილს ბურთი მიღებული არ ჰქონდა, მეტოქის კალათისკენ რომ ისროლა და სირენასთან ერთად კალათში ჩაეშვა. პირველმა ხელი მეტოქე გუნდის მაისურში გამოწყობილმა ტყუპისცალმა ირაკლიმ ჩამოართვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**





ბექა ლობჟანიძე

### ინტერვიუ თენგიზ მესხაძესთან

# ბრძოლა რინგზე და კულისებში

**საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები დაბრუნდა ბულგარეთიდან, სადაც ტრადიციული "სტრანჯას თასიდან" ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანა. მედალი მძიმეწონოსან ბექა ლობჟანიძეს ერგო. ბულგარული ტურნირისა და სამომავლო გეგმების შესახებ გვესაუბრება ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი თენგიზ მესხაძე.**

- შარშან, შემოდგომით ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზა და მას შემდეგ არცერთ შეჯიბრებაზე არ გამოვსულვართ. შესაბამისად, ბულგარულ ტურნირს ჩვენთვის უფრო საკონტროლო-საშეჯიბრო დატვირთვა ჰქონდა, შედეგები მეორეხარისხოვანი იყო. "სტრანჯას თასი" იმითაც გამოდგა სასარგებლო, რომ იქ ნაგებულებს საშუალება ჰქონდათ, არაოფიციალური ორთაბრძოლებიც ჩაეტარებინათ.

ნიკლოზ იზორია 54 კილოგრამში კი გამოდის, მაგრამ საბულგარეთოდ წონა არ დავაკლებინეთ და 57-ში ვაჩხუბეთ. იგი ინგლისელ მეტოქესთან პირველ შეხვედრაში დამარცხდა, მაგრამ მერე არაოფიციალური საკონტროლო ბრძოლები გამართა შვედ და ბერძენ მოკრივეებთან, რაც მთლიანობაში მშვენიერი პრაქტიკა იყო. იზორია ჩვეულ წონას ბოლო შეკრებაზე დაიბრუნებს, უკრანაში.

ასევე ერთი წონით ზემოთ, 60 კილოგრამში ვაჩხუბეთ კობა ფხაკაძე. საერთოდ, მსაჯობაზე წუწუნი ნაკლებად მჩვევია, მაგრამ ბულგარელ ოგნიან კოლევთან ნამდვილად დააკლეს ქულები. საერთოდ, ასეთი თანაბარი შეხვედრები თითქმის ყოველთვის მასპინძლის სასარგებლოდ მთავრდება ხოლმე. კობაც უკრაინაში ჩადგება ჩვეულ წონაში.

ამავე წონაში, კონსტანტინე კუპატაძეს შარშან თითქმის მთელი სეზონი გაუცდა და ახლალა დაუბრუნდა რინგს. მიუხედავად ამისა, ტურნირის მომავალ ჩემპიონს - ყაზახ აკშალოვს საკმაოდ კარგად ეჩხუბა.

64 კილოგრამში, ლევან ღვამიჩავამ შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე მშვენივრად იასპარეზა და სულ ცოტა დააკლდა პეკინის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებამდე. თუმცა, ბულგარეთში ნამდვილად ვერ დატოვა ისეთი შთაბეჭდილება, როგორსაც ველოდი. ბოლო შეკრებაზე გვექნება საიმისო დრო, რომ ღვამიჩავასთან ვიმუშავოთ და ვიმედოვნებ, მოახლოებულ იტალიის სალიცენზიო ტურნირამდე ჩვეულ ფორმაში ჩადგება. ისე, მერე ლევანმა არაოფიციალური შეხვედრაც გამართა ბერძენ მოკრივესთან და აშკარა უპირატესობით მოიგო...

69 კილოგრამში, კახა ჟვანიამ რეალურად დაამარცხა ბულგარელი ბორისოვი, მაგრამ მსაჯებმა 13:12 დააფიქსირეს მასპინძლის სასარგებლოდ. შეხვედრის დამთავრების შემდეგ, თავად ბულგარელებმა მოგვიბოდიშეს - არ გაგვიბრაზდეთ, ეს ბიჭი სალიცენზიო ტურნირზე უნდა წავიყვანოთ და ახლა მაგის ნაგება არ შეიძლებოდაო.

სამწუხაროდ, ტურნირის წინ ბეჭის ტრავმა მიიღო გიორგი ნაკანმა (75 კგ). მიუხედავად ამისა, მაინც გვთხოვა, რომ რინგზე გაგვეყვანა. თუმცა, ტრავმამ შეაწუხა და პირველსავე შეხვედრაში მეორე რაუნდიდან მოვხსენით.

საგრძნობ პროგრესს განიცდის დავით წიკლაური (81 კგ). მან პირველი შეხვედრა მოიგო, მაგრამ მერე საკმაოდ ძლიერ რუს ჩუდინოვს გადაეყარა, რომელთანაც ველარაფერი გააწყო.

რაც შეეხება მძიმეწონოსან ბექა. ლობჟანიძეს, მას წინაში მხოლოდ 6 მოკრივის შეკრების გამო, ერთი შეხვედრის მოგება ეყო ბრინჯაოს მედლისთვის. ნახევარფინალში კი კუბელ რობერტო ალფონსოსთან თანაბარ ბრძოლაში წაგო.

მთლიანობაში, რა მიზანიც გვქონდა, შევასრულეთ. ბიჭებმა მიიღეს საკმაოდ კარგი საშეჯიბრო პრაქტიკა. ისე, იქამდე რომ გამოვსულიყავით რომელიმე ტურნირზე და ბულგარეთში შედეგებზე გვემუშავა, უკეთეს შედეგს ნამდვილად ვაჩვენებდით. ჩვენი გეგმის თანახმად, ნაკრები იტალიის სალიცენზიო ტურნირისთვის უნდა შევიდეს ოპტიმალურ ფორმაში.

**- ნაკანის ტრავმა რამდენად სერიოზულია?**

- მარტივი ნამდვილად არ არის. ახლა სწორედ იმაზე ვფიქრობთ, წავიყვანოთ უკრაინაში თუ არა. შესაძლოა, იგი სამკურნალოდ თბილისში დავტოვოთ და მერე აქედან შეუერთდეს გუნდს იტალიის სალიცენზიო ტურნირზე. უკრაინაში 7 თებერვალს მივდივართ მასპინძლებთან ერთობლივ შეკრებაზე, საიდანაც 19 თებერვალს დავბრუნდებით. პესკარას სალიცენზიო ტურნირი კი 24 თებერვალს იწყება.

**- რომელ წონაში რომელი ადგილის დაკავებაა საჭირო იტალიისა და საბერძნეთის სალიცენზიო ტურნირებზე პეკინის საგზურისთვის?**

- 54, 57, 69 და 75 წონით კატეგორიებში, მინიმუმ ბრინჯაოს მედალი, ანუ ნახევარფინალში გასვლაა საჭირო, რაც 3 შეხვედრის მოგებას მიშნავს. რაც შეეხება დანარჩენ წონებს, იქ ფინალისტობა უნდა პეკინის საგზურს.

ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ერთი ლიცენზიის მოპოვებაც კი დიდი წარმატება იქნება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კარგად ვიცი, რაც ხდება კულისებში. მსოფლიო ჩემპიონატზე ულიცენზიოდ დარჩენილი ქვეყნები ყველა დაშვებულ თუ დაუშვებელ ხერხს იხმარენ, რათა მიზანს მიაღწიონ და მათთან ბრძოლა ნამდვილად არ იქნება იოლი.

**კობა ხატისაშვილი**

კალათბურთი

## შაქს ფინიქსში გაუშვებენ

"მაიამი ჰიტის" ხელმძღვანელობამ **შაკილ ო'ნილის** აგენტს შეატყობინა, რომ კლუბი ლეგენდარული ცენტრალური თავდამსხმელის ტრეიდს ამზადებს. "მაიამის" სურს, ვეტერანი კალათბურთელი "ფინიქს სანზს" ფორვარდ **შონ მერიონში** და მცველ **მარკუს ბენქსში** გაუცვალოს. გარდა ამისა, შაკის გადაბირების თაობაზე ინტერესს "დალას მავერიქსიც" გამოთქვამს, თუმცა ამ გუნდს "მაიამისთან" მოლაპარაკებები ჯერ არ დაუწყია.

შეგახსენებთ, რომ ღლეისთვის შაკილ ო'ნილი, რომელმაც ამ სეზონში მხოლოდ 32 მატჩი ჩაატარა, ბარძაყის ტრავმას მკურნალობს. ამის გამო, მან უკვე გამოტოვა ბოლო 6 შეხვედრა. 36 წლის ცენტრს "მაიამისთან" კიდევ ორწლიანი თანამშრომლობა (ამ სეზონს თუ არ ჩავთვლით) აკავშირებს. შაკის წლიური ხელფასი 20 მილიონ დოლარს უდრის.

## ლეგენდარულმა მწვრთნელმა კარიერა დაასრულა

"ტეხასის" კოლეჯის მთავარმა მწვრთნელმა **ბობ ნაითმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. მას ამ პოსტზე თავისი ვაჟი, **პეტ ნაითი** შეცვლის, რომელმაც მამის გადაწყვეტილება ასე ახსნა.

*"ის ძალიან დაიღალა. მან გუნდი მე ჩამაბარა, თავად კი კიდევ ბევრი დრო ექნება იმისთვის, რომ ცხოვრებისგან სიამოვნება მიიღოს"*, - განაცხადა პეტ ნაითმა.

ბობ ნაითი "ინდიანას" უნივერსიტეტის გუნდში მუშაობით არის ცნობილი, რომელიც ზედიზედ სამჯერ გახდა NCAA-ს სტუდენტური ლიგის ჩემპიონი. ნაითი აგრეთვე სხვადასხვა სკანდალებითაც გამოირჩა, ვინაიდან ხშირად ჩხუბობდა მოთამაშეებთან, გულშემატკივრებთან და ხელმძღვანელობასთან. 67 წლის მწვრთნელმა 42 სეზონი იმუშავა სტუდენტურ კალათბურთში. გარდა ამისა, მან 1984 წელს ამერიკის ნაკრებს ოლიმპიადის ოქროს მედლები მოაგებინა.

## სპრიუელს არ დააპატიმრებენ

ნარსულში ცნობილი კალათბურთელი **ლეთრელ სპრიუელი** პატიმრობას გადაურჩა. ის არ დასაჯეს იმის გამო, რომ თავისი ყოფილი მეგობარი ქალი მათი საერთო შვილების თვალწინ სცემა. მაგრამ თუ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კალათბურთელს კვლავ შეექმნება პრობლემები კანონთან, მაშინ ლეთრელს ამ შემთხვევასაც გაუხსენებენ.

სპრიუელის წინააღმდეგ საქმე 2006 წლის დეკემბერში აღიძრა. მას ქალის ფიზიკურ შეურაცხყოფასა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში ადანაშაულებდნენ. სპორტსმენმა ნიუ იორკის გარეუბანში, საკუთარ სახლში მეგობარი ქალი სცემა, ამის შემდეგ კი 90 წუთის განმავლობაში უარს ამბობდა პოლიციის განყოფილებაში წასვლაზე.

## გარნეტი ჯერ ვერ თამაშობს

"ბოსტონ სელტიქსის" ფორვარდი **კევინ გარნეტი** რეგულარულის ბოლო ტურში "კლივლენდთან" მატჩის განაცხადში ვერ მოხვდა - ბოსტონელთა ერთ-ერთ ლიდერს ჯერაც აწუხებს მუცლის კუნთის ტრავმა.

გაზეთ Boston Herald-ის ცნობით, დანამდვილებით ცნობილია, რომ გარნეტი ვერც მომდევნო ტურში ითამაშებს "ლოს ანჯელეს კლიპერსის" წინააღმდეგ. "ბოსტონის" დამრიგებელმა **დოკ რივერსმა** განაცხადა - ახლა პლეიოფის ეტაპი რომ იყოს, გარნეტს აუცილებლად შევიყვანდი მოედანზე, მაგრამ რეგულარულ ჩემპიონატში ასეთი რისკი გაუმართლებელი იქნებოდაო.

## არტესტი კინგზიდან წასვლაზე ფიქრობს

"საკრამენტო კინგზის" ფორვარდი **რონ არტესტი** დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში დატოვებს კალიფორნიული კლუბის რიგებს, ვინაიდან "მეფეები" არ აპირებენ თავიანთ ერთ-ერთი ლიდერთან კონტრაქტის გახანგრძლივებას.

*"აქ ჩემი ყოფნა არ უხარიათ. დარწმუნებული ვარ, უკეთესი იქნება, თუ "საკრამენტოს" დავტოვებ. ჩემს გარეშე რეჯი ტეუსს უკეთესად გამოსდის საქმე"*, - ამბობს რონ არტესტი.

ამ სეზონში რონ არტესტმა "საკრამენტოს" რიგებში 29 მატჩი ჩაატარა. მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები ასეთია: 18.4 ქულა, 5.6 მოხსნა და 4.0 შედეგიანი პასი.

## რედი კიდევ ერთ მატჩს გამოტოვებს

"მილუოკი ბაქსი" კიდევ ერთ მატჩს ჩაატარებს თავისი ერთ-ერთი ლიდერის, **მაიკლ რედის** გარეშე. გუშინ, მცველმა გამოტოვა "მემფის გრიზლისთან" შეხვედრა და ვერც "დალას მავერიქსთან" მატჩში ითამაშებს.

27 წლის რედი 25 იანვარს, "ტორონტო რეპტორზთან" მატჩში გამოვიდა მწყობრიდან. მაშინ მან მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო და უკვე გამოტოვა 4 ტური.

## კასელი ბოსტონში გადადის?

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" 38 წლის მცველმა **სემ კასელმა** შესაძლოა, უახლოეს ხანში კლუბი შეიცვალოს. ამერიკული პრესის ინფორმაციით, ვეტერანი კალათბურთელი "ბოსტონ სელტიქსში" გააგრძელებს კარიერას. ეს ტრანსფერი იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ "კლიპერსი" კასელის კონტრაქტს გამოისყიდის.

*"წვრილმანები არ ვიცი. მე მხოლოდ კალათბურთს ვთამაშობ. ჩემი აგენტი დევიდ ფალკი რაღაცას აპირებს - ეს ხომ მისი სამუშაოა"*, - ამბობს კასელი.

წლევანდელ რეგულარულში მცველმა 33 მატჩი გამართა და საშუალოდ 13.2 ქულა და 4.6 შედეგიანი პასი დააგროვა.

## გრინმა გაცვლა მოითხოვა

"მინესოტა ტიმბერვულვზის" ფორვარდმა **ჯერალდ გრინმა** კლუბის ხელმძღვანელობას სხვა გუნდში გაშვება სთხოვა. გრინი "მგლების" რიგებში გასულ ზაფხულს, "ბოსტონ სელტიქსიდან" გადავიდა. წლეულს, 21 წლის კალათბურთელმა "მინესოტას" შემადგენლობაში 26 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 5.0 ქულა დააგროვა. თუმცა ფორვარდს სურს, მეტი სათამაშო დრო ჰქონდეს.

შეგახსენებთ, რომ გრინი ჩატენვების კონკურსის მოქმედი ჩემპიონია და "ყველა ვარსკვლავის" წლევანდელ უიქენდზე ამ ტიტულის დაცვას შეეცდება.

ოლიმპიადა

## ლონდონმა სპონსორი იპოვნა

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა და ავიაკომპანია British Airways-მა ხუთწლიან პარტნიორულ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

კომპანია ოლიმპიადის ორგანიზებაში 40 მილიონ ფუნტს დააბანდებს, სანაცვლოდ კი British Airways ოფიციალურად გახდება ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა გადამყვანი და აგრეთვე, ექსკლუზიურ მარკეტინგულ უფლებებსაც მიიღებს. გარდა ამისა, სწორედ ეს ავიაკომპანია გადაიყვანს ბრიტანეთის ნაკრებს პეკინის ზაფხულისა და ვანკუვერის ზამთრის თამაშებზე.



NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჯეიმსი, ანუ ჩემბერლენი

"ბოსტონ სელტიქსი" და "ლოს ანჯელეს ლეიკერსი" - გუნდები, რომლებმაც პროფესიულ კალათბურთს ყველაზე მეტი ბუმბერაზი პიროვნება, სუპერვარსკვლავი აჩუქა. ეს ორი გუნდი დღესდღეობით ძველი დიდების დასაბრუნებლად იბრძვის და ბოსების ჭკვიანური სატრანსფერო პოლიტიკით, ერთსაც და მეორესაც წელსვე გაჩემპიონების რეალური შანსი აქვს.

"სელტიქსის" წინააღმდეგ ზედიზედ ცხრა შეხვედრაში 30 და მეტი ქულა ერთადერთ კაცს, ლეგენდარულ **უილტ ჩემბერლენს** გაუკეთებია, გუშინ კი ბიძია უილტს გვერდით თანამედროვეობის გამორჩეული ყმაწვილკაცი, "კლივლენდ კავალიერსის" ახალგაზრდა ვარსკვლავი **ლებრონ ჯეიმსი** ამოუდგა, რომელმაც კინაღამ სამმაგი დუბლი შეასრულა.

უკვე მერამდენედ გვიწევს იმაზე წერა, რომ "კლივლენდი" ულებრონოდ ერთი ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული გუნდია, რომელსაც იქნებ **ბენი ჰილის** შოუდ ქცეულმა "მინესოტამაც" კი აჯობოს, მაგრამ როდესაც ჯეიმსი მოედანზეა, "კავალიერსი" სახიფათოა და პრაქტიკულად, ყველას ამოყირავება ძალუძს.

25 დეკემბრის შემდეგ "კლივლენდს" ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი (15 მოგება/4 წაგება) აქვს, "სელტიქსმა" კი აშკარად მოუკლო და მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ჯერაც პირველ ადგილზეა, მისი უპირატესობა და რაც მთავარია, თავდაჯერებულობა უწინდელივით თვალშისაცემი არ გახლავთ. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, ისევ და ისევ, **კევინ გარნეტის** ტრავმაა.

"ბოსტონი" ლიგის საუკეთესო საგარეო გუნდია და კლივლენდში წაგება ამ სეზონში რივერსის ბიჭებისთვის გასვლაზე განცდილი ოდენ მეხუთე მარცხი იყო. "კავალიერსმა" "ბოსტონი" საკუთარ მოედანზე 27 ნოემბერსაც დაამარცხა და მაშინ ლიდერს გარნეტიც ჰყავდა, **პოლ პირსიც** და **რეი ალენიც**.

"კლივლენდმა" აღნიშნულ შეხვედრაში კიდევ ერთი მოთამაშე დაკარგა. ისედაც ორი ძირითადი წევრის (**ანდერსონ ვარეჟაო** და **საშა პავლოვიჩი**) გარეშე მყოფ "კავალიერსს" მესამე მეოთხედის შუაწელში მძიმე ფორვარდი **დრიუ გუდენი** გამოაკლდა. ამ უკანასკნელმა საზარდული იტკინა და ამ ეტაპზე უცნობია, თუ რამდენი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს დრიუს.

"კავალიერსის" ლიტველი ცენტრი **ჟიდრუნას ილგაუსკასი** კი, გუნდის ისტორიაში მეორე საუკეთესო დამფარებელი გახდა. მას ამ გუნდის მაისურით უკვე 1088 ბლოკი დაუგროვდა და მანამდე მეორე პოზიციაზე მყოფ **ლარი ნენსს** ერთით გადაუსწრო. ჟიდრუნასი, სავარაუდოდ, პირველზეც გადავა, რადგან კარიერის დასრულებას აშკარად არ გეგმავს, ხოლო პირველ პოზიციაზე მყოფ **ჯონ უილიამსს** 1200 ბლოკ-შოტით აქვს ჩამთავრებული თავისი კლივლენდური კარიერა.

■ ■ ■

**ტონი პარკერი** დაშავებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ "სპურსის" მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი** თავის გამოჩენის საშუალებას თავისი გუნდის ყველა ტანმორჩილ წევრს აძლევს. ტეხასელებს ამ ეტაპზე ორი გამთამაშებელი ჰყავთ - **ჟაკ ვონი** და "მემფისიდან" ახლახან დამატებული **დეიმონ სტაუდმაიერი**. გასაკვირი კი ისაა, რომ პოპოვიჩი სასტარტოში ფლეიმეიქერად არგენტინელ **მანუ ჯინობილის** აყენებს, სტაუდმაიერმა კი "ინდიანასთან" გასვლით შეხვედრაში მეორე ნომრის, ანუ მსროლელის ფუნქციები შეასრულა.

ძალიან კარგადაც შეასრულა, რაზეც დეიმონის სტატისტიკაც მეტყველებს - 22 წუთი, 3-ში 2 ზუსტი სამიანი, 11 ქულა და არცერთი შეცდომა. საგულისხმოა ისიც, რომ დეიმონის მოედანზე ყოფნისას მისი გუნდი +19 ქულით მოწყდა მეტოქეს.

თუ პირველ ნახევარში მასპინძლებს შეტევაში თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ, მესამე მეოთხედში მოქმედმა ჩემპიონებმა თავისი სტატუსის შესაფერისი დაცვა დააყენეს და "პეისერზმა" "ცოცხალი" სროლების მხოლოდ 18 (!) პროცენტი გამოიყენა, ბოლო მეოთხედში კი ფავორიტმა უპრობლემოდ მიიყვანა საქმე დაგეგმილ გამარჯვებამდე.

"სპურსმა" ინდიანაპოლისში ბოლო რვა მატჩიდან მეხუთედ მოიგო, ხოლო "პეისერზის" ფორვარდმა **დენი გრეინჯერმა** კი ზედიზედ ჩაგდებული სამჯარიმოების რიცხვი 42-მდე აიყვანა.

■ ■ ■

სანაქებო დებიუტი გამოუვიდა "ლეიკერსში" ესპანელ **პაუ გასოლს**, რომელმაც **კობი ბრაიანტისგან** იოტისოდენა დახმარებაც კი ვერ მიიღო, მაგრამ პირენეელს გვერდით ბებერი **დერეკ ფიშერი** ამოუდგა და ამ წყვილმა კალიფორნიელებს გასვლაზე "ნიუ ჯერსი" დააჩოქებინა.

კობიმ 40 წუთში თამაშიდან 13-ში მხოლოდ 3 სროლა გამოიყენა, თუმცა გასოლმა ტრადიციულად სამწამიანში იბობოქრა და 15 სროლიდან მხოლოდ 5 ვერ გამოიყენა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**კლივლენდი–ბოსტონი 114:113**

**36:35, 28:31, 28:21, 22:26**

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (33 ქ. 12 პ. 9 მ. 5 ჩ. 2 დ), ილგაუსკასი (21 ქ. 10 მ. 5 დ. 2 პ), ლ. პოუზი (18 ქ. 6 პ. 2 ჩ), ნოუბლი (15 ქ), გიბსონი (11 ქ. 2 ჩ).

**ბოსტონი:** რ. ალენი (24 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), რონდო (20 ქ. 7 მ), პირსი (19 ქ. 3 პ), ტ. ალენი (14 ქ), პერკინსი (12 ქ. 5 მ. 4 პ).

**ნიუ ჯერსი–ლეიკერსი 90:105**

**27:26, 20:21, 24:28, 19:30**

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (27 ქ. 4 მ. 4 პ), ნახბარი (19 ქ. 10 მ), რ. ჯეფერსონი (12 ქ. 5 მ. 3 პ), კიდი (11 ქ. 10 პ. 5 მ. 2 ჩ), შ. უილიამსი (7 ქ. 10 მ).

**ლეიკერსი:** ფიშერი (28 ქ. 4 მ. 2 პ. 2 ჩ), გასოლი (24 ქ. 12 მ. 4 პ), რადმანოვიჩი (16 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ), ოდომი (14 ქ. 15 მ. 5 პ), ბრაიანტი (6 ქ. 8 პ. 5 მ. 2 ჩ. 2 დ).

**ინდიანა–სან ანტონიო 89:116**

**36:34, 23:25, 9:22, 21:35**

**ინდიანა:** გრეინჯერი (16 ქ. 5 დ), მერფი (15 ქ. 7 მ. 3 პ), დიენერი (14 ქ. 6 პ), მ. დანლივი-უმცროსი (14 ქ. 4 ჩ).

**სან ანტონიო:** დანკანი (19 ქ. 15 მ. 6 პ), ვონი (16 ქ. 5 პ), ჯინობილი (15 ქ. 7 პ), ბ. ბოუენი (14 ქ), ფინლი (11 ქ. 2 ჩ), დ. სტაუდაიერი (11 ქ), ობერტო (10 ქ. 8 მ).

**მემფისი–მილუოკი 97:102**

**31:23, 23:27, 19:28, 24:24**

**მემფისი:** მ. მილერი (32 ქ. 5 მ. 3 პ), გეი (21 ქ. 6 მ. 5 პ), მილიჩიჩი (11 ქ. 12 მ. 2 პ. 2 დ).

**მილუოკი:** მო უილიამსი (32 ქ. 7 პ. 3 მ), ჩ. ბელი (17 ქ), ვილანოვა (16 ქ. 16 მ), ბოგუტი (12 ქ. 5 მ. 3 პ).

**ფილადელფია–ვაშინგტონი 101:96**

**23:25, 26:31, 24:27, 28:13**

**ფილადელფია:** 20 ქ. 4 მ. 4 პ. 2 დ), ტ. იანგი (17 ქ. 9 მ), კარნი (16 ქ. 6 მ. 3 ჩ), ა. მილერი (11 ქ. 14 პ), ლ. უილიამსი (11 ქ).

**ვაშინგტონი:** სტივენსონი (19 ქ), ჰეივუდი (18 ქ. 8 მ), ჯეიმისონი (16 ქ. 14 მ), რ. მეისონი (15 ქ. 4 ჩ), ა. დენიელსი (10 ქ. 2 ჩ).

ავტოსპორტი

ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

# საბიუჯეტო ჭერი ფორმულა ერთისთვის



მაქს მოსლი

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) მოტორ სპორტის საბჭო, ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე გუნდებთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომლის მიზანიც ეგრეთ წოდებული საბიუჯეტო ჭერის შემოღებაა. ფია-ს პრეზიდენტი **მაქს მოსლი** ამბობს, რომ საბიუჯეტო ჭერის შემოღებით ის ზოგიერთი გუნდის, ფაქტობრივად, უსაზღვრო დანახარჯების შეზღუდვას ცდილობს.

*"ვიმედოვნებ, მოლაპარაკება ივნისამდე შედეგიანად დასრულდება. თუმცა, სანამ ეს მოხდებოდეს, ჩვენ რიგ გაუთვალისწინებელ პრობლემას ვაწყდებით. პირველ რიგში, უნდა ვთქვა, რომ ახალი წესის შემოღებისთანავე გუნდების ბიუჯეტების მკვეთრი შეზღუდვა არ მოხდება"*, - ამბობს მოსლი, ვინც იმედოვნებს, რომ საბიუჯეტო ჭერის შემოღების შემდეგ გუნდები თავიანთ ფულად სახსრებსაც უფრო რაციონალურად გამოიყენებენ და ეცდებიან, თავიანთი ინტელექტუალური პოტენციალი სწორი მიმართულებით მიმართონ .

*"ახალი წესი განსაკუთრებით იმ გუნდებს გამოადგებათ, რომლებიც თავიანთ ფულს გააზრებულად ხარჯავენ. შედეგი კი ერთი იქნება – კონკურენციის გაზრდა, რაც რბოლების სანახაობრივ მხარეზეც კარგად იმოქმედებს. ინჟინერი ის ადამიანია, ვისაც ერთი დოლარით ისეთივე რამის შექმნა შეუძლია, რისთვისაც იდიოტი ას დოლარს დახარჯავს. ჩვენი მიზანი სწორედ ამ ფაქტორის ამოქმედებაა"*, - დასძენს მოსლი.

რა თქმა უნდა, ახალ წამოწყებას თავისი მაკონტროლებელი ორგანო დასჭირდება, რომელიც, თავის მხრივ, დაფინანსებას საჭიროებს. მოსლიმ გუნდებს შესთავაზა, ამ ორგანოს შექმნაცა და დაფინანსებაც თავადვე ითაონ.

მოსლის მოსაზრებით, მაკონტროლებელ ორგანოში უნდა გაერთიანდეს 30 ექსპერტი, რომლებიც გუნდების ანგარიშებს გააკონტროლებენ, მათი საქმიანობის აუდიტორულ შემოწმებას ჩაატარებენ. ამ საბჭოს მუშაობის უზრუნველსაყოფად თითოეულმა გუნდმა 2 მილიონი ევრო უნდა შეიტანოს.

*"თუ ორგანიზაცია გეხმარებათ გუნდის ხარჯის 200-მილიონიდან 100 მილიონამდე შემცირებაში, მაშინ თქვენთვის პრობლემა აღარ უნდა იყოს ორი მილიონის გაღება იმისთვის, რომ ამ ორგანიზაციამ გამართულად მუშაობა შეძლოს. ამ ორი მილიონის წყალობით ხომ თქვენ, ფაქტობრივად, 98 მილიონის დაზოგვას შეძლებთ. ვფიქრობ, ეს რაციონალური შეთავაზებაა. შარშანდელმა სპაიგეიტმა (შპიონაჟის სკანდალი) გვაჩვენა, რომ გუნდების საქმიანობის ეფექტური გაკონტროლება ხამრავ პრობლემას აგვაცილებს თავიდან. რაც მთავარია, თითქმის ნულამდე შემცირდება იმის ალბათობა, რომ ვინმე ჩვენს მიერ დაქირავებული ექსპერტების მოტყუებას შეძლებს"*, - ამბობს მოსლი.

სხვათა შორის, მოსლი გუნდებს ირიბად დაემუქრა, რომ თუ სახელფასო ჭერისა და მაკონტროლებელი ორგანიზაციის შექმნაზე შეთანხმება ვერ მიიღწევა, მაშინ ფია უფრო დრაკონული წესების შემოღებაზე იზრუნებს. კერძოდ, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელსაც ფედერაცია ამ მიმართულებით გადადგამს, იქნება აეროდინამიკური მილის (გვირაბის) გამოყენების აკრძალვა, რაც ძლიერი გუნდებისთვის კოშმარის ტოლფასი იქნება.

მაგრამ მოსლი ამბობს, რომ საბიუჯეტო ჭერის შემოღებით თავად გუნდები არიან დაინტერესებულნი, რომლებიც ახალ წამოწყებას ენთუზიაზმით ეკიდებიან.

ჯერჯერობით, მოლაპარაკებაზე განიხილება ახალი წესების ზოგადი პრინციპები, რომლებზე შეთანხმების შემდეგაც მუშაობა დეტალებზე გაგრძელდება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ვარსკვლავი

# ტაისონ გაი პეკინშიც დუბლს უმიზნებს



ტაისონ გაი

მსოფლიოს ჩემპიონი 100 და 200 მეტრზე სპრინტში, ამერიკელი **ტაისონ გაი** ამბობს, რომ ამ სეზონში მისი მიზანი პეკინის ოლიმპიადაზე სპრინტერული დუბლის შესრულებაა და "ასპროცენტიან გარანტიას" იძლევა, ამას დოპინგის გამოუყენებლად გააკეთებს.

ოლიმპიადაზე სპრინტერული დუბლის შემსრულებელი ერთადერთი კაცი მორბენალი, სახელოვანი ამერიკელი **კარლ ლუისია**, რომელმაც ამ ფანტასტიკური შედეგით ლოს ანჯელესის 1984 წლის ოლიმპიადაზე ისახელა თავი. 25 წლის გაი ამბობს, რომ ლუისის მიღწევის გამეორებით, ის სპორტის მოყვარულებს დაავიწყებს იმ ხშირ დოპინგსკანდალებს, რომლებშიც ბოლო ხანებში სპრინტერულ დისტანციებზე მოასპარეზენი ხშირად ეხვევიან.

*"ვფიქრობ, დუბლისთვის მზად ვარ. ჩვენი სპორტი დალალა დოპინგსკანდალებმა და მიმაჩნია, რომ ახლა დადებითი მოვლენების დრო დადგა. ყველაფერს ვეცდები, რომ ეს შევძლო. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ოსაკაში თუ გამომივიდა, პეკინშიც გამომივა"*, - ამბობს გაი, ვინც შარშან, ოსაკაში (იაპონია) ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სპრინტერული დუბლიც შეასრულა და ერთი ოქრო ესტაფეტაშიც მოიპოვა.

ამასთან, გაი გარანტიას იძლევა, რომ არასოდეს გაიმეორებს ისეთ შეცდომებს, როგორებიც მის კოლეგებსა და თანამემამულეებს, **ჯასტინ გეტლინსა** და **მერიონ ჯონსს** მოუვიდათ. შეგახსენებთ, რომ ეს ორი სახელოვანი სპრინტერი სწორედ დოპინგის გამოყენების გამო იხდის დისკვალიფიკაციას. ამასთან, ჯონსი, ვინც სპორტული კარიერა შარშან დაასრულა, ციხეშიც ჩასვეს.

*"ასპროცენტიან გარანტიას ვიძლევი, რომ ჩემს სახელს ვერასოდეს ამოიკითხავთ დოპინგსკანდალებში. თუ ოდესმე შესცოდავთ, ამის შესახებ ოდესმე ხალხი აუცილებლად გაიგებს. ამის დასტურია თუნდაც ის, რაც მერიონსა და ჯასტინს შეემთხვათ. თუ დოპინგის მომხმარებელი ხარ, როგორც უნდა ეცადო, ადრე თუ გვიან, ამის შესახებ საზოგადოება აუცილებლად გაიგებს"*, - აცხადებს გაი.

სპრინტერს ჯერ ორივე დისტანციაზე პეკინში ასპარეზობის უფლება არ მოუპოვებია, თუმცა ეჭვიც არ ეპარება, რომ ამას შეძლებს.

*"ვიცი, ძალიან ვრისკავ, როცა პეკინში ორივე დისტანციაზე გამოსვლას ვაპირებ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ არც ის მინდა, რომ შემდეგ სეზონში ვთქვა, ეს შემეძლო, მაგრამ ვერ გავრისკე-მეთქი. შარშანაც ყველას დავანახე, რისი თავი მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ ამის გამეორება შემიძლია"*, - დასძენს გაი, ვისაც დანაპირების შესრულებაში ყველაზე სერიოზულ ხელის შემშლელად ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს იამაიკელი რეკორდსმენი **ასაფა პაუელი** ეყოლება.

შეგახსენებთ, რომ შარშან, მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, პაუელმა რომში ასპარეზობისას ფანტასტიკური შედეგი დააფიქსირა – ერთ ტურნირზე ასი მეტრი 9.74 (რეკორდი) და 9.78 წამში გაირბინა. ეს ნამდვილი სასწაულია და ვფიქრობ, ეს მიღწევა მას პეკინში გარკვეულ ფსიქოლოგიურ უპირატესობას მას მიანიჭებსო, - ამბობს ამერიკელი.

სხვათა შორის, გაი პაუელის რეკორდსაც უმიზნებს, მაგრამ თუ საქმე არჩევანზე მიდგა, უპირატესობას ოლიმპიადაზე გამარჯვებას ანიჭებს: *"შარშან რომ ოსაკაში ოქროს მედლები მოვიპოვე, იმ განცდას ვერაფერი შეედრება. არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, რა გრძნობა გეუფლება, როცა ოქროს მოპოვებას ვერ ახერხებ. ალბათ, ეს ძალიან ცუდი უნდა იყოს. რაც შეეხება რეკორდს, ის შეიძლება ამ სეზონში ვერ გავაუმჯობესო, მაგრამ ამით ტრაგედიას არ შევქმნი"*.

კითხვაზე, რას ფიქრობს პეკინის დაბინძურებულ ჰაერზე, რომელიც ბევრ სახელოვან სპორტსმენს აშფოთებს, გაი პასუხობს: *"ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა ჰაერი დაგვხვდება პეკინში. არც წუწუნს ვაპირებ. ჩემი მიზანი მხოლოდ გამარჯვებაა და ვეცდები, ამ მიზანს მივაღწიო სუფთა, თუ გამონაბოლქვით გაჟღენთილ ჰაერზე"*!

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ავტოსპორტი

## დაკარი აღმოსავლეთ ევროპაში გაიმართება

სახელგანთქმული რალი-რეიდის, "დაკარის" ორგანიზატორებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ გაზაფხულზე რბოლა უნგრეთისა და რუმინეთის ტერიტორიაზე გაივლის. როგორც იცით, წლევულს "დაკარი" აფრიკის ტერიტორიაზე არ გაიმართა, ვინაიდან ორგანიზატორები მავრიტანიის ტერიტორიაზე მოსალოდნელ ტერორისტულ საფრთხეს მოერიდნენ.

აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე გასამართ რალის სახელიც მოუძებნეს - Central Europe Rally, რომელიც 20-26 აპრილს გაიმართება. რალი-რეიდის საერთო სიგრძე დაახლოებით 3 ათასი კილომეტრი იქნება. მონაწილეები სტარტს ბუდაპეშტში აიღებენ, რუმინეთის ტერიტორიაზე გადავლენ და უნგრეთში დაბრუნდებიან, სადაც ბალატონის ტბის ახლოს ფინიშია დაგეგმილი.

Central Europe Rally-ში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს რალი-რეიდის ტრადიციულმა მონაწილეებმა: "მიცუბიშიმ", "ფოლკსვაგენმა", "შლესერმა" და სხვებმა.

კალათბურთი

## ნეში ფეხბურთით დაინტერესდა

"ფინიქს სანზის" ლიდერი, NBA-ის ორგზის საუკეთესო კალათბურთელი **სტივ ნეში** ქალთა პროფესიულ საფეხბურთო ლიგაში (WPS) აპირებს ინვესტიციების დაბანდებას. ეს ლიგა ჩრდილოეთ ამერიკაში 2009 წელს შეიქმნება და მასში შესვლის სურვილი უკვე გამოთქვეს ბოსტონის, ჩიკაგოს, ნიუ იორკისა და ნიუ ჯერსის გუნდებმა.

*"ლიგის ან რომელიმე გუნდის მფლობელის როლი მე არ შემეფერება. უბრალოდ მინდა, ქალთა სოკერში ფული ჩავდო, რათა ქალებმა იგრძნონ ამ საკითხში მამაკაცთა მხრიდან მხარდაჭერა"*, - განაცხადა ნეშმა.

კანადელი კალათბურთელის ფეხბურთით დაინტერესება გასაგებია. თურმე, მისი ტყუპი ქალიშვილები აქტიურად მისდევენ სპორტის ამ სახეობას. ისიც საინტერესოა, რომ ნეშის მამა - **ჯონი** პროფესიონალი ფეხბურთელი იყო სამხრეთ აფრიკასა და ინგლისში, მისი ძმა **მარტინი** კანადის ნაკრების წევრია, ხოლო და - **ჯოანი**, ვიქტორიას უნივერსიტეტის ნაკრების კაპიტანი გახლავთ.

## იანვრის რჩეული მაკაბელია

ULEB-ის ევროლიგამ იანვრის თვის საუკეთესო კალათბურთელად თელ-ავივის "მაკაბის" ფორვარდი **ტერენს მორისი** დაასახელა.

ამერიკელმა კალათბურთელმა ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ "მაკაბიმ" B ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. იანვარში, ისრაელის ჩემპიონმა ხუთივე მატჩი მოიგო და მეოთხედან მეორე პოზიციამდე აინაცვლა.

ამ მატჩებში, მორისი საშუალოდ 13 ქულასა და 11.2 მოხსნას აგროვებდა.

## ცარცარისი ორ თვეს გამოტოვებს

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის წინ სერიოზული დანაკლისი განიცადა საბერძნეთის "პანათინაიკოსმა". გრიჟის ოპერაცია დასჭირდა და ამის გამო ორი თვით გამოეთიშა აქტიურ სპორტს ფორვარდი **კოსტას ცარცარისი**.

ეს უკანასკნელი მწობრში აპრილამდე ადრე ვერ ჩადგება, რაც იმას ნიშნავს, რომ ცარცარისი გამოტოვებს ევროლიგის მეორე ეტაპის ექვსივე შეხვედრას.

ფორმულა 1

## ალონსო ფერარის ძალას აღიარებს

"რენოს" ესპანელმა პილოტმა ფერნანდო ალონსომ აღიარა, რომ წლევულს მას ძალიან გაუჭირდება "ფერარის" ბოლიდებთან ბრძოლა.

*"როცა "მაკლარენი" დავტოვე, მივხვდი, რომ "რენოში" მინდოდა დაბრუნება. თუმცა ისიც ნათელი იყო, რომ ჩვენი გუნდი მაშინვე ვერ შემომთავაზებდა კონკურენტუნარიან ბოლიდს. მაგრამ მიუხედავად ამისა, აქ ვარ და ბოლომდე ბრძოლას ვაპირებ. დღეს საუკეთესო ბოლიდი "ფერარის" ჰყავს. ჩემპიონატში მონაწილე ოცივე პილოტიდან ყველა ისურვებდა კიმი რაიკონენის ან ფელიპე მასას ადგილას ყოფნას"*, - ამბობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

ჩოგბურთი

## მირზა ინდოეთს განუდგა

აზიის საუკეთესო ჩოგბურთელი, ინდოელი **სანია მირზა** ყველა იმ ტურნირის ბოიკოტირებას აპირებს, რომელიც მის ქვეყნის ტერიტორიაზე გაიმართება. მათ შორის არის ბანგალორის ტურნირი - ეს შეჯიბრი 3 მარტს აიღებს სტარტს.

21 წლის მირზა, რომელიც WTA-ს რეიტინგში 29-ე ადგილს იკავებს, ცოტა ხნის წინ ინდოეთის სახელმწიფო დროშის უპატივცემულობაში დაადანაშაულეს, რაც ინდოეთის კანონების მიხედვით, პატიმრობით ისჯება. თავად ჩოგბურთელის სიტყვებით, ის კარიერის დასრულებაზე ფიქრობს.

# TV სეირი

## 7 თებერვალი. ხუთშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ლიბერტადორესის თასი. საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩი. სერო პორტენიო (პარაგვაი)-კრუზეირო (ბრაზილია).
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი.
19:05 გასული კვირის ჰიტ-ალღუმი.
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:15 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:25 ლიბერტადორესის თასი. საკვალიფიკაციო რაუნდი. საპასუხო მატჩი. სერო პორტენიო (პარაგვაი)-კრუზეირო (ბრაზილია).
23:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:30 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
01:20 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:40 სპორტდოსიე.
09:10 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
09:38 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
10:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:23 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ფილადელფია.
12:11 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მიდლსბრო.
13:58 ფეხბურთი. Barca TV.
14:06 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი.
15:53 სპორტკლუბი.
16:14 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-რომა.
18:01 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
18:32 ფეხბურთი. Barca TV.
18:39 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. ფინალი. მანჩესტერი-ბაიერნი.
20:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
21:12 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
21:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:55 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. VI ეტაპი. ავსტრალია.
21:50 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ჩიკაგო.
00:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:07 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ჩელსი.
03:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:57 სპორტდოსიე.
04:26 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-რეალი.
06:13 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-რომა.

### EUROSPORT

11:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. ... გერმანია.
12:00 მულტისპორტი.
12:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. თურქეთი-შვედეთი.
13:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. ჩეხეთი-პოლონეთი.
14:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. ხორვატია-პოლანდია.
14:45 სნუკერი. მალტის თასი. IV დღე (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. IV დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
18:30 სნუკერი. მალტის თასი. IV დღე (LIVE).
20:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/2 ფინალი. განა-კოტ დ'ივუარი. განა (LIVE).
23:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. კვალიფიკაცია. ლიბერეცი. ჩეხეთი.
00:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/2 ფინალი. განა-კოტ დ'ივუარი. განა.
00:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/2 ფინალი. ეგვიპტე-კამერუნი. განა (LIVE).
02:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/2 ფინალი. მიმოხილვა.
03:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
04:00 ფეხბურთი. ევრო 2008.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
14:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. განა-ნიგერია. განა.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. საბერძნეთი-ფინეთი.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. ხორვატია-პოლანდია.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. ჩეხეთი-პოლონეთი.
19:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. თურქეთი-შვედეთი.
20:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. 1/4 ფინალი. მიმოხილვა.
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS134. კვალიფიკაცია. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
22:00 ახალი ამბები.
22:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. IV დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
00:15 სნუკერი. მალტის თასი. IV დღე.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩები.
03:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### მუნდიალი 2010

**აზია**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-კატარი | 3:0 |
| ერაყი-ჩინეთი | 1:1 |
| იაპონია-ტაილანდი | 4:1 |
| ომანი-ბაჰრეინი | 0:1 |
| კორეა-თურქმენეთი | 4:0 |
| ირანი-სირია | 0:0 |
| საემიროები-ქუვეითი | 2:0 |
| ლიბანი-უზბეკეთი | 0:1 |
| ს. არაბეთი-სინგაპური | 2:0 |

### ევრო 2009

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| კვიპროსი-ისლანდია | 2:0 |
| ისრაელი-ჩრ. ირლანდია | 2:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ტუნისი (U21)-შვეიცარია (U21) | 0:1 |
| პოლანდია (U21)-დანია (U21) | 2:1 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| სპარტა-ბრედა | : |

## კალათბურთი

### საბერძნეთის თასი

| | |
|---|---|
| პანელინიოსი-პანათინაიკოსი | 70:76 |
| ოლიმპიაკოსი-არისი | 72:70 |

## ჩოგბურთი

### WTA. პარიზი

| | |
|---|---|
| დეში-პენგი | 6:4, 7:6 |
| რაზანო-ა. ბონდარენკო | 6:2, 4:6, 7:5 |
| კორნე-ზაკოპალოვა | 4:6, 6:2, 6:1 |
| დემენტიევა-კვიტოვა | 7:6, 6:2 |
| შავაი-გარბინი | 6:3, 4:6, 6:2 |

### WTA. პატაია

| | |
|---|---|
| ლუანგნამი-მანასიევა | 0:6, 1:6 |
| ობზილერი-ლერტჩეევაკარნი | 6:1, 6:2 |
| ყოუ-ჩანი | 4:6, 2:6 |
| ნამიგატა-ვიკმაიერი | 1:6, 4:6 |
| უ. რადვანსკა-კლეპაჩი | 6:7, 2:6 |
| იონემურა-დელაკუა | 2:6, 3:6 |
| კრემერი-სიუ | 7:6, 6:1 |
| ა. რადვანსკა-კინგი | 7:5, 7:6 |

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ბაფალო 2:4**

1:1, 0:1, 1:2

გოლები: 0:1 პეი-12 (პომინვილი-31, პეხტი-16), 1:1 აქსელსონი-10 (კრეისი-9, შეფერი-14), 1:2 ვანეკი-15 (სტეფორდი-14, ბ. კემპბელი-31), 1:3 პეი-13 (პეხტი-17, პომინვილი-32), 1:4 ლიდმანი-2 (კალინინი-5, კოტალიკი-16), 2:4 მ. სტუარტი-3 (კობესოუ-12, აქსელსონი-10).

**აილენდერსი-ანაჰაიმი 0:3**

0:0, 0:1, 0:2

გოლები: 0:1 ს. ნიდერმაიერი-3 (პრონგერი-26, სელიანე-1), 0:2 მარჩანტი-5 (რ. კარტერი-4, რ. ნიდერმაიერი-4), 0:3 უეიტი-9 (ბერტუცი-18, ბოშემენი-18).

**რეინჯერსი-ლოს ანჯელესი 2:4**

1:2, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 ს. ტორნტონი-5 (პანძუში-10, პაროლდი-1), 0:2 ბოილი-2 (მოულსონი-3, ჯულიანო-3), 1:2 დრური-17 (დევსი-7, მარა-14), 1:3 ფროლოვი-13 (კოპიტარი-29, ო'სალივანი-16), 2:3 ეივერი-5 (დუბინსკი-14, ჟირარდი-13), 2:4 კოპიტარი-21 (ფროლოვი-28).

**ატლანტა-ფილადელფია 2:3**

0:1, 2:1, 0:1

გოლები: 0:1 ნებლი-20 (მ. რიჩარდსი-37, საიმონ განიე-10), 1:1 კოვალჩუკი-39 (ტ. უაიტი-22, ჰაველიდი-12), 1:2 მ. რიჩარდსი-22 (ბრიერი-31), 2:2 ბოულტონი-4 (ექსელბი-4, ტორნბურნი-6), 2:3 დაუნი-4 (ჰარტნელი-15).

**კოლამბუსი-ვაშინგტონი 3:4 (ო)**

2:0, 0:2, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 ნეში-27, 2:0 ჩიმერა-9 (პეკა-18, კლესლა-9), 2:1 ოვეჩკინი-44 (ბექსტრიომი-34), 2:2 სირომინი-13 (ეიქ. კოზლოვი-26, ფლიშმანი-14), 3:2 ნეში-28 (მალორტა-11), 3:3 პოტი-1 (ლეჩი-8, შულტცი-8), 3:4 ოვეჩკინი-45 (პოტი-14, შ. მორისონი-7).

**ტორონტო-ფლორიდა 0:8**

0:1, 0:3, 0:4

გოლები: 0:1 ზედნიკი-11 (მონტადორი-10, მაკლინი-7), 0:2 პორტონი-14 (ბუტი-8, Jassen კალიმორი-7), 0:3 ო. იოკინენი-26 (ზედნიკი-9, მაკლინი-8), 0:4 კ. მერფი-2 (ბუტი-9), 0:5 მონტადორი-4 (კ. მერფი-11, ბრაიანი-1), 0:6 ზედნიკი-12 (მაკლინი-9, კ. მერფი-12), 0:7 ზედნიკი-13 (მაკლინი-10, კრეპსი-10), 0:8 მაკლინი-6 (ო. იოკინენი-27, მონტადორი-11).

**მონრეალი-ოტავა 4:3**

2:1, 2:0, 0:2

გოლები: 0:1 კელი-9 (ვერმეტი-19), 1:1 ა. კოსტიცინი-16 (პლეკანეცი-31, კოვალიოვი-26), 2:1 პლეკანეცი-18 (ა. კოსტიცინი-17, კოვალიოვი-27), 3:1 შტრაიტი-9 (ა. კოსტიცინი-18), 4:1 პლეკანეცი-19 (კოვალიოვი-28, შტრაიტი-9), 4:2 სპეცა-20 (რ. რობიტაილი-13, კორვო-19), 4:3 ვერმეტი-13 (კორვო-20, სპეცა-42).

**ნეშვილი-კაროლინა 1:0**

0:0, 0:0, 1:0

გოლი: 1:0 დუმონი-19 (არნოტი-29, რადულოვი-21).

**მინესოტა-დეტროიტი 2:3 (ო)**

1:1, 1:0, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 ფრანცენი-10 (კოპეცკი-5, ლილია-9), 1:1 როლსტონი-20 (მ. კოივუ-15, ბერნსი-20), 2:1 დემიტრა-11 (ბიშარი-35), 2:2 კლირი-20, 2:3 ლებდა-3 (ზეტერბერგი-35, კლირი-19).

**სენტ ლუისი-ტამპა ბეი 4:5**

1:1, 1:1, 2:3

გოლები: 0:1 რეინჯერი-9 (სენტ ლუისი-44, დ. ბოილი-4), 1:1 ბოიესი-30 (ე. მაკდონალდი-24, ვოივიტკა-1), 1:2 სენტ ლუისი-20 (ლეკავალიე-38, გრეტონი-10), 2:2 ტკაჩუკი-17 (ბრიუერი-12, ე. მაკდონალდი-25), 2:3 ჯ. უორდი-6 (დარში-7, კუბა-16), 2:4 რეინჯერი-10 (კ. მაკდონალდი-7), 2:5 მარნავსკი-5 (სენტ ლუისი-45, ლეკავალიე-39), 3:5 მეიერსი-8 (მაკლემანი-7, სტემპნიაკი-7), 4:5 პერონი-10 (კარია-34, ბრიუერი-13).

**დალასი-ვანკუვერი 3:2 (ბ)**

1:1, 1:1, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 ნესლუნდი-18 (რეიმონდი-9, სალო-7), 1:1 მოროუ-23 (რიბეირო-38, ჰალპერნი-14), 2:1 ი. ლეპტინენი-7 (მოროუ-30, რიბეირო-39), 2:2 ნესლუნდი-19 (რიტჩი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** ი. იოკინენი (დალასი), ნესლუნდი (ვანკუვერი), მოროუ (დალასი).

**კალგარი-ფინიქსი 4:3 (ბ)**

0:1, 0:2, 3:0, 0:0

გოლები: 0:1 პ. მიულერი-17 (დოუნი-35, ჟ. პერო-6), 0:2 პ. მიულერი-18 (ზ. მიხალეკი-10, დოუნი-36), 0:3 პ. მიულერი-19 (ჟ. პერო-7), 1:3 ფანოფი-8 (ტანგეი-31, ა. ოკუანი-19), 2:3 ფანოფი-9 (ა. ერიქსონი-13, იგინლა-34), 3:3 იგინლა-33 (რეგერი-11, ლენგკოუ-26).

**ბულიტები გაიტანეს:** იგინლა (კალგარი).

## ამხანაგური მატჩები



### მაკედონია–სერბეთი 1:1

**მაკედონია (სასტარტო):** მილოშევსკი, ნოვესკი, პოპოვი, სედლოსკი, შუმულიკოსკი, მიტრესკი, გეორგიევსკი, მაზნოვი, ტასევსკი, ლაზარევსკი, პანდევი.

**სერბეთი (სასტარტო):** რ. ილიჩი, რუკავინა, რნიჩი, ივანოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, კუზმანოვიჩი, სმილიანიჩი, ზ. ტოშიჩი, სულეიმანი, ჟიგიჩი, ლაზოვიჩი.

**გოლები:** 0:1 ლაზოვიჩი (43), 1:1 ნოვესკი (58)

**მაყურებელი:** 14 000

### უნგრეთი–სლოვაკეთი 1:1

**უნგრეთი:** ფულოპი, ჩაყმადია, ვანჩაკი, იუჰაში, ლოვი, ჟელეში, ვაში (83. ტოცერი), ჰაინალი (46. დჟუდჟაკი), ბუზაცკი (75. პრისკინი), გერა, ჰუშტი (56. ჰალმოში).

**სლოვაკეთი:** შენეცკი, ჩიშოვსკი, შკრტელი, დურიცა, ჩეხი, შტრბა (59. ბორბელი), კრაიჩიკი, ჰამსიკი (59. საპარა), ჰოლოშკო, მინტალი, შეშტაკი.

**გოლები:** 1:0 გერა (54), 1:1 შეშტაკი (64.)

**მაყურებელი:** 150

### თურქეთი–შვედეთი 0:0

**თურქეთი:** ვოლქან დემირელი, გიოქჰან გიუნალი, სერვეთ ჩეთინი, გიოქჰან ზანი, ჰაქან ქადირი (46. მეჰმეთ ილდირი), ემრე ბელოზოგლუ (77. მეჰმეთ თოფალი), მეჰმეთ აურელიო, ჰამით ალთინთოფი (61. მეჰმეთ თოფუზი), ილდირაი ბაშთურქი (46. ოგიურ ბორალი), ჰალილ ალთინთოფი (46. არდა თურანი), ნიჰათ ქავეჩი (86. გიოქდენიზი).

**შვედეთი:** ისაქსონი, სტოორი (60. საფარი), მაისტოროვიჩი, პ. ჰანსონი, მ. ნილსონი (83. კონჩა), ა. სვენსონი, ს. ლარსონი, კალსტრიომი, ბაკირჩიოგლუ (73. ჰოლმანი), ბერგი, როზენბერგი (46. ელმანდერი).

**მაყურებელი:** 35 000

### ისრაელი–რუმინეთი 1:0

**ისრაელი:** ავატე (46. დავიდოვიჩი), ზივი, ბენ ჰაიმი (46. გერშონი), სტრული (68. საბანი), დაიანი, კოენი, ოჰაიონი (67. გაზალი), ბენაიუნი, იტცხაკი, ბარდა, გოლანი (59. ბორუჰაინი).

**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა (87. ოგარარუ), გოანი, ტამაში (88. ნესი), რადუ (88. მოტი), ო. პეტრე, კივუ, ნიკოლიცე (46. ფ. პეტრე), კოჩიში, მუტუ, მარიკა (46. დიკე).

**გოლი:** 1:0 გოლანი (25)

**გაძევება:** ო. პეტრე (23. რუმინეთი)

**მაყურებელი:** 25 000

### პოლონეთი–ჩეხეთი 2:0

**პოლონეთი:** ბორუცი (46. ფაბიანსკი), ვასილევსკი, ბაკი (46. იოპი), მიხ. ჟევლაკოვი, ბრონოვიცკი (77. ვავრჟინიაკი), ლობოძინსკი (83. მურავსკი), დუდკა, ლევანდოვსკი, სმოლიარეკი (66. ზაჰორსკი), კრჟიწოვეკი, ვიხნიარეკი (46. ჟურავსკი).

**ჩეხეთი:** ჩეხი, პოსპეჩი, გრიგერა, როზენალი, იუფალუში (46. კადლეცი), სიონკო (76. ვლჩეკი), პოლაკი, მატეიოვსკი, პლასილი (84. კულიჩი), კოლერი, ბაროში.

**გოლები:** 1:0 ლობოძინსკი (6), 2:0 ლევანდოვსკი (29)

**მაყურებელი:** 20 000

### სლოვენია–დანია 1:2

**სლოვენია:** ჰანდანოვიჩი, სეზარი (56. მავრიჩი), მიორეცი, ილიჩი (85. კოკოტი), ბრეჩკო, კირმი, ჟლოგარი (77. ჟინკო), შიშიჩი (74. რუშიჩი), ბირსა (85. ლავრიჩი), იუკანი (55. სტეფანოვიჩი), ნოვაკოვიჩი.

**დანია:** სიორენსენი, კვისტი, კროლდრუპი, ლაურსენი, სიორენსენი (46. რასმუსენი), დ. იენსენი (66. ციმლინგი), პოულსენი (46. ანდრეასენი), ტომასონი (46. პერესი), იორგენსენი (72. ბეკმანი), ბენდტნერი, რომედალი.

**გოლები:** 0:1 ტომასონი (30-პენ), 1:1 ნოვაკოვიჩი (38), 1:2 ბენდტნერი (63)

**მაყურებელი:** 17 000

### საბერძნეთი–ფინეთი 2:1

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი (46. მიხალიდისი), პაცაცოგლუ (46. სალპიგიდისი), ბასინასი, ხარისტეასი, კარაგუნისი (69. სპიროპულოსი), ტოროსიდისი, გეკასი (79. ლიბეროპულოსი), ამანატიდისი (46. ლაგოსი), კაცურანისი, კირგიაკოსი (72. პაპასტატორულოსი), ანცასი.

**ფინეთი:** ენკელმანი, ჰალსტი (78. ლამპი), პასოია, მაირუნენი, ფორსელი, ლიტმანენი (70. პოროკარა), კალიო, იოჰანსონი (77. არკივიუ), ა. ერიომენკო, ჰეიკინენი, ნიუმანი.

**გოლები:** 0:1 ლიტმანენი (66), 1:1 ხარისტეასი (67), 2:1 კაცურანისი (72)

**მაყურებელი:** 30 000

### ხორვატია–ჰოლანდია 0:3

**ხორვატია:** პლეტიკოშა, კორლუკა, რ. კოვაჩი (69. კნეჟევიჩი), შიმიჩი (46. პრანიჩი), შიმუნიჩი, ნ. კოვაჩი (70. ი. ლეკო), კრანჩარი (46. ოლიჩი), მოდრიჩი, სრნა (86. ბაბიჩი), ედუარდო და სილვა (70. რაკიტიჩი), პეტრიჩი.

**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, დე კლერი, ჰეიტინგა, მატიისენი, მელხიოტი (71. დე იონგი), ვან ბრონკჰორსტი, დე ზეუვი, სნეიდერი (84. ვენეგოორ ოფ ჰესელინკი), ვან დერ ვაარტი, ბაბელი (65. აფელეი), ჰუნტელაარი (75. ემანუელსონი).

**გოლები:** 0:1 ჰეიტინგა (9), 0:2 ჰუნტელაარი (36), 053 ვენეგოორი ოფ ჰესელინკი (89)

**მაყურებელი:** 30 000

### ავსტრია–გერმანია 0:3

**ავსტრია:** მანინგერი, პრიოდლი, შტრანცლი, პოგატეტცი, სტანდფესტი, აუფჰაუზერი (69. პრეგერი), შაუმელი, ფუხსი, ივაშიტცი, ჰარნიკი (73. კიენასტი), ლინცი (82. კავლაკი).

**გერმანია:** ლემანი, ვესტერმანი, მერტეზაკერი, მ. ფრიდრიხი (74. ჰილბერტი), ლამი, ბალაკი (87. როლფსი), ჰიტცლშპერგერი (82. ჯონსი), შნაიდერი (59. პოდოლსკი), შვაინშტაიგერი, კლოზე, კურანი (59. გომესი).

**გოლები:** 0:1 ჰიტცლშპერგერი (53), 0:2 კლოზე (63), 0:3 გომესი (80)

**მაყურებელი:** 48 500

### უელსი–ნორვეგია 3:0

**უელსი:** ჰენესეი (46. პრაისი), გატნერი, მორგანი, ნიატანგა, რიკეტსი (59. ირდლი), ს. დევისი (59. კ. დევისი), კ. ფლეტჩერი, კუმასი, ლედლი (46. ედვარდსი), რობინსონი (66. კროფტსი), ისტვუდი (59. კოტერილი).

**ნორვეგია:** ოპდალი, ჰანგელანდი (61. კიპე), ანდერსენი, კაჰი, პედერსენი, ი-ა. რიისე, სტორბაკი, სტრომსტადი (46. გრინდჰაიმი), ბრაატენი, კარუ (46. ჰაესტედი), ნევლანდი (77. ბიორკოი).

**გოლები:** 1:0 ფლეტჩერი (15), 2:0 კუმასი (62), 3:0 კუმასი (89)

**მაყურებელი:** 41 000

### ინგლისი–შვეიცარია 2:1

**ინგლისი:** ჯეიმსი, ბრაუნი, ე. კოული (73. ბრიჯი), ფერდინანდი, აპსონი, ბერი (73. ჰარგრივზი), ბენტლი, ჯ. კოული (57. კრაუჩი), ჯერარდი, ჯენასი (57. რაიტ-ფილიპსი), რუნი (87. იანგი).

**შვეიცარია:** ბენალიო, ეგიმანი, ლიხტშტაინერი (46. ბეჰრამი), სენდეროსი (55. გრიხტინგი), შპიხერი, ბარნეტა, ჟელსონი (84. ჰუგელი), ჟიგაქსი (46. ფონლანტენი), ინლერი, ჰ. იაკინი (63. მარგაირასი), ნკუფო (46. დერდიოკი).

**გოლები:** 1:0 ჯენასი (40), 1:1 დერდიოკი (58), 2:1 რაიტ-ფილიპსი (62)

**მაყურებელი:** 86 857

### ესპანეთი–საფრანგეთი 1:0

**ესპანეთი:** კასილიასი, რაულ ალბიოლი, კაპდევილა, მარჩენა (50. მარკოს სენა/74. იონას გუტიერესი), სერხიო რამოსი (46. პაბლო იბანიესი), ალბელდა (66. ჩაბი ალონსო), ფაბრეგასი, ინიესტა, რიერა (52. ვილია), ჩავი, ფერნანდო ტორესი (21. ხოაკინი).

**საფრანგეთი:** კუპე, აბიდალი, გალასი, სანიოლი, ტიურამი (47. ესკუდე), ლ. დიარა, ტულალანი, ვიეირა (85. ბენ არფა), ანელკა (59. ბენზემა), ანრი, მალუდა.

**გოლი:** 1:0 კაპდევილა (79)

**მაყურებელი:** 37 000

### სომხეთი–ისლანდია 0:2

**გოლები:** 0:1 გუდმუნდსონი (45), 0:2 ტორვალდსონი (72)

### მოლდოვა–ყაზახეთი 1:0

**გოლი:** 1:0 ბუგაევი (10)

### მალტა–ბელარუსი 0:1

**გოლი:** 0:1 რომაშჩენკო (89)

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა